

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის



მაცნე

675-ფ/
1975/2

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

4 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია


СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

19778



თბილისი
ТБИЛИСИ

4 · 1975



სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Еочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.XII. 1975; შეკვ. № 3276; ანაწილების ზომა $7 \times 11\frac{1}{2}$
ქალაქის ზომა $7 \times 108\frac{1}{16}$; ნაბეჭდი თაბახი 14.35; საარტიცვო-საგამომცემლო
თაბახი 13.08; უე 02115; ტირაჟი 600
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

●

შ ი ნ ა რ ს ი

ფილოსოფია

ხ. გოგოჭური, ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ურთიერთმიმართების პრობლემა მარქსიზმში და რელიგიურ ეგზისტენციალიზმში	5
ლ. ჭავჭავაძე, ტრავიკულის კატეგორია და მოდერნიზმი	17
დ. თევზაძე, მნიშვნელობის სემანტიკური ანალიზის ლუისისეულ ცნებათა ექსპლიკაცია	45
ბ. ონანიაძე, ინფორმაცია და დრო	50

ფსიქოლოგია

ლ. სამსონიძე, მუსიკალური ნაწარმოების სტილის გრძნობის ასაკობრივი თავისებურებები	66
ც. შერსანიძე, განწყობის ფორმირება მუსიკალურ ნაწარმოებზე მუშაობის დროს	73
ნ. თაყაიშვილი, მუსიკალური სტილის აღქმის შესახებ	84

ეკონომიკა

ბ. ფირცხალავა, საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების განვითარებისა და თანამედროვე თავისებურებათა შესახებ	96
ზ. რევიშვილი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოების შესახებ	111
ვ. ბურდული, რეგიონალურ დაგეგმვაში დარგთაშორისი ოპტიმიზაციური მოდელების გამოყენების საკითხები	119
ლ. გუბუშვილი, მელიორაციის როლი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებაში (1965—1970 წწ.)	127
ი. ბადრიშვილი, შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი სოფლის მეურნეობაში	139
ბ. ჯაფარიძე, მადრიბული ოქრო XII—XIII სს ქართულ წყაროებში	145
ა. კურატაშვილი, ეკონომიკური სტიმულირება და სამეურნეო ანგარიშვიანობის ეფექტურობა	152

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Х. ГОГОЧУРИ, Проблема взаимоотношений философского и научного знания в марксизме и религиозном экзистенциализме	5
Л. ЧАВЧАВАДЗЕ, Категория трагизма и модернизм	17
Д. Д. ГЕВЗАДЗЕ, Экспликация льюсовских понятий семантического анализа	45
Г. А. ОНАНЯН, Информация и время	50

ПСИХОЛОГИЯ

Л. С. САМСОНИДЗЕ, Возрастные особенности восприятия стиля музыкального произведения	66
И. Е. ГЕРСАМИЯ, Формирование установки при работе над музыкальным произведением	73
Н. Д. ТАВХЕЛИДЗЕ, О восприятии музыкального стиля	84

ЭКОНОМИКА

Г. В. ПИРЦХАЛАВА, О развитии и современных особенностях воспроизводства населения Советской Грузии	96
Э. Ш. РЕВИШВИЛИ, О сближении уровней жизни городского и сельского населения	111
В. Ш. БУРДУЛИ, Вопросы применения оптимизационных межотраслевых моделей в региональном планировании	119
Л. И. ГУГУШВИЛИ, Роль мелиорации в развитии субтропического хозяйства (1965—1970 гг.)	127
И. М. БАДРИШВИЛИ, Некоторые вопросы организации труда в сельском хозяйстве	139
Г. И. ДЖАПАРИДЗЕ, Магрибское золото в грузинских источниках XII—XIII вв.	145
А. А. КУРАТАШВИЛИ, Экономическое стимулирование и хозрасчетная эффективность	152

ფილოსოფია

სხვისო გოგოჟი

ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ურთიერთმიმართების პრობლემა მარქსიზმში და რელიგიურ ეგზისტენციალიზმში

ფილოსოფია ადამიანის გონითი მოღვაწეობის ისეთი ფორმაა, რომელსაც სინამდვილის როგორც ორგანული მთლიანობის შემცენების პრეტენზია აქვს; კერძო მეცნიერებები, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, სინამდვილის როგორც მთელის ნაწილების შემცენებით არიან დაინტერესებული, მთელი და ნაწილები ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდებიან, რაც მათზე ცოდნის ბუნების სხვაობასაც განაპირობებს. ფილოსოფია წარმოადგენს უზოგადეს ცოდნას სინამდვილის როგორც ორგანული მთელის შესახებ; კერძო მეცნიერული — „ზოგადი ცოდნა“ ფილოსოფიური ცოდნის გარდა არსებობს ადამიანის გონითი მოღვაწეობის სხვა ფორმებიც (მაგალითად კერძო მეცნიერებები, ხელოვნება და სხვა), რომლებიც სინამდვილეს სხვადასხვა, განსხვავებული კუთხით ახასიათებენ. ფილოსოფია როგორც სინამდვილის შესახებ ერთიანი, ორგანული ცოდნის სისტემა, შეუძლებელი გახდებოდა, რომ არ არსებობდეს გარკვეული კავშირი ფილოსოფიისა და ადამიანის გონითი მოღვაწეობის სხვა ფორმებს შორის, — მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს.

ფილოსოფიის სპეციფიკას შეიძლება ვწვდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავარკვევთ ზოგადისა და უზოგადესის დამოკიდებულებას — ადამიანის გონითი მოღვაწეობის სისტემაში. უზოგადესი და ზოგადი და, შესაბამისად ფილოსოფია და გონის სხვა მოღვაწეობანი გარკვეულ კავშირში იმყოფებიან, სადაც უზოგადესი გარეგანდამწვდომს წარმოადგენს. მასთანადავ, უზოგადესის, ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკის დადგენისათვის, საკიროა მისი მიმართების განხილვა გონის სხვა მოღვაწეობებთან. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ფილოსოფიურის მიმართების განხილვა კერძო მეცნიერულ ცოდნასთან. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტამ, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს ფილოსოფიურის სპეციფიკის ზოგიერთი ასპექტის ნათელყოფას.

ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების პრობლემა საგანგებო ყურადღების ცენტრში იდგა და მის რელიგიურ საფუძველზე გადაწყვეტას ცდილობდა XX საუკუნის ცნობილი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-ეგზისტენციალისტი ნ. ბერდიევი (1874—1948) მისი თვალსაზრისის კრიტიკული ანალიზის შემდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვეცდებით აღნიშნული პრობლემის დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაწყვეტის გამოცემას.

1. ნ. ბერდიევის მიხედვით, ფილოსოფიური ცოდნა კერძო მეცნიერული ბუნებისა არ არის; ფილოსოფია არ არის მეცნიერული და არც მეცნიერება. მისი აზრით, ფილოსოფია არ არის დაინტერესებული სამყაროთი, როგორც ის არის; მას აინტერესებს სამყაროსა და ადამიანის ბედი. ფილოსოფია არის თავისებურად გაგებული რწმენა, რომელიც არაა რელიგიური რწმენის იგივეობრივი (იგულისხმება ისტორიული ქრისტიანობა). ფილოსოფია არის „შემოქმედებითი რწმენა“.

ბერდიევის მსოფლმხედველობაში ერთი რამ თავიდანვე ცხადია; ფილოსოფია ეს არის თავისებურად გაგებული რელიგია, ფილოსოფიურობის სპე-

¹ უზოგადესთან და არა თავის საკვლევ ობიექტთან მიმართებაში. თავის სფეროში კერძო მეცნიერული ცოდნაც, რა თქმა უნდა, უზოგადესია.



ციფიკა რწმენისა და შემოქმედების გარკვეულ ერთიანობაში მდგომარეობის ფილოსოფიურობის ასეთი გააზრების გამო, მეცნიერულობისა და მეცნიერების კავშირი ფილოსოფიასთან უარყოფილია. ნამდვილი ფილოსოფია, მისი აზრით ირაციონალური უნდა იყოს. მის წინაშე დადგა საკითხი კერძო მეცნიერული ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების შესახებ, რაც ფილოსოფიისა და მეცნიერების დამოკიდებულების გარკვევას გულისხმობს.

ბერდიაევი განიხილავს ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების სამ ტიპიურ გადაწყვეტას:

- ა) როცა აღიარებენ ცოდნას და რწმენას უარყოფენ,
- ბ) როცა აღიარებენ რწმენას და ცოდნას უარყოფენ,
- გ) როცა ცნობენ ცოდნისა და რწმენის დუალიზმს.

ბერდიაევი არ ეთანხმება ზემოჩამოთვლილ არც ერთ გადაწყვეტას. პირველი ორი თვალსაზრისი, მისი აზრით, წარმოადგენს ცოდნის ან რწმენის როლის გააბსოლუტებას, რაც ცალმხრივი და არასწორია. ასევე არასწორად მიაჩნია მას ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების მესამე გადაწყვეტა, რაც მათს გარკვეულ ერთიანობაში მდგომარეობს. ეს ნიშნავს ორი ჭეშმარიტებისა და ორი გონის აღიარებას, ეს კი ბერდიაევის მსოფლმხედველობისათვის მიუღებელია. იგი ცდის ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების ორიგინალურ გააზრებას ისეთნაირად, რომ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისთა შეცდომები არ განმეორდეს.

ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების გარკვევას ბერდიაევი იწყებს ცნებების განმარტებით, რწმენა არის უხილავი საგნების გამჟღავნება, რომლებიც თავს იძლევიან არ გვეჩვევიან, ხოლო ცოდნა წარმოადგენს ხილული საგნების გამჟღავნებას. „ხილული“ უნდა გავიგოთ როგორც იძულებითი მოცემულობა, „უხილავი“ კი არაიძულებითი, თავისუფალი მოცემულობაა, — ფიქრობს ბერდიაევი. პირველი ცოდნის სფეროა, მეორე რწმენისა. ცოდნის ყველა აქტი დაწყებული ელემენტარულ აღქმიდან, შეიცავს იძულებას, სხვაგვარად შეუძლებლობას, არჩევანის თავისუფლების უარყოფას, ცოდნის საშუალებით მოპოვებული თვალხილული სამყარო ჩემში იძულებით შემოდის. რწმენა — გონის თავისუფალი აქტია, თავისუფლების გარეშე რწმენა არ არსებობს².

ამრიგად, ბერდიაევის აზრით, ტრადიციულად გაგებული ცოდნა და რწმენა ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ნათელი მიიწვას არ არის. საჭიროა პასუხი შემდეგ კითხვებზე რატომ ვიცით ჩვენ თვალხილული იძულებითი, ემპირიული სამყარო, მაშინ როცა უხილავი მხოლოდ გვწამს? რატომ გვეჩვენება ეს ქვეყანა უეჭველად. მაშინ როცა ის ქვეყანა საეჭვოა? ბერდიაევი ამ კითხვებზე თავისებურ პასუხს იძლევა.

მისი აზრით, ჩვენ „დადუჯეროთ“, ამოვარჩიეთ ეს სამყარო და სწორედ ამიტომ, რომ ის ფიცით ჩვენმა ნებამ ამოვარჩია სწორედ ეს სამყარო. ამ სამყაროსადმი რწმენის ძალით მასზე ცოდნა გახდა საყოველთაო და მტკიცე. რწმენა სხვა სამყაროსადმი ან სუსტია, ან საერთოდ არ არსებობს. ამიტომ ჩვენ არ ვიცით სხვა სამყარო. მისდამი ჩვენი დამოკიდებულება არააუცილებელი და იძულებითია. სამყაროს გაორება ხილულ და უხილავ ობიექტებად უნდა ვეძებოთ ჩვენი ნების საიდუმლოებაში. ჩვენ ვიცით ის, რაც შევიყვარეთ და ამოვარჩიეთ, ხოლო ის რაც უარვყავით, რასაც გავეჭვით, მას ვერც

² Бердяев, Н. Философия свободного духа, Париж, 1927, стр. 157, 160.

ვხედავთ და არც ვიცით. როგორაა შესაძლებელი, რომ უხილავი საგნები მსხვერპლული გავხადოთ? მხოლოდ არჩევანის, სიყვარულის ახალი აქტით შეიძლება გავიგოთ და ხილული გავხადოთ უხილავი საგნები³. ყოველივე იმას, რაც არჩეულ სამყაროსთანაა დაკავშირებული ვთვლით საყოველთაოდ, ხოლო იმას, რაც დავიწყებული და უარყოფილია — პრობლემატურად, საეჭვოდ. ამ სამყაროსადმი ჩვენი რწმენა, ისე ძლიერია, რომ ჩვენი დამოკიდებულება მისდამი დებულებს იძულებითის, საყოველთაოს, ე. ი. მეცნიერული ცოდნის ფორმას.

მოცემული სამყაროსადმი თავისუფალი არჩევანის, ე. ი. რწმენის აქტი უკვე მოხდა; უხილავის მიმართ იგი ხელმეორედ უნდა მოვახდინოთ. ამით ჩვენ შესაძლებლობა გვქმნება უარყოფით ძველი და ავირჩიოთ ახალი. თუ ძველი არჩევანი ვერ ამართლებს, საჭიროა მისი გადარჩევა. მოხდა სიყვარულის ობიექტივაცია; მე დავივიწყე, რომ ეს სამყარო ჩემი არჩეულია. მე იმდენად მჯერა, იმდენად მწამს ამ სამყაროსი რომ რწმენა გადავიდა ცოდნაში, იძულებაში. საჭიროა მოიხსნას ობიექტივირებული სამყარო. ეს კი მხოლოდ თავისუფალი არჩევანით, სიყვარულის ახალი ობიექტის მოძებნით შეიძლება, რწმენის შეცვლა ცოდნით არის თავისუფალ არჩევანზე უარის თქმა, შიში სიძნელის წინაშე. ეს კი ადამიანის დადაბლებას, მისი სპეციფიკის დაკარგვას ნიშნავს.

ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების ტრადიციული გაგებისაგან განსხვავებით, ბერდიაევი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ისინი დაპირისპირებული ცნებები არ არიან. ცოდნა და რწმენა არსებითად ერთი და იგივეა. სამყარო, მისი აზრით, ერთია და მაშასადამე ცოდნაც ერთი უნდა იყოს. სამყაროს დაყოფის მიზეზი, ცოდნისა და რწმენის სფეროებად, ობიექტივაციაში უნდა ვეძებოთ. ცოდნა ორი ფორმით არსებობს. კერძო მეცნიერული ცოდნისა და რწმენის სახით, მაგრამ ეს ფორმები არაა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ცოდნა, ბერდიაევის აზრით, არის ელემენტარული და არასრული რწმენის ფორმა. ეს არის რწმენა დაბალი, სინამდვილისადმი. მეცნიერული ცოდნის დროს ადამიანი დგას ისეთ ადგილზე, საიდანაც ყველაფერი არ მოჩანს. რწმენა, რომელიც აგრეთვე ცოდნას წარმოადგენს, ადამიანის ისეთ ადგილზე დგომას გულისხმობს, საიდანაც მთელი უსაზღვროებაა მის წინ გადაშლილი, რწმენა არის უმალღესისა და სრულყოფილის ცოდნა⁴. ცოდნისა და რწმენის დამოკიდებულების ასეთი გაგების გამო, ზემოთ ჩამოთვლილი სამი თვალსაზრისიდან, ცხადია, ბერდიაევის არ შეეძლო არცერთის გაზიარება. მისთვის უმალღესი რწმენა ცოდნაა და პირიქით. უმალღესი ცოდნა რწმენას წარმოადგენს. ცოდნა და რწმენა არსებითად ერთი და იგივეა როგორც აღვნიშნეთ, ისინი ერთის ორი ფორმაა და არა დაპირისპირებული ცნებები.

ფილოსოფიის სწრაფვა მეცნიერულობისაკენ, ბერდიაევის აზრით, მარტო ზემოთ დასახელებული მიზეზობით არაა გამოწვეული. ფილოსოფიის მეცნიერებისადმი დაქვემდებარება, რაც თავისუფლების აუცილებლობისადმი დაქვემდებარებას ნიშნავს, თვით ფილოსოფოსების მიზეზითაა გამოწვეული. იმის მაგივრად, რომ ფილოსოფოსებმა გადალახონ მეცნიერულობა და მეცნიერება, მათი შეზღუდულობა ისინი ცდილობენ ფილოსოფიაც, ფილოსო-

³ Бердяев Н. Философия свободы, М., 1911, стр. 44.

⁴ იქვე, გვ. 47.



ფოსობაც გახადონ მეცნიერული ან მეცნიერება, რაც თავის გამოხატულებას კერძო მეცნიერებათა კრიტერიუმის ფილოსოფიაზე გავრცელებაში პოულობს.

ფილოსოფიას ოცნებად აქვს გადაქცეული გახდეს მეცნიერება ან მეცნიერების მსგავსი. მაინც „მეცნიერული“ ფილოსოფიის წარმომადგენლებისათვის მეცნიერული შემეცნება არის ერთადერთი შესაძლებელი შემეცნება. თუ არსებობს მეცნიერული შემეცნება, ფილოსოფიური შემეცნებაც მეცნიერულის მსგავსი უნდა იყოს, ასევე ისინი.

ბერდიაევი საწინააღმდეგო თვალსაზრისს აწვითარებს. მისი აზრით, ფილოსოფია არავითარი აზრით არ არის მეცნიერება და არავითარი აზრით არ უნდა იყოს მეცნიერული. მისთვის გაუგებარია რატომ მოიხურვა ფილოსოფიამ გახდეს მეცნიერული. არ უნდა იყოს მეცნიერული მორალი, ხელოვნება, რელიგია. არაფერი, გარდა მეცნიერებისა, არ უნდა იყოს მეცნიერული. ფილოსოფია უნდა იყოს ფილოსოფიური მორალი — მორალური, რელიგია — რელიგიური, ხელოვნება — მხატვრული. თუ ფილოსოფიას მივიჩნევთ სპეციალურ მეცნიერებად სხვა მეცნიერებათა შორის (მაგ. მეცნიერებად შემეცნების ან არსებულის პრინციპების შესახებ), ამით საბოლოოდ გავაუქმებთ ფილოსოფიას როგორც გონითი ცხოვრების თვითმყოფად სფეროს. თუ ამ თვალსაზრისს მივიღებთ, მაშინ ვეღარ ვილაპარაკებთ ფილოსოფიაზე მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის გვერდით. იძულებული ვიქნებით ვილაპარაკოთ ფილოსოფიაზე, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა კერძო მეცნიერებათა გვერდით. მაგრამ ფილოსოფია ზომ კულტურის დამოუკიდებელი სფეროა და არა მეცნიერებისა⁵.

ამ საშიშროების გარდა, რომ ფილოსოფია სურთ გადააქციონ ერთ-ერთ მეცნიერებად, არის მეორე საშიშროებაც, რაც გამოიხატება მისწრაფებაში, ფილოსოფია გახადონ მეცნიერული. ისმება კითხვა—რა არის მეცნიერულობა და შეიძლება თუ არა ფილოსოფია იყოს მეცნიერული? მეცნიერების საჭიროებაში, ბერდიაევის აზრით, ეჭვი არავის არ ეპარება. ეჭვის შეტანა შეიძლება მეცნიერულობის საჭიროებასა და ღირებულებაში ფილოსოფიის, რელიგიისა და ხელოვნებისათვის. იმის მიმართ, რაც არ არის მეცნიერება, მეცნიერულობა და მეცნიერება სხვადასხვა რამაა. მეცნიერულობა არის მეცნიერების კრიტერიუმის გატანა გონის სხვა მოღვაწეობებზე, რომლებსთვისაც უცხოა მეცნიერება. მეცნიერულობა იმის რწმენაზეა დამყარებული, რომ მეცნიერება არის გონის მთელი ცხოვრების უმაღლესი კრიტერიუმი, რომ მის აკრძალვას და ნებართვას ყველა უნდა დაემორჩილოს მეცნიერება ერთიანი მეთოდის არსებობასაც გულისხმობს. ამას არავენ არ უარყოფს კერძო მეცნიერებათა მიმართ, თუმცა აქაც არ შეიძლება ერთიანი მეთოდით მოღვაწეობა. (ბუნებათმეცნიერების მეთოდებს ვერ გადავიტანთ მაგალითად ფსიქოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებზე). მეცნიერულობა (არა მეცნიერება) არის გონის დამონება ყოფიერების დაბალი სფეროსადმი ეს არის გონის დაქვემდებარება აუცილებლობისადმი მსოფლიო სიმძიმისადმი. ფილოსოფიის დამონება გამოიხატება იმაში, რომ მეცნიერული ცოდნა და რელიგიური

⁵ Бердяев Н. Смысл творчества, М., 1916, стр. 18.

რწმენა (ისტორიული და არაინტერპრეტირებადი) ფილოსოფიური შემოქმედებისათვის გარეგანი მბრძანებელი ხდება⁶.

ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, ბერდიაევი მეცნიერების როლს არ უარყოფს. იმისათვის, რომ სამყაროს „ულრან ტყეში“ დაკარგულმა ადამიანმა შეძლოს ორიენტირება, იგი იძულებულია ჰარმონიაში მოვიდეს ბუნებასთან. მეცნიერება არის ბუნებასთან, აუცილებლობასთან კონტაქტის დამყარების საუკეთესო საშუალება. ფილოსოფიისათვის ყოფიერება არის გონი, მეცნიერებისათვის ბუნება⁷. იმის გამო, რომ მეცნიერების საქმე ბუნებაში ორიენტირებაა, ბერდიაევის აზრით, ფილოსოფიას არასოდეს არ შეეძლო ყოფილიყო მეცნიერება ან მეცნიერული. ფილოსოფიის პათოსი, მისი აზრით, ყოველთვის იყო ბუნების, აუცილებლობის იქით, თავისუფლების სამეფოში გასვლა. „მეცნიერული“ ფილოსოფია, მისი აზრით, არის ფილოსოფიურ უნარსა და მოწოდებას მოკლებულთა ფილოსოფია. ის მისაღებია მათთვის ვისაც ფილოსოფიურად არაფერი აქვს სათქმელი⁸. ფილოსოფია, ბერდიაევის აზრით, მეცნიერება და მეცნიერული კი არაა, არამედ ხელოვნებაა. ეს არის შემეცნების ხელოვნება⁹. ფილოსოფია ხელოვნებაა იმიტომაც, რომ მასზე აღიბეჭდება პიროვნების, ფილოსოფოსის კვალი, ისევე როგორც ხელოვნებას ნაწარმოებზე აღიბეჭდება შემოქმედი პიროვნება; ფილოსოფოსი ქმნის ყოფიერებისეულ იდეებს და არა სხეებს, რაც ხელოვნებასა და ფილოსოფიას ერთმანეთისაგან განასხვავებს. ის დამოკიდებულება, რაც ბერდიაევის აზრით, არსებობს ფილოსოფიასა და მეცნიერებას შორის, საკმარისია იმისათვის, რომ ფილოსოფია განთავისუფლდეს აუცილებლობისადმი მორჩილებისაგან. ასეთი ფილოსოფია უნდა გაზდეს თავისუფლების (თავისუფალთა) ფილოსოფია.

ბერდიაევი სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას „ისტორიული ქრისტიანობის“ მიერ ფილოსოფიის დაქვემდებარების გამო, ასევე არასწორად მიაჩნია მას, როგორც უკვე აღინიშნა, მეცნიერების ავტორიტეტისადმი ფილოსოფიის დაქვემდებარება. ფილოსოფია, ფიქრობს ბერდიაევი, თავისუფლების სფეროა. იმიტომ მისთვის უცხო ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს. მაგრამ ავტონომიურობა იმას არ ნიშნავს, მისი აზრით, თითქოს ფილოსოფია თავის თავით იკვებებოდეს. ასეთი ავტონომიურობის იდეა ყალბია. იგი არ უღრის თავისუფლებას¹⁰. ამის მტკიცება მას იმისათვის სჭირდება, რომ რელიგიასთან ფილოსოფიის კავშირი გაამართლოს მაგრამ ეს უკვე დაქვემდებარება აღარაა. მას მიაჩნია, რომ ფილოსოფიისათვის რელიგია არის პირველწყარო, საკვები¹¹. ასე გაკებულ რელიგიაზე დაფუძნებული ფილოსოფია, მისი აზრით არის ხელოვნება. ეს არის ყოფიერების ირაციონალური, მისტიკური ხედვა.

ბერდიაევის თვალსაზრისი ფილოსოფიის რაობაზე მცდარია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის კონცეფციაში გონის მოღვაწეობანი ერთმანეთს მოწყვე-

⁶ Бердяев Н. О назначении человека, опыт парадоксальной этики, часть I, Париж, 1931, стр. 8.

⁷ Бердяев Н. О назначении человека, ... გვ. 8.

⁸ Бердяев Н. Я и мир объектов, Париж, 1934, გვ. 17.

⁹ Бердяев Н. Смысл творчества, გვ. 24.

¹⁰ Бердяев Н. О назначении человека, часть I, გვ. 7.

¹¹ ბერდიაევი გულისხმობს რაციონალისტი თეოლოგების მიერ არაინტერპრეტირებულ ბიბლიას და სხვა „წმინდა ნაწერებს“.

ტილია. ფილოსოფიას ევალემა დაადგინოს სინამდვილის როგორც მთელს საზრისი. მაგრამ თუ ფილოსოფიურ ცოდნას მეცნიერულობა აკლია, მაშინ მთელზე, როგორც უზოგადესზე მოძღვრება ხელიდან გაგვიქრება. ასეთი ფილოსოფია ცხადია ნაკლოვანი მსოფლმხედველობა იქნება.

ბერდიაევი მართალია როცა იცავს ფილოსოფიას კერძო მეცნიერებისადმი დაქვემდებარებისაგან. მას უნდა მოენახა ფილოსოფიისათვის ავტონომიური, სპეციფიკური სფერო, რომელიც გონის არც ერთ უნართან დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში არ იქნებოდა და არც სხვას დაიქვემდებარებდა. მან კი ფილოსოფიურობის სპეციფიკა დაინახა რწმენისა და შემოქმედების გარკვეულ ერთიანობაში, სადაც შესამჩნევია რწმენის პრიმატი. გაუგებარია რითაა უკეთესი ფილოსოფიის რელიგიასთან (თუნდაც პირველყოფილი მისტიკური ფორმით) და ხელოვნებასთან კავშირი, მეცნიერებასთან კავშირთან შედარებით? რატომ უნდა ჩაითვალოს ავტონომიურობად გონის ზოგიერთ მოღვაწეობისადმი მისი დაქვემდებარება, ხოლო ზოგიერთისადმი (მაგალითად მეცნიერებისადმი) კი არა? ამ კითხვებზე გადამწყვეტი, მეცნიერული პასუხი ბერდიაევს არ გააჩნია. იმის გარდა, რომ ბერდიაევის თვალსაზრისი ჩვენთვის მსოფლმხედველობრივად მიუღებელია, იგი როგორც ვხედავთ შინაგანი ლოგიკური წინააღდეგობის შემცველია, ფილოსოფიისა და მეცნიერების დამოკიდებულების ბერდიაევისეული გადამწყვეტის სიყალბე უფრო ნათლად გამოჩნდება ქვემოთ.

2. როგორ უნდა უზრუნველყოთ ფილოსოფიის როგორც უზოგადესი ცოდნის ავტონომიურობა ისე, რომ მასში გონის სხვა მოღვაწეობანიც მონაწილეობდნენ და ამავე დროს უზოგადესის ზოგადისადმი დაქვემდებარებაც არ გამოგვივიდეს? ამ საკითხზე მარქსისტულ ფილოსოფიას ყველა სხვა მსოფლმხედველობებისაგან განსხვავებული პასუხი აქვს.

მარქსისტული ფილოსოფია მეცნიერული მსოფლმხედველობაა. ფილოსოფია, რომ მსოფლმხედველობაა, ამაზე არაფერს არ დაობს. კამათის საგანს წარმოადგენს ცნება „მეცნიერული“, რა უნდა ვიგულისხმოთ ცნება „მეცნიერულში“ ისეთი, რომ ფილოსოფიის ავტონომიურობა არ დიკარგოს? თუ „მეცნიერულის“ ქვეშ კერძო მეცნიერულს ვიგულისხმებთ, მართალია გონის მოღვაწეობებს შორის გარკვეული კავშირი იქნება, მაგრამ ასე გაგებული მეცნიერული ნაკლოვან მსოფლმხედველობას მოგვცემს. სინამდვილე, როგორც მთელი, რომელიც ფილოსოფიის საგანია, მეტია კერძომეცნიერული ცოდნით მოპოვებულ სინამდვილეზე. ამიტომ ფილოსოფია არასგზით არ შეიძლება იყოს მეცნიერული, „კერძო მეცნიერულის“ გაგებით, ის მასზე რადიკალურად მეტია.

ფილოსოფია გონის უზოგადესი მოღვაწეობაა. ფილოსოფიური ცოდნა უზოგადესი ცოდნაა, სინამდვილის როგორც მთელის შესახებ. მეცნიერული ცოდნა კი ასეთი ბუნებისა არაა. მეცნიერული ცოდნა სინამდვილის როგორც მთელის ნაწილებს შეეხება და თავისთავად ცხადია უზოგადესი არ იქნება. მეცნიერული ცოდნა ზოგადის ბუნებისაა, ფილოსოფიურ ცოდნასთან შედარებით, რომელიც უზოგადესის ბუნებისაა. მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის ზოგადისა და უზოგადესის დიალექტიკური დამოკიდებულებაა, სადაც უზოგადესი გარეგანდამწვდომია. თუ ფილოსოფიური ცოდნა უზოგადესია, მეცნიერული კი ზოგადი, მაშინ ფილოსოფია არასგზით არ შეიძლება იყოს „კერძო მეცნიერული“ მსოფლმხედველობა, ე. ი. მეცნიერულში არასგზით არ

იგულისხმება მარტო „კერძო მეცნიერული“, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა უზოგადესის ე. ი. ფილოსოფიის დაქვემდებარება ზოგადისადმი, ე. ი. კერძო მეცნიერებისადმი, რაც დიალექტიკურ ლოგიკას ეწინააღმდეგება.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ფილოსოფია მეცნიერულიც იყოს და ამავე დროს კერძო მეცნიერულობის დაქვემდებარებული არ გამოვივიდეს? მეცნიერება და ცოდნა არსებითად ერთი და იგივეა. ფილოსოფია ცოდნაა, კერძო მეცნიერული ცოდნაც ცოდნაა. განსხვავება მათშორის იმაშია, რომ ფილოსოფია უზოგადესის ცოდნაა, კერძო მეცნიერული — ზოგადის, განსაზღვრულისა. ფილოსოფიას და კერძო მეცნიერებებს შემეცნების სურვილი ამოძრავებთ. ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დიდი ხნის განმავლობაში ფილოსოფია იყო ერთადერთი ცოდნა, როგორც ზოგადის ისე კონკრეტულის შესახებ. დღეს კი ფილოსოფია არის მხოლოდ ზოგადის ცოდნა, კონკრეტულ ნაწილებს კი კერძო მეცნიერებები დაეპატრონენ. ფილოსოფია და კერძო მეცნიერებები იგივეობრივ მომენტებს შეიცავენ, მაგრამ ერთმანეთს არ ემთხვევიან. მეცნიერულობაში, იმაში, რომ ორივე ცოდნაა, იგივეობა არ იგულისხმება ფილოსოფიურ ცოდნასა და კერძო მეცნიერულ ცოდნას შორის დიალექტიკური დამოკიდებულებაა ფილოსოფიური ცოდნა უზოგადესის ცოდნაა, ამიტომ იგი გარეგანდამწვდომია. კერძო მეცნიერული ცოდნის პრინციპები ზოგადია და უზოგადესის მომენტს წარმოადგენს¹².

ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნა იგივეობრივ მომენტებს შეიცავენ. ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, წარმოადგენს დასაბუთებულ ლოგიკურად მწყობრ სისტემას (ისევე როგორც კერძო მეცნიერებები) სინაპტიკის როგორც მთელის შესახებ. ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ფილოსოფია და კერძო მეცნიერებები ერთი და იგივეა, მათ შორის განსხვავებაა. განსხვავების საფუძველი ხდება ფილოსოფიის საგნისა და კერძო მეცნიერებათა საგნის თვისობრივი განსხვავება. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, საკვლევ ობიექტთა თვისობრივი სხვაობა განპირობებს დასაბუთების სხვაობასაც, რაც საბოლოოდ ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებების განმასხვავებელი ნიშანიც იქნება.

ფილოსოფიური დასაბუთების არსება თვითდასაბუთებაში მდგომარეობს¹³. ფილოსოფია თავისი ძირითადი დებულებების დასაბუთებისათვის სხვას ვერ მიმართავს, რადგან მის გარდა სხვა მასზე უფრო უზოგადესი, ყოვლისმომცველი მოღვაწეობა არ არსებობს. ფილოსოფიური დასაბუთება, გარდა თავისი თავისა, არაფრით არ შეიძლება იყოს განპირობებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფილოსოფია, ფილოსოფიური დასაბუთება კერძო მეცნიერულს მოკლებულია. ფილოსოფიური დასაბუთება, (ისევე როგორც უზოგადესი არ არსებობს ზოგადის გარეშე) არ არსებობს კერძო მეცნიერული დასაბუთების გარეშე.

მეცნიერული დასაბუთება ეს არის სხვით განსაზღვრული დასაბუთება მას დასაბუთებაში მყარი საფუძველი არ გააჩნია. მეცნიერული დასაბუთება საფუძველს სხვაში, კერძოდ კი ფილოსოფიაში ნახულობს, რაც უკვე აღარაა კერძო მეცნიერების სფერო. ამის გამო კერძო მეცნიერული ცოდნა ალბათურ

¹² Философская энциклопедия, т. 3.

¹³ ამის შესახებ იხ. ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965, განსაკუთრებით მესამე ნაწილი, დასაბუთება, გვ. 512-დან.

ხასიათს ღებულობს კერძო მეცნიერებებზე ყოველთვის ბატონობს ესა თუ ის ფილოსოფია¹⁴, იმის მიუხედავად სურთ ეს თუ არ სურთ კერძო მეცნიერებათა წარმომადგენლებს, ზოგადი ხომ ყოველთვის უზოგადესით, როგორც გარეგანდამწვედომითაა პირობადებული.

მეცნიერულობის ძირითადი საზომი დასაბუთებადობაა, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ფილოსოფიური ცოდნა უმაღლესი მეცნიერულია. კერძო მეცნიერული კი ნაკლოვანი ცოდნაა, არა თავისი საკვლევი ობიექტის, არამედ უნივერსუმის მიმართ. ეს ფაქტი კერძო მეცნიერების დამცირება, მათი როლი უარყოფა არაა. კერძო მეცნიერებებს თავისი სპეციფიკური ფუნქცია გააჩნიათ. მას კი ისინი ვერ შეასრულებენ თუ ეცდებიან ამ ე. წ. „ნაკლოვანების“ გამოსწორებას კერძო მეცნიერებების ყოველგვარი პრეტენზია, იმაზე რაც არ არის კერძო მეცნიერულის ბუნებისა, ისევე როგორც ფილოსოფიის პრეტენზია არაფილოსოფიურის კვლევაზე არ არის სასარგებლო არც ერთისათვის და არც მეორისათვის ამ შემთხვევაში მოხსნილია ფილოსოფიის კერძო მეცნიერებებისადმი დაქვემდებარების საშუალება. „ცნება“ „მეცნიერული მსოფლმხედველობა“ ამ შემთხვევაში სხვა აზრს ღებულობს მეცნიერულობა ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკა გამოდის იგი არაა ნახესხები კერძო მეცნიერებებიდან. მეცნიერულობა ამ შემთხვევაში უკვე აღარ ნიშნავს კერძო მეცნიერებების კრიტიციუმი გაღატანას ფილოსოფიაზე, როგორც ეს ბერდიაევს ეგონა.

ფილოსოფიის მეცნიერულობა მოწყვეტილი არ არის კერძო მეცნიერულს. შარათლია გარეგანდამწმდომი უზოგადესია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ზოგადების გარეშე არსებობს. უზოგადესი, გარკვეული აზრით, ზოგადებითაა განსაზღვრული ფილოსოფიური როგორც უზოგადესი ცოდნა უზოგადესის შესახებ, განსაზღვრულია კერძო მეცნიერული, როგორც ზოგადის შესახებ ცოდნით. არსებული ფილოსოფია ყოველთვის მოცემული ეპოქის მეცნიერული სურათითაა განსაზღვრული ამის ნათელი დადასტურებაა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ბუნებისმეტყველების მიღწევათა ღრმა ანალიზის შემდეგ მარქსისტული ფილოსოფიის შემოქმედებითი განვითარება ვ. ი. ლენინის მიერ. არსებული ფილოსოფია ყოველთვის ისტორიული პროდუქტია და ეპოქითაა განსაზღვრული¹⁵. ეს ფაქტი ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერებათა მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენს.

მეცნიერულობა, მეცნიერების კანონთა გარკვეულ სიმყარეს გულისხმობს, თუ საკვლევი ობიექტი ამ სიმყარეს მოკლებულია, მაშინ ცოდნაც, რაც კანონის სახით ფორმდება, არამყარი იქნება კერძო მეცნიერებებში საკვლევი ობიექტის და მასზე ცოდნის სიმყარის საკითხზე არავეინ დაობს.

ფილოსოფიაში საქმე ცოტა სხვანაირადია. ერთი და იგივე პრობლემა ფილოსოფიაში სხვადასხვანაირად გადაწყვეტას პოულობს. „არხე“ ზოგისათვის წყალია, ზოგისათვის ჰაერი, ზოგისათვის აპერიონი და ასე შემდეგ. უფრო მეტიც, ერთი და იგივე სინამდვილის სუბსტანცია შეიძლება ერთისთვის მატერიალური იყოს, მეორისათვის იდეალური.

¹⁴ ფ. ენ გ ე ლ ს ი. „ბუნების დიალექტიკა“, თბ., 1950, გვ. 214.

¹⁵ ფ. ენ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურიანი, თბ., 1952, გვ. 394, ჰე გ ე ლ ი. ლოკის მეცნიერება, გვ. 48.

ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ფილოსოფია აბსოლუტური ცვალებადი ცოდნის ჯამია, სადაც არავითარ მეცნიერულ სიმყარეზე არ შეიძლება ლაპარაკი. ეს აზრი სწორი იქნება და ფილოსოფია გამოცხადდება შეხედულებათა ჯამად იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ ფილოსოფიის საკვლევი ობიექტიც ცვალებადია. ამ საკითხის გასარკვევად ფილოსოფიის ისტორიას უნდა მივმართოთ.

ფილოსოფიის ისტორია ერთ უმჯველ რამეს გვეუბნება, რომ ყველა ფილოსოფიური სისტემები განსხვავებულია, უფრო მეტი, ურთიერთგამომრიცხავიც კი არის. ყველა ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ჰქონდა აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია, თუმცა ეს დღემდე არავის დაუდგენია და ვერც დაადგენს. არა მარტო ცალკეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობები, არამედ არც დღემდე არსებული ფილოსოფიური ცოდნა წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ეს რომ ასე იყოს ფილოსოფია, როგორც სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერებების დამდგენი მოღვაწეობა არსებობას შეწყვეტდა. დღემდე არსებული ფილოსოფია შეფარდებითი ჭეშმარიტების შემცველია და არა აბსოლუტურის. შეფარდებითის არსებობა გულისხმობს აბსოლუტურსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში შეფარდებითი იქცეოდა აბსოლუტურად. ამიტომ აბსოლუტურის არსებობაზე მსჯელობა დასაშვებია შეფარდებითის არსებობის ფაქტის გამო. თუ არსებობს აბსოლუტური, მაშინ შეფარდებითი უნდა შეიცავდეს მის ნაწილს. შეფარდებითი აბსოლუტურის რაღაცნაირი მატარებელი უნდა იყოს. შეფარდებითი არ არის აბსოლუტური ცვალებადობა იგი უცვლელის, მყარის შემცველია. ფილოსოფიის ისტორია არა მარტო ცვალებადობათა, წინააღმდეგობათა, ისტორიას, არამედ აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებსაც შეიცავს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად ფილოსოფიის საგნის სხვადასხვა ინტერპრეტაციების არსებობისა უნდა არსებობდეს უცვლელი ყველა ფილოსოფიური სისტემისათვის საერთო საგანი, რომლის ამა თუ იმ ინტერპრეტაციასაც წარმოადგენს ესა თუ ის მსოფლმხედველობა. მაშინ ყოველ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას თავისი საგანი და ამ საგნის შემეცნების მეთოდები ექნება. როგორც ვხედავთ ფილოსოფიას გააჩნია მყარი საკვლევის საგანი, მაგრამ საჭიროა პასუხი გავცეს შემდეგ კითხვებს? რას წარმოადგენს ფილოსოფიის საგანი? რა ბუნებისაა იგი? რატომაა შესაძლებელი მასზე სხვადასხვა ინტერპრეტაციების არსებობა?

ფილოსოფიამ დღემდე, შესამეცნებელი ობიექტების ცხადებადობის თვალსაზრისით გაიარა სამი საფეხური:

ა) ფილოსოფია განვითარების ადრეულ საფეხურზე სწავლობდა სინამდვილეს როგორც მთელს თავისი ნაწილებითურთ. ამ დროს ფილოსოფოსებმა წინდა ფილოსოფიური პრობლემატიკის გარდა იკვლევდნენ გეომეტრიის, ასტრონომიის, მედიცინის, გეოგრაფიის და სხვა საკითხებს. ცნება „ფილოსოფიის“ ჭეშმ იგულისხმებოდა ყოველგვარი ცოდნა. პლატონის ცნობილი გამოთქმა „გეომეტრია ან სხვა რომელიმე ფილოსოფია“ სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეცნიერებანი ფილოსოფიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ და ვითარდებოდნენ. ძველი ბერძნები კერძო მეცნიერებებს. ფილოსოფიურ დისციპლინებად თვლიდნენ სინამდვილე მათთვის ერთი და მთლიანი იყო, მისი ყველა ნაწილებისადმი დამოკიდებულება ფილოსოფიური



იყო. მაშასადამე, ფილოსოფია ამ საფეხურზე სწავლობდა მთელ სინამდვილეს, მისი ნაწილებითურთ.

ბ) მეორე საფეხურზე ფილოსოფიას საქმე აქვს სინამდვილესთან როგორც მთელთან და მის ზოგიერთ ნაწილთან. კერძო მეცნიერებანი ნაწილობრივ გამოეყენენ ფილოსოფიას. ბურჟუაზიის მრეწველობის განვითარებისათვის ესაჭიროებოდა მეცნიერება, რომელსაც უნდა ეკვლია ფიზიკურ სხეულთა თვისებები და ბუნების ძალთა გამოვლენის ფორმები. აქამდე კი მეცნიერება იყო რელიგიის მორჩილი მოსამსახურე და არ ჰქონდა უფლება გასულიყო რწმენის მიერ დადგენილ საზღვრებს გარეთ. ამის გამო ის იყო ყველაფერი გარდა მეცნიერებისა. ახლა მეცნიერება აღსდგა ეკლესიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის სტირდებოდა მეცნიერება და მიიღო მონაწილეობა ამ აჯანყებაში¹⁶. ამ დროს ფილოსოფიაც ასეთივე მდგომარეობაში იყო. ფილოსოფია და მეცნიერება ორივე რელიგიას ემსახურებოდნენ. არც ქრისტიანული რელიგიის ბატონობამდე იყო მეცნიერება ავტონომიური. იგი ფილოსოფიის მიერ დადგენილ საზღვრებში მოღვაწეობდა ფილოსოფიური მეთოდებით, რაც მას გარკვეულ ზიანს აყენებდა, ამუხრუჭებდა მის განვითარებას. ორივე შემთხვევაში კერძო მეცნიერებები მოკლებული იყო ფილოსოფიისაგან და რელიგიისაგან განსხვავებულ კვლევის მეთოდებსა და ფორმებს. ახალ საუკუნეებში, სპეკულაციური აზროვნება ბუნების მიმართ არსებობას წყვეტს ასპარეზზე გამოდიან პოზიტიური მეცნიერებანი. თავისი სპეციფიკური მეთოდებითა და ფორმებით¹⁷. ყოველივე ამან გამოიწვია კერძო მეცნიერებათა სწრაფი, შეუფერხებელი განვითარება.

გ) მესამე საფეხურზე ფილოსოფიას საქმე აქვს სინამდვილესთან როგორც მთელთან, მისი ნაწილების გარეშე კერძო მეცნიერებათა გამოყოფის პროცესი ძირითადად დამთავრებულია.

როგორც ვხედავთ ფილოსოფიას თავისი არსებობის მანძილზე საქმე ჰქონდა ერთ უცვლელ ობიექტთან; კერძოდ სინამდვილესთან როგორც მთელთან. ამის გარდა ფილოსოფია შეისწავლიდა სინამდვილის როგორც მთელის ნაწილებს. ის რომ ფილოსოფიას თანდათან ჩამოსცილდა კერძო მეცნიერებები არ ნიშნავს მის გაღარიბებას. პირიქით, ამით ფილოსოფია განთავისუფლდა იმისაგან რაც არ იყო ფილოსოფია.

სინამდვილე, როგორც მთელი ყოველთვის დარჩება ფილოსოფიის შემეცნების ობიექტად, იმიტომ რომ არ არსებობს სხვა რომელიმე მეცნიერება, რომელიც დაინტერესებული იყოს მთელით, როგორც მთელით. კერძო მეცნიერებები ყოველთვის დაინტერესებული არიან სინამდვილის ამა თუ იმ ნაწილით. თუ ისინი მთელით ან ნაწილის მთელთან მიმართებით დაინტერესდებიან ამით ფილოსოფიის საქმე გაკეთდება და არა კერძო მეცნიერებებისა.

სინამდვილე, როგორც მთელი, წარმოადგენს არა ნაწილების მექანიკურ ერთიანობას, არამედ ორგანულ მთელს. მთელი რომელსაც ფილოსოფია სწავლობს, მექანიკური ჯამი რომ იყოს, ნაწილებზე იქნებოდა დამოკიდებული, სინამდვილეში ასე არაა, მთელი როგორც ორგანული მთელი გარეგანდამწვდომია ნაწილებისათვის. ამიტომ ფილოსოფია და მისი საგანი გარკვეული აზრით არაა განსაზღვრული კერძო მეცნიერებებით და მათი საგნებით, მა-

¹⁶ К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. изд. II, т. 22, стр. 307.

¹⁷ К. Маркс, Ф. Энгельс. Избр. произ. т. 1, М., 1966, стр. 15.

შინ როცა ნაწილები მთელზეა დამოკიდებული და მთელითაა განსაზღვრული. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფილოსოფია კერძო მეცნიერებათა ფუნქციის შესრულებას კისრულობდეს. ფილოსოფია, რომელიც შეისწავლის სინამდვილეს როგორც ნათელს, მთელის შეცნობით ვერასოდეს ვერ გაიგებს ნაწილებს (აქ იგულისხმება ისეთნაირი გაგება, როგორც ამას კერძო მეცნიერებები აკეთებენ) და კერძო მეცნიერებანი ნაწილების შემეცნებით ვერასოდეს ვერ გაიგებენ მთელს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ბუნება თვისობრივად განსხვავებულია, ფილოსოფიას კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებული საგანი გააჩნია, სინამდვილის როგორც მთელის, მისი უზოგადესი კანონზომიერების სახით. მაგრამ მთელის ცნება გაურკვეველია კერძო მეცნიერების საგანთან შედარებით.

ჩვენ არასოდეს არ გვაკვირვებს ფიზიკური სინამდვილე, ფიზიკური მოძრაობა, რომელიც ფიზიკის საგანია, სხეულთა გადანაცვლება, რომელიც მექანიკის საგანია, რას წარმოადგენს ლიტერატურა, ენა, რაც ფილოლოგიის საგანია და სხვა. ეს იმიტომ, რომ კერძო მეცნიერებათა საქმე აქვთ სინამდვილის, როგორც მთელის ნაწილებთან მათი შემოსაზღვრა და მასასადამე განსაზღვრაც შესაძლებელია სხვა ნაწილების დახმარებით მთლიანობა კი როგორც პთლიანობა არ შეიცავს ამგვარი შემოსაზღვრის და განსაზღვრების შესაძლებლობას. თუ მთელი შემოსაზღვრეთ და განსაზღვრეთ იგი მთელი აღარ იქნება. იგი თავისი თავის გარდა არაფრით არ შეიძლება იყოს განსაზღვრულა, რადგან მის გარდა არაფერი არ არსებობს. ამიტომაც გაძნელებული ფილოსოფიის, ამ საყოველთაო საგნის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. განსაზღვრა შეუძლებელია მანამდე, სანამ, მას ცენობთ როგორც მთელს. მაგრამ ადამიანის გონს, რომელიც მიისწრაფვის საყოველთაო შემეცნებისაკენ არ შეუძლია ეს ცნოს და ამიტომ ცდილობს მისცეს მას რაიმე განმარტება, განსაზღვრება, რაც ამ მთელის ბუნების გამოყოველთვის ნაკლოვანი იქნება.

მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს პრეტენზია ვილაპარაკოთ მთელზე როგორც არსებულზე. ნაწილების არსებობა, რომელიც კერძო მეცნიერებათა საგანია, მიუთითებს მთელის არსებობაზე. ნაწილების არსებობა ფაქტია, მაგრამ ნაწილები ყოველთვის რაიმეს ნაწილებია. ნაწილები, ნაწილის ნაწილები არ შეიძლება იყოს. ნაწილები ყოველთვის მთელის ნაწილებია და მთელს გულისხმობს.

სინამდვილე, როგორც მთელი, რომელიც ფილოსოფიის საგანია არ არის კერძო მეცნიერებათა საგნის ბუნების, მათ შორის სასრულისა და უსასრულოს დიალექტიკური დამოკიდებულება. იმისათვის, რომ სინამდვილის როგორც მთელის ბუნება გავარკვიოთ საჭიროა უსასრულოსა და მთელის ბუნების გაანალიზება.

მთელი, რომელთანაც ფილოსოფიას აქვს საქმე, გაგებული უნდა იქნას როგორც დასრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთელი აღარ იქნება, მაგრამ მთელი არ უდრის სასრულს, მეტია მასზე. სინამდვილე როგორც მთელი დასრულებული უსასრულოა¹⁸. ეს ტერმინი კარგად გამოთქვამს ფილოსოფიის საგნის არსებას. სინამდვილის, როგორც მთელის, როგორც

¹⁸ უსასრულოს როგორც „გარეგანამწვდომის“ ასეთი გაგება გვხვდება მარქსიზმის კლასიკოსებთან და მათ საფუძველზე ს. წერეთლის შრომებში.

უსასრულოს გააზრება, არ შეიძლება, იგი მთელი აღარ იქნება, უსასრულო ზომ რაღაცნაირად გაგებულ დაუბოლოვებელს ჰქვია, რომელსაც მთელამდე რაღაც აკლია; ამ თვალსაზრისით სინამდვილე როგორც მთელი ცნება უსასრულოს შინაარსის საპირისპიროა. ფილოსოფიის საგანია დასრულებული უსასრულო მთელი და არა უსასრულო. მაგრამ რადგანაც ფილოსოფოსობს ადამიანი და არა ღმერთი¹⁹, რომელიც არ არის სრულყოფილი შემეცნებითი შესაძლებლობის მქონე, ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ მას და ვერ შემეცნებთ აბსოლუტურად. ამ თვალსაზრისით ჩვენ საქმე გვაქვს დაუბოლოვებელთან, უსასრულოსთან.

მაშასადამე, სინამდვილე როგორც მთელი — ონტოლოგიური თვალსაზრისით, სრული უსასრულოა, დაბოლოვებულია; შემეცნებითი თვალსაზრისით დაუბოლოვებელი და უსასრულოა. ეს არ ნიშნავს ორნაირი სინამდვილის აღიარებას. სინამდვილე, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ერთიანია. რაც მის მატერიალურობაში მდგომარეობს. სინამდვილის როგორც მთელის ბუნების გაგებისათვის საჭიროა მისი ორნაირი დახასიათება, რაც ერთის ორ მხარეს წარმოადგენს, ერთს სრულყოფილად ახასიათებს და არ თიშავს ორად. აი სწორედ ამ თვალსაზრისითაა სინამდვილე როგორც მთელი დაპირისპირებულთა ერთიანობა, სრული და უსასრულო. ფილოსოფიის ასეთი საგანი კი უცვლელია ყველა ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის, რაც ფილოსოფიური ცოდნის სიმყარის, მეცნიერულობის გარანტიაა.

დასაბუთებადობა, ეპოქის კერძო მეცნიერულ სურათზე დაეყრდნობა და საკვლევი საგნის გარკვეული აზრით უცვლელობა იძლევიან ფილოსოფიის მეცნიერულობის აღიარების საკმაო საფუძველს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიის „მეცნიერულობა“ არ უდრის კერძო მეცნიერებათა „მეცნიერულობას“, რომ მეცნიერულობა ფილოსოფიური მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად სპეციფიკას წარმოადგენს და არსაიდან არაა ნასესხები.

¹⁹ ღმერთის ცნებას ეხმარობთ როგორც ზესასრულის გამომხატველს, სასრული, ადამიანური ბუნების საპირისპიროდ.



ლია ჰაპხავაძე

ტრაპიკულს კატეგორია და მოდერნიზმი

(ფ. კაფკას „პროცესის“ მიხედვით)

ნაშრომის ამოცანაა მოდერნიზმის გამოკვლევა ტრაგიკულის კატეგორიასთან (რეალის-ტურ-ტრაგიკული კონფლიქტი) მიმართებაში. ამ მიზნით, მოცემულია მოდერნიზმის (თანამედროვე მოდერნისტულ ხელოვნებაში გავრცელებული სურათი) ერთ-ერთი ნიმუშის, ფრანც კაფკას „პროცესის“ კრიტიკული ანალიზი იმ ისტორიულ-სოციალური სინამდვილის კვლევასთან კავშირში, რომელზედაც ხელოვნების მოდერნისტული მიმართულება აღმოცენდა. გასანალიზებლად „პროცესის“ არჩევა ჩვენ მიერ შემთხვევითი არ ყოფილა, ამ რომანში უკულავე უკეთ ვლინდება კაფკას პროზის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათი.

„ყველა ისინი როგორ დაამცირეს აქ“ (ფ. კაფკა)

ბანკის უფროსი პროკურისტის იოზეფ კას თავგადასავალი წარმოვედგება გარესსინამდვილესთან ადამიანის კონფლიქტის სახით, რის შედეგადაც ადამიანი იღუპება: კა მოულოდნელი, საიდუმლო სასამართლო პროცესის მსხვერპლი ხდება. ამრიგად კონფლიქტის მხარეებად გვევლინებიან იოზეფ კა და საიდუმლო სასამართლო. ცხოვრებისაგან დაღლილი, გულგრილი ბიუროკრატი კა სრულიად გამოფიტული, ინტერესებისაგან დაკლებილი ცხოვრებას მისდევს. ეს არის მწირო, რუხი, ერთგანზომილებიანი სიცოცხლე. ამასთან, გარეგნულად იგი ცხოვრების არსებულ ნორმებს არ არღვევს. საკუთარ უდანაშაულობაში დაწმუნებული კი იწყებს სიტუაციის გამორკვევას, ეცნობა საიდუმლო სასამართლოს, თავს იცავს, ბოლოს კი სრულ უიმედობაში ვარდება.

რომანის კონტექსტით ჩანს, რომ საიდუმლო სასამართლო არა რომელიმე ერთი (იუიოიიიოიოი) ინსტანციად, არამედ მასში იგულისხმება მთელი სახელმწიფო აპარატი თავისი ბიუროკრატიული, კორუფციული ბუნებით. „პრო-

1977

1 იმ მწერალთა შორის, ვინც დიდი გავლენა მოახდინა კაფკაზე, ასახელებენ ჰოდმანს, დოსტოევსკის, დიკენსს, კლაისტს, კაფკას პროზას უმოთხერხად ექსპრესიონიზმს მიაკუთვნებენ. ფილოსოფოსთაგან მითითებებენ მის სიახლოვეზე კირგეორესთან. მიაჩნიათ, რომ მის ზოგი რამ საერთო აქვს შოპენჰაუერთან, ნიცშესთან, ფროიდთან. ამ მწერლის შემოქმედების რეზონანსი მეტად ძლიერი აღმოჩნდა; ინტერპრეტატორთა სია არ იძლევა; კაფკას თვლიან ეგზისტენციალისტური ლიტერატურის წინასწარმეტყველად (ე. გიშარნუ), ფიდეისტად (ფ. ველში, პ. პონგსი, რ. როშფორი). საერთოდ შეჰყავთ ეგზისტენციალიზმის რბილობაში (მ. ბენზე, ე. პ. სარტრი, ა. კამიუ და სხვ.), თვლიან „გაუგებარ რეალისტად“ (ა. რობ-გრეიუ). ე. წ. „უაფართოებელი რეალიზმის“ წარმომადგენლად (რ. გაროდი, ე. ფიშერი), სხვება მიიჩნევენ ირაციონალისტად და მისტიკოსადაც კი და ა. შ. მარქსისტული კრიტიკა (დასაუღეთისა) აელენს კაფკას შემოქმედების ისტორიულ-საზოგადოებრივ სიშართლეს, ობიექტურად შეაფასებს მის დადებითსა და ნაკლოვან მხარეებს და ხაზს უსვამს მის პემანისტურ მრწამსს (ლ. არაგონი, რ. რემიანი, პ. რედეკერი და სხვ.). დაახლოებით იგივე ითქმის საბჭოთა ავტორებზე (დ. ზატონსკი, დ. დენისოვა, ე. კნიპოვიჩი, ბ. სუჩკოვი, ე. დნეპროვი, ზ. კაკაბაძე).





ცესში“ ნაჩვენებია ბიუროკრატიზმის მისტერიული ხასიათი (მოხეტიალე-მისტერიული ფუნქციონერი); სასამართლოს საფეხურები დაუთვლელია, კანონი შეუსაბამოა სინამდვილესთან, საქმის წარმატებას ნაცნობობა და ქრთამი განაპირობებს. ნამდვილი გამართლება გამორიცხულია და რჩება „მოჩვენებითი თავისუფლება“, საქმის „გავანჯღლება“. ბრალდებულთა გათიშულობის გამო, კოლექტიურად ამ სასამართლოში რაიმეს მიღწევა შეუძლებელია (ჭულდისა და ბლოკის საუბრები კასთან). ამგვარად, კონფლიქტი ანტაგონისტი შედის ბინძური, ყრუ და ცივი სამყაროს (სასამართლო) სახით. კორუფციურებულია ყველა, ვისაც კი პროცესის მსვლელობაში კა ხვდება (რაბენშტეინი, კულდისი, კამინერი, მხატვარი ტიტორელი, სასამართლოს მსახურის ცოლი, სტუდენტი ბერთოლდი, მოსამართლე, კანცელარიის დირექტორი, ვეკილი, ჰულდი, მეფაბრიკე). სიმბოლურია ერთი ოქროს ღილი სასამართლოს მოხელეთა სამოსზე, რომელიც კორუფციის ინდექსით ჩანს. სასამართლოს ატმოსფერო გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანზე (ბლოკი: „უკვე თავად იცით, როგორი მძიმე ჰაერია კანცელარიაში“. კა თვით იწუნებს ამ ჰაერის ზემოქმედებას — იგი ცუდად ხდება); „რა ჭუჭყია აქ ყველგან“ — გაოცებულია სასამართლოში მოხვედრილი კა. მას აკვირვებს ასევე ბრალდებულთა დათრგუნულობა და შიში². „ყველა ისინი, როგორ დაამცირეს აქ“, აღმოხდება იოზეფ კას. პროცესის მსვლელობაში კა აღმოაჩენს ადამიანთა გულგრილობას, სიყალბესა და მზაკვრობას, ესაა არაკომუნიკაბელური, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანთა გაუცხოებელი³ სამყარო.

ამრიგად, წარმოდგენილია ადამიანის ერთგანზომილებიანი, საშინაოდ პროზაული სიცოცხლე და მისი მოპირდაპირე, მტრული ძალა; რაც კას გადახდა, რომანის მხოლოდ ერთ პლანს შეადგენს; ხოლო რაც კაფკამ ამ თავგადასავლით გვეთხრა, ის ამ პლანის სიღრმეში ძეგს. დავუკვირდეთ კასა და მის მოწინააღმდეგეს: კა ჩვენს წინ აბსტრაქტულ არსებად წარმოჩინდება. საინტერესო ფაქტია, რომ „პროცესის“ მთავარი პერსონაჟი მხოლოდ ინიციალითაა მოხსენებული, — ეს მნიშვნელოვანია და შემდეგზე მიგვიითებებს: კა — რეალური ადამიანის აბსტრაქცია, იმპერსონალური არსებაა ან, სხვაგვარად, ნიველირებული ადამიანია. იმპერსონალური იმიტომ, რომ იგი იმპერსონალურ-დეჰუმანიზების სამყაროში ცხოვრობს, — ესაა კას ფაქტში, მისტერია, მისი ბიუროკრატიული სამყარო, რომლის ეკონომიურ-სოციალური საფუძველი უთუოდ იმ მოვლენაში მდგომარეობს, რომელიც, კაპიტალისტური წარმოების წესად იწოდება და ადამიანზე საგნის გაბატონებასა და ადამიანთა გაუცხოებაში გამოიხატა (ამას მკითხველი ხვდება იმის მიუხედავად, რომ ავტორმა კა ამოავდო რეალურ-ისტორიული გარემოდან).

გარეგნულად ადამიანის (კას) ცხოვრება თითქოს რაციონალურია, — იგი მისდევს დეკანონებულ წესებს, — ამიტომ უკვირს კას, რომ რაღაცაში ადნაშაულეებენ. ფაქტიურად ეს არის ირაციონალური, აბსურდული ყოფიერება, ხოლო სინამდვილე ამავე ადამიანის სხვა პლანშია ჩაქარგული. კა გაუცხოებულია,

² F. Kafka. Der Prozess, Roman, Frankfurt am Main und Hamburg, 1960, s. 89—91, 127.

³ როგორ ესმის ცნება „უცხო კაფკას? 1913 წლის ერთ დღიურში კვითხულობთ: „ის უცხოა ჩემთვის, ჩემი არაფერი ესმის, არ იცის რა მსურს, რა მჭირდება, მასთან საერთო არაფერი მაქვს“, ეუბნება კაფკა დედამისს ბიძის შესახებ. (F. Kafka. Tagebücher (1910—1923), Frankfurt am Main, 1973, s. 198).

მისი ეგზისტენცია გაყალბებულია, — სწორედ ამან გამოიწვია მისი აბსტრაქტულობა: კას დაკარგული აქვს კონკრეტულ-ინდივიდუალური ეგზისტენცია, იგი ბიუროკრატულ-აბსტრაქტული ყოფიერებით — გაუცხოებული ყოფიერებით — ცხოვრობს. მხოლოდ პროცესის დაწყებიდან გაიანჭრებს კა თავის ყალბ არსებობას, მანამდე კა სჯეროდა, რომ ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა. კა იურიდიულ ბიუროკრატიზმს შეეჯახება, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ ორ სამყაროს (კა და სასამართლო) შორის მცირე განსხვავებაა, იმ აზრით, რომ თითოეული წარმოადგენს გარკვეულ ჩინოვნიკურ, ბიუროკრატულ ინსტანციას. ასე მივიღივართ რომანის აღქმის პირველადი პლანის სიღრმემდე, მის მეორე პლანამდე, სადაც კას თავგადასავალი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ ამბავს. „პროცესი“, — რომელშიაც ადამიანისა და სასოვადობის, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თემა ვითარდება, — იოზეფ კას გარეთ კი არ მიმდინარეობს, არამედ — მის სულიერ სამყაროში. ესაა შინაგანი სამყაროს გაობიექტების, მისი პროეციების ცდა ანუ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს გასავნობრივება გარეგანი პროცესის სახით⁴. სინამდვილეში, ორი იოზეფი შეეჯახა ერთმანეთს — პირველი ჩინოვნიკი და მეორე — ადამიანი. პირველია ნიველირებული, დეჰუმანიზებული არსება, ადამიანის აბსტრაქცია, ხოლო მეორე — ის, ვინც აქამდე ჩაკარგული იყო კას ცნობიერებაში. ამრიგად, აბსურდული, ირაციონალური და რაციონალური ერთი ადამიანის ორ პლანში არსებობს. აბსურდული ნიღბავს კას რაციონალურ სახეს. ამ მხრივ საინტერესოა კას ფიქრი იმის შესახებ, რომ რაც მას გადაჯდა — ბანკის გარეთ მოხდა, რომ ბანკში იგი დაცულია, იქ მას ვერ შეიპყრობდნენ, ვერ დაესხმოდნენ თავს. ბანკის იოზეფი ხელშეუხებელია ბიუროკრატულ სამყაროსთან მისი წილნაყარობის გამო.

იოზეფ კას შინაგანი დრამა მისი არსებიდან ქეშმარიტი, ადამიანური ეგზისტენციის (პიროვნების) წამოწევა-ამაღლებსა და მისი დაქვეითება-დადბლების სიტუაციაში მიმდინარეობს.

რომანში მნიშვნელოვანი დეტალია ბრალდებულთა მიჩნევა „ლამაზ ადამიანებად“. ზოგიერთი კი მშვენიერი არიანო, — ამბობს ვეჟილი ჰულდი და ამას „ბუნების საოცარ მოვლენას“ უწოდებს. ამ სიტყვებში ჩანს გაოცება და წუხილიც კი. მას აღიზიანებს ეს სილამაზე და ეს მეღავნდება ბლოკის მიმართ, რომელიც მასზეა დამოკიდებული, ამავე დროს, ჰულდზე მაღლაცადვას რაღაცით. ამ სიმაღლისა და სილამაზის მიზეზი პროცესია: პროცესმა მსხვერპლი პირველად ჩააფიქრა სერიოზულად თავის არსებობაზე, თავის ბედზე, საერთოდ ადამიანის ყოფიერებაზე და ახლა ამ ადამიანმა რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გადაწყვიტოს. სხვაა ის, თურას მოიმოქმედებს იგი, მაგრამ თვით ამგვარი განწყობილება, როცა უნდა გამოჩნდეს ადამიანის უნარი, როცა უნდა გამოვლინდეს მისი ქეშმარიტი ადამიანური არსი, — როცა იგი სიცოცხლის საზრისზე ჩაფიქრდება — აი, ესაა მთავარი: დიდი არჩევანის წინაშე დადგომა, გააზრება, ამიტომაცაა რკი ლამაზი. ამგვარად გვესმის ჩვენ

⁴ გრეგორი ზამზას თავგადასავალშიაც („გადაქცევა“) ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე: თავისებური კონსტრუქცია მეტაფორით (ზამზა-მწერი) გამოხატულია პერსონაჟის მიერ შინაგანად გაცნობიერებული არსებობის ტრაგიაში. (F. Kafka, Die Verwandlung; ins F. Kafkas „Das Urteil und andere Erzählungen, Fischer Bücherei, Frankfurt am Main und Hamburg, 1959, s. 23—105).

კავჭავაძის ამ ცნებების (ლაშაზი) შინაარსი. ჰუღლი თავისი გაღიზიანებით ამ-
 უღავენებს, რომ იგი ნიველირებული ადამიანია.

დავუვკირდეთ კას ცხოვრების ორ მომენტს: პირველია საგამომძიებლო
 კომისიის სხდომაზე სიტყვის წარმოთქმა, ხოლო მეორე — ციხის კაპელანის
 მიერ მოთხოვნილი იგავის გაგება: პირველი ხდება მანამ, ვიდრე კა იხილავ-
 და სასამართლოს კანცელარიებს და გაეცნობოდა იქაურ მოხელეებს, ხოლო
 მეორე — მაშინ, როცა უკვე თითქმის ხელჩაქნეული და უიმედო კა იგავის
 ახსნას ცდილობს. თუ შემოვაცლით „პროცესს“ მთელი კონტექსტის ფანტას-
 ტიკურ საბურველს, კას მამხილებელ სიტყვაში გაშიფვრის გარეშეც ამოვი-
 კითხავთ პროტესტს ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიმართ: „ექვე არაა, რომ
 მთელი ამ სასამართლო წარმოების იქით უზარმაზარი ორგანიზაცია დგას,
 ...რალაშაია ამ უზარმაზარი ორგანიზაციის აზრი, ბატონებო? — იმაში, რომ დაი-
 ჰკირონ უდანაშაულო ადამიანები და მათ წინააღმდეგ ატეხონ უაზრო და მეტ-
 წილად... უშედეგო პროცესი და აქ, მთელი სისტემის აბსოლუტური უაზრო-
 ბისას, როგორ უნდა განვერიდოთ მოხელეთა (გამყიდველთა ხროვა) ყველაზე
 საშინელ კორუფციას“. კა ხაზგასმით ამბობს, რომ იცავს „ძლიერ ბევრს“,
 მის ბედში მყოფს („მას შიში უფრო მეტად ქვეყნისათვის აქვს, ვიდრე საკუთარ-
 ი თავის გამო“ — ჩაუწერია კავჭავს დღიურში თავის თავზე). ამ პერიოდს
 კას გამოთქმებში სიტყვა „ბრძოლა“ ფიგურირებს: „თქვენ ეკუთვნით საზო-
 გადობებს, რომელსაც მე უნდა ვებრძოლო, — ეუბნება სასამართლოს მოხე-
 ლის ცოლს. როცა ვეჭილზე უარს აცხადებს, კას ჯედ კიდევ რწმენა აქვს თა-
 ვისი თავისა: „დაე, ბოლოსდაბოლოს, სასამართლო შეეჩხვოს ისეთ ბრალდე-
 ბულს, რომელსაც ძალუქს თავისი უფლების დაცვა“⁵.

რაც შეეხება ციხის კაპელანის⁶ იგავს (რომლის ადგილიც კანონის შესა-
 ვალშია), იგი ასეა გადმოცემული: „კანონის კარიბჭესთან კაცს გუშავი დახვ-
 და. მისგან შეშინებული (თუ გსურს, ყურად ნუ იღებ ჩემს აკრძალვას და შე-
 დი, მაგრამ ეს კარი ერთადერთი როდია, იქით და იქით, უფრო და უფრო სა-
 შინელი გუშავები დგანანო), კაცი ღია კართან შეჩერდება. დროდადრო კვლავ
 სთხოვდა გუშავს შეშევას, ქრთამსაც სთავაზობდა, ისიც იღებდა: ვიღებ რომ
 შენ არ იფიქრო, თითქოს რამე გამოგჩაო. გავიდა დრო, კაცი დაბერდა და
 აი, როცა თვალეებში სინათლე დაეშრიტა, მაშინ იხილა, რომ კანონის კარე-
 ბიდან უქრობი შუქი იღვრებოდა. ყველა ადამიანი მიდის კანონთან და როგორ
 მოხდა, რომ ამ ხანგრძლივი ჟამის მანძილზე ჩემს გარდა არავინ მოაკითხა ამ
 კარსო — უკანასკნელი კითხვა მისცა კაცმა გუშავს. გუშავი პასუხობს, რომ ამ
 კარში სხვა ვერავინ შევა, რადგან მხოლოდ მისთვის იყო განკუთვნილი (ახლა
 წავალ და დავეკრავო). კას აზრით, გუშავმა კაცი მოატყუა, კაპელანი კი უხს-
 ნის იგავს იმ თვალსაზრისით, თითქოს გუშავს არ მოუტყუებია კაცი. ამ ახს-
 ნაში, საერთოდ, ხაზგასმულია გუშავის პასუხისმგებლობის მაღალი გრძობა,
 ძლიერება, მგრძობიარობა და... გონებრივი სიჩლუნგე; ამავე დროს მინიმენ-
 ბულია გუშავთან შედარებით, მთხოვნელის უკეთესი მდგომარეობა. დაბოლოს,
 იგავის არსებული მრავალი ახსნის გადმოცემის შემდეგ კაპელანი ამბობს:
 „სრულიად არ არის საჭირო ყველაფრის სიმართლედ მიღება, საჭიროა მხო-

⁵ F. Kafka. Der Prozess, s. 38, 48.

⁶ იგი ამცნობს კას, რომ შესაძლოა მისი საქმის ჩარჩენა უდაბლეს სასამართლო ინს-
 ტანციაში, რადგან მისი დანაშაული დამტკიცებულია.



ლოდ ყოველივეს აუცილებლობის შეგნება“. კამ ესლა თქვა: „სამწუხაროდ დასკვნაა, სიცრუე მსოფლწესრიგად ქცეულა“ (ეს, შეიძლება ითქვას, კას ბოლო გაბრძოლება იყო სიკვდილის წინ). მრავალ ინტერპრეტატორს მიაჩნია, რომ იგავის იდეა არის სამართლიანობის მიღწევის შეუძლებლობა⁸. იგავი ჩვენ ასე გავიზარეთ: 1. სამართალი, კანონი არსებობს, მაგრამ მისკენ მიმავალ ადამიანს გუშავი ელობება. ადამიანმა უნდა დაძლიოს გუშავის წინააღმდეგობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე და ბრძოლის აუცილებლობაზეა ლაპარაკი; ხოლო სამართლის მოპოვება და ადამიანის თვითდადგენა ურთიერთკავშირშია, 2. გუშავის სახით განზოგადებული უნდა იყოს სახელმწიფო ინსტიტუტები და, საერთოდ, სახელმწიფო-ბიუროკრატიული სისტემა. ჩვენი აზრით, კაპელანი მიხვდა, რომ ეს უკვე ფარ-ხმალს ყრიდა და მისი ბოლო სიტყვები ნაწილობრივ ამით იყო ნაპარნახები (იმის გარდა, რომ როგორც სასამართლოს მოხელე იგი ალბათ ვალდებულია დააბნოს ბრალდებულს). გავიხსენოთ კაპელანის უკმაყოფილო სიტყვები: „შენ მეტრსმეტად ბევრს ეძებ დახმარებას სხვებისაგან“. ამ ნათქვამში უთუოდის გამოსკვივის, რომ სასამართლოს აწყობს ბრალდებულის იზოლირება. არსებულს უნდა შეურიგდე, — კაპელანის ამ სიტყვებს სხვადასხვაგვარად უმეორებენ კას დანარჩენებიც (ვექილი ჰულდი თუ ლენი, აგრეთვე — მხატვარი ტიტორელიც). ვექილი ჰულდი უხსნის, აუ როგორ „ჩაყლაპავს სასამართლო“ მის წინააღმდეგ ამხედრებულს, ე. ი. ვინც არ აღიარა თავი დამნაშავედ, ხოლო გრანდიოზული ორგანიზმი თვით აღიდგენს ამ დარღვევას რაიმე სხვის ზარზე“, არაფერი შეიცვლება, ოღონდ სასამართლო უფრო მკაცრი და ფხიზელი გახდება, „ერთადერთი სწორი გზა — ესაა შერიგება საგანთა არსებულ წესრიგთან, „მთავარია, ყურადღება არ მიიპყრო“. კას აოცებს სასამართლოს არსებობა. ერთი ქალაქი შეცვლიდაო მას — ეუბნება ჰულდს.

რა მიმართებდა შიშისა იოზეფ კას თავდადასავალი ანუ „პროცესში“ ასახული კონფლიქტი ტრაგიკული ეს თეტიკურ კატეგორიასთან? ტრაგიკული როგორც ეს თეტიკური კატეგორია დაკავშირებულია ფილოსოფიის ისეთ რადიკალურ პრობლემებთან როგორიცაა ადამიანის ყოფიერების საზრისის, ადამიანის ღირებულებითი ორიენტაციის, თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკის პრობლემა. ტრაგიკულის არსებული დეფინიციების მიხედვით, ამ კატეგორიაში გამოხატულია საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგობები (პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ანდა ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფისა — სოციალური ბოროტების მიმართ) მშვენიერის ბრძოლა სიმახინჯესთან... ტრაგიკული წინააღმდეგობანი გმირის მძიმე განცდებს, მის დამარცხებას, ტანჯვასა და, ხშირად, დაღუპვასაც იწვევენ. ტრაგიკული, ამრიგად, გულისხმობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ტენდენციათა ურთიერთდაპირისპირებასა და ბრძოლას, ამიტომ იგი უმეტესად საზოგადოებრივი გარდატეხების პერიოდებს ემთხვევა ხოლმე⁹. მარქსისტული ესთეტიკა ტრაგიკულის მიზეზს ხედავს სოციალურ ძალთა შეჯახებაში, რაც საზოგადოებრივი განვითარების კანონებითაა გამოწვეული. მარქსი

⁷ F. Kafka. Der Prozess, s. 156, 160.

⁸ ზოგი მკვლევარი იგავის გაგების სიძნელეზე მიუთითებს, მაგ., ზატონსკის აზრით, ამ იგავის გაგების სიძნელე (სრული გაუგებრობა თუ არა) დამტკიცებულია თვით კავკას მიერ (იხ. Д. В. Затонский. Ф. Кафка и проблемы модернизма, М., 1972, стр. 110).

⁹ Философский словарь, М., 1963, стр. 460.

და ენგელსი მიუთითებდნენ ერთი მხრივ, ახალ პროგრესულ ძალთა ტრაგიკულ ხასიათზე, რომლებიც დრომოქმული, ძველი წესრიგის წინააღმდეგ გამოდიან და უუნარონი არიან მოცემულ პირობებში გამარჯვება მოიპოვონ და, მეორე მხრივ, დრომოქმული კლასის ტრაგიკულ ხასიათზე, რომელსაც მთლიანად არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი. ამასთან, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ტრაგიკულს განიხილავს, როგორც მოვლენათა საყოველთაო კავშირის ნაწილობრივ მომენტს და არა მარადიულს. ტრაგიკული წარმოგვიდგება კონფლიქტის სახით. ტრაგიკულ სიტუაციას დაკავშირებული ეს კონფლიქტი საზოგადოებრივი განვითარებისა და პიროვნების ქმედების ერთიანობაში ვლინდება, ამდენად, ტრაგიკული გმირი განუყოფელია საზოგადოებისაგან: იგი პიროვნებაა, ხოლო „პიროვნების თავისუფლების საზომი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების თავისუფლების საზომი და მაჩვენებელი“¹⁰. დ. სრედნის აზრით, ტრაგიკული არის თავისუფლების ნეგატიური საზომი. მაგრამ, შეურიგებელ კონფლიქტში მშვენიერი ინდივიდუალობის დაღუპვის მიუხედავად, ტრაგიკული იმავდროულად თავისუფლების პოზიტიური საზომიცაა იმდენად, რამდენადაც მასში „დემონსტრირებულია ადამიანის პიროვნების ძლიერება და ღირებულებანი“¹⁰.

კლასიკური ესთეტიკიდან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: 1. ტრაგედია უკეთეს ადამიანთა გამოსახვა (არისტოტელე); 2. ტრაგიკული არის სუბსტანციური (საყოველთაო) პათოსის მატარებელი (ჰეგელი), ხოლო მარქსისტული ესთეტიკის მიხედვით, ტრაგიკული კოლიზია იქმნება „ისტორიულად აუცილებელ მოთხოვნასა და მისი განხორციელების შეუძლებლობის შორის“¹¹. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება რეალისტურ-ტრაგიკული კონფლიქტის შესახებ: 1. ტრაგიკული არის შეურიგებელი, გაუუქმებელი კონფლიქტი; 2. ტრაგიკულის ხასიათი მუდამ გულისხმობს პიროვნების დონეს; 3. სუბსტანციური პათოსი ტრაგიკულის არსებითი მახასიათებელია; 4. ტრაგიკული გმირი მარცხდება პროგრესული იდეისათვის ბრძოლაში, უმეტესად იგი იღუპება, მაგრამ ტრაგიკულს ახასიათებს ოპტიმისტური ორიენტაცია მისი მომავლის პერსპექტივის გამო (იდეალის მტკიცების პათოსი); 5. ტრაგიკული იმგვარი კონფლიქტია, რომელიც საფრთხეს უქმნის, განადგურებით ემუქრება ღირებულებებს; 6. ღირებულებითს ორიენტაციასთან ტრაგიკულის აუცილებელი კავშირის შესატყვისად, ტრაგიკულ კონფლიქტში შემავალი წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც სხვადასხვა (პოზიტიურ-ნეგატიური) ხასიათის ძალები.

ამრიგად, კლასიკურ-რეალისტური ტრაგიკული კონფლიქტის უმთავრეს მახასიათებელთა მიხედვით, ტრაგიკული კონფლიქტი ოპტიმისტური ორიენტაციის — იდეალის მტკიცების მატარებელია და გულისხმობს კონფლიქტში შემავალ ძალთა ღირებულებითს უთანაბრობას: პოზიტიურის ნეგატიურზე აღმატებასა და პოზიტიურის ნეგატიურისადმი შეურიგებლობას.

როგორც ითქვა, „პროცესი“ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ნაწარმოებია, ამიტომ მასში კანონზომიერია ტრაგიკულთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ პრობლემათა დაყენება და გადაჭრა. ესაა სიცოცხლის საზრისის, ღირებულებითი ორიენტაციის, თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექ-

¹⁰ Д. Средний. Основные эстетические категории. М., 1974, стр. 80, 75, 63.

¹¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Об искусстве, т. I, М., 1967, стр. 28.

ტიკის პრობლემები. სწორედ აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის მხრივ შეიძლება ვიმსჯელოთ ამ რომანში წარმოდგენილი მოვლენების ტრაგიკულ ან არატრაგიკულ ხასიათზე. კლასიკურ რეალისტურ-ტრაგიკულ კონფლიქტთან იოზეფ კას თავგადასავალ-მეტაფორის შედარება და დაპირისპირება პიროვნების სტრუქტურისა და ტრაგიკული კონფლიქტის ისტორიული გააზრების სიბრტყეზე გვესახება. აქვე უნდა აღენიშნოთ ის სირთულე, რაც რეალისტურ ნაწარმოებთან შედარებით, ახასიათებს კაფკას რომანის აღქმას, ესაა: *ჭერ ერთი*, მისი მისტიკური ფარდის, მისი ფანტასტიკური საბურველის გადაწვევის აუცილებლობა (კაპიტალისტურ საზოგადოებაში მისტიფიცირებული ურთიერთობანიკაფკამ ამ სახითვე გვიჩვენა), რაც ხშირად გვიკლენს კას პოზიტიური აქტების მნიშვნელობას პიროვნების დონეზე („ლამაზი“ ადამიანი) მის წარმოდგენას პიროვნების დადგენის აზრით; მეორეც ის, რომ იოზეფ კას შინაგან კონფლიქტში მონაწილეთა (კა ბიუროკრატის და კა ადამიანის) პოზიტიურ-ნეგატიური ხასიათი, მათი დაპირისპირების აუცილებელი გათვალისწინება, აგრეთვე, იმ რეალური სიტუაციის გათვალისწინება, რომელშიც „პროცესი“ წარმოშვა, და რომლის პირობებშიაც ბრძოლა ადამიანურის, პიროვნების დაფუძნებისათვის მორალური გამირობის ტოლია, რადგან, ფაქტიურად, ესაა ადამიანის ბრძოლა იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც მის ნიველირებას ახდენს. რეალური ამ სიტუაციაში, ჩვეულებრივ არა-ადამიანურის ადეკვატურია. ძირითადი, რითაც მისდევს კას თავგადასავალი რეალისტურ-ტრაგიკულ კონფლიქტს, — ესაა დაპირისპირებულ ძალთა ღირებულებითი უთანაბრობა (პოზიტიურ-ნეგატიური); ხოლო განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პოზიტიური ძალა („პროცესი“) თვითაა წილნაყარი საპირისპირო ძალასთან. კას თავგადასავალში სახეზეა ცხოვრებისეული მწვავე კონფლიქტი (გადაულახავი ძალების არსებობა, მთავარი მოქმედი პირის დაღუპვა). ბრძოლა, რომელიც წამოიწყო იოზეფ კამ, თითქოს იძლეოდა ტრაგიკული კოლოზიის ჩასახვის საშუალებას. კას ბრძოლა ადამიანის გაყალბებული ყოფიერების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ყოფილიყო, როცა კა — ადამიანი აუჭანყდა კა-ბიუროკრატს, რადგან, საკუთარი ეგზისტენციის შექმნით მას შეეძლო კონკრეტული, განუმეორებელი ინდივიდუალობის შექმნა, რომ არ დარჩენილიყო უგვარო აბსტრაქციად. ტრაგიკულის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო კას ცდა ადამიანებთან კონტაქტის დამყარებისა (რაც მას არ უკეთებია, კამ სწრაფად შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა სასამართლოს მსახურებთან და სხვა ადამიანებთან, ხოლო ბრალდებულებთან არც უცდია კავშირის დამყარება). სიცოცხლის უკანასკნელ გზაზეც კი, როცა ჯერ კიდევ გვიან არ იყო, მას არ უცდია ადამიანთა დაინტერესება საკუთარი ბედით. ტრაგიკული კონფლიქტი წარმოიქმნებოდა ბნელი ძალების წინააღმდეგ კას შეურიგებელი ბრძოლის შემთხვევაში. მაგრამ კამ კაპიტულირება მოახდინა, იგი ბნელ ძალებს დანებდა და ეს მაშინ, როცა ჰულის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, იგი „ლამაზი“, „მშვენიერი“ გახდა. დათმო თუ არა მოჯანყის პოზიცია, იოზეფ კა მაშინვე მოწყდა იმ საფუძველს, რომელიც მას ამაღლებდა საპირისპირო ძალასთან შედარებით. მოხდა პოზიტიური ძალის ღირებულების დაქვეითება, ნეგატიურისადმი მისი დამორჩილება, ამიტომ, ცხადია, ის მძიმე სიტუაცია „პროცესში“ რომ ვითარდება, ტრაგიკულით ვერ შეფასდება, რადგან ამგვარი კვალიფიცირება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, კა რომ დაღუპულიყო ან დატანჯულიყო თავისი ჭეშმარიტი ყოფიერების დაფუძნებისათვის



ბრძოლაში. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ კას თავგადასავალი არა ტრაგიკულია. კონფლიქტის წევრთაგან — უმწეო, დანებებული კას ფონზე მისი ანტიგონისტი უზარმაზარი, ჰიპერტროფირებული და ანონიმური ჩანს. სამართლიანად შენიშნავს თ. მანი: „თუ არსებობს უფრო საშინელი რამ, ვიდრე — ბედი — ესაა ადამიანი, რომელიც მას ემორჩილება“. კა ფაქტუმს დანებდა; უფრო სწორად, მან უსახო სამყარო ერთადერთად — ფაქტუმად წარმოიდგინა. კაფკა კარგად გრძნობს ამას და დამნაშავედ წარმოგვიდგენს იოზეფ კას. თავის ერთ-ერთ დღიურში (1915 წ.) კაფკა აღარებს „პროცესისა“ და „ამერიკის“ გმირებს და შენიშნავს: „როსმანი და კა — უდანაშაულო (schuldlose) და დამნაშავე (schuldige). საბოლოო ანგარიშით, ორთავე ერთნაირად სიკვდილით დასჯილნი; ამათგან, უდანაშაულო — უფრო მსუბუქი ხელით (იგი უფრო თავიდან მოიცილეს ვიდრე მოკლეს)¹². ამრიგად, კაფკა ადანაშაულებს კას მისი ირაციონალური არაადამიანური სიცოცხლისათვის, ადანაშაულებს მისი უშუარობის გამო. კაფკამ „მოკლა“ თავისი გმირი, რადგან სიცოცხლის ღირსად არ მიიჩნია იგი. სიცოცხლის ღირსია ადამიანი, რომელიც იბრძვის ამ სიცოცხლისათვის („საქები მიზნით“). (სიკვდილის წინ კა წუხს, მწარედ ნანობს, რომ ვერ იცხოვრა „საქები მიზნით“) რომელიც შეურიგებელია ყოველი ნეგატიური მოვლენისადმი, რაც ამ „საქებ მიზანს“ წინააღმდეგადაა, მეორე მხრივ, კას სრული პასიურობა სიკვდილის წინ თითქოს ეწინააღმდეგება მის მთელ რიგ პოზიტიური ხასიათის მოქმედებებს. მაგრამ, ამ უძლეულების, ამ პასიურობის ამხსნელი უნდა იყოს კაფკას გმირის დათრგუნულობა, მისი სრული დაბნეულობა. იოზეფი საბოლოოდაა დაშინებული: კა-ადამიანს კა-ბიუროკრატისა ეშინია, პირველი ხელყოფილი, ტრაგეშირებულია მეორისგან. მან არ გააკეთა არჩევანი, რომლის ვაკეთების შესაძლებლობაც ჰქონდა — დახმარების თხოვნა იმ ადამიანებისგან, განათებულ ფანჯრებში რომ დინანბა, (იგი ყოყმანობს და ეპვით შესცქერის ამ ადამიანთა სახეებს, ამასთან, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მათგან რომელიმე ან ყველა მისი მეგობარი, მისი დახმარების მსურველი შეიძლება იყოს). როგორც უკვე ვთქვით, კას მოქმედება ტრაგიკული იქნებოდა, რომ ეცადა კავშირის დამყარება ამ ადამიანებთან და ეს სურვილი ვერ განეხორციელებინა (გაგებინების შეუძლებლობის გამო). კამ ვერ გააუწყვიტა ე. წ. მოტივთა ბრძოლა, რომელსაც ადგილი აქვს მისი სიკვდილისწინა წამებშიც. კაფკას ამ გადაუწყვეტელი წინააღმდეგობებისა და ყოყმანის ილუსტრაციაა რომანი „კოში“, სადაც, „პროცესის“ საპირისპიროდ, ადამიანი ცდილობს ანონიმურ ინსტანციაში მოხვედრას და ვერ ახერხებს ამას: პირველში („პროცესი“) ადამიანი ცდილობს ანონიმურისგან თავდაღწევას, ხოლო მეორეში („კოში“) კი — პირიქით. ამგვარად, „პროცესი“ მთავარია — ადამიანის სიცოცხლის საზრისის საკითხის დასმა. კაფკასა და მთელი რომანის აზრი ისაა, რომ სიცოცხლის საზრისი მდგომარეობს უკეთესი, „საქები მიზნით“ სიცოცხლეში, სამართლიანობის მოპოვებაში, რისთვისაც მოქმედებაა საჭირო და არა ლოდინი, მორჩილება და კაპიტულირება. კაფკამ მახვილი ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე გადაიტანა. რა დააშავა იოზეფ კამ? პროცესის აღმძვრელთა აზრით, ის, რომ, რაღაცით მან დაარღვია ანონიმუ-

¹² F. Kafka. Tagebücher... s. 239.

რი, მანური ცხოვრების პრინციპები (აბსურდული ყოფიერება), „ლამანი“ ვახუშტი და (რომანის დასაწყისში კაფკა გვამცნობს: ალბათ, ვილჰელმ დაბეზლო იოზეფ კა); ხოლო რომანის ავტორის აზრით კი ის, რომ კამ მეტად გვიან, მხოლოდ სიცოცხლის მიწურულში გააცნობიერა ყოფიერების საზრისი და არა-ადამიანურის წინაშე მანაც კაბიტულირება მოახდინა, რაც საბედისწერო გამოდგა იოზეფ კასთის და თვით მისი შემოქმედისთვისაც. ამ აზრით, საინტერესოა რამდენიმე პარალელის გაკლება:

ა) თ. შინის „დოქტორ ფაუსტუსში“ ტრაგიკული ემყარება ადამიანებთან ურთიერთკავშირის, ურთიერთგაგების შეუძლებლობას და ამ გაგებისათვის, ადამიანებისაკენ „გარღვევისთვის“ ტრაგიკულ ძიებებს (კრემარი-ლევერკიუნი). მანმა (ლევერკიუნი) შესძლო კამათი ეშმაკთან, დემონურთან მაშინ, როცა კაფკა (კა), მიუხედავად დანაშაულის მთელი შეგნებისა, ბოლოს მანაც ნებდება სატანურ ძალებს („საგანთა არსებულ წესრიგს“).

ბ) მ. ვეგნერმა (გდრ) დოსტოევსკისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (1971) მისი და კაფკას შედარებისას აღნიშნა, რომ „კაფკას გმირები, იქნება ეს გრეგორი ზამზა თუ იოზეფ კა, ტრაგიკულ აუცილებლობას ეჩახებიან და მას ნებდებიან, მაშინ, როცა დოსტოევსკის გმირები, თვით ყველაზე უზადრუქნი და დამცირებულნიც კი, როგორც წესი, არ ურიგდებიან ამ აუცილებლობას, სულის მთელი ძალებით ჯანყდებიან მის წინააღმდეგ“ (Т. Мотылева. Достояние современного реализма, М., 1973, стр. 319).

გ) „პროცესის“ არატრაგიკულობა ვრცელდება კაფკას შემოქმედების მთელ სურათზე. საინტერესოა ამ მხრივ მითის ტრანსფორმირება კაფკასთან, როცა ძველი აზრობრივი კვანძების შეცვლას ე. წ. „ბუნებრივ ტრაგიზმად“ მივყავართ (ისევე, როგორც ანუის, სარტრისა და კამიუს ნაწარმოებებში). მაგალითისათვის ავიღოთ კაფკას მიერ გადმოცემული ოთხი თქმულება პრომეთეოსის შესახებ: პირველი მისდევს ძველ თქმულებას; მეორეში პრომეთეოსი კლდეს შეეზარდა (ნაკლებად რომ ეგრძნო ნისკარტების დარტყმები); მესამე-მეოთხეში კი დრომ შთანთქა პრომეთეს დალატი (დაივიწყეს ღმერთებმაც, არწივებმაც, თვითონაც; ყველანი დაილაღნენ და დაღლილობით დაიხურა ჭრილობა; რჩება მხოლოდ აუხსნელი მთების ჯაჭვი). მ. კურგინიანი შენიშნავს, რომ აზრობრივი კვანძების შეცვლის გამო „რჩება აბსტრაქტული სიტუაცია, „ზოგადკაცობრიული“, თვით ცხოვრების ტრაგიკული არსების გამოშატველი“. გმირმა ანტაგონისტი დაჰკარგა, „დაღლილობა“ იქცა ყოველადმორიგად და მას ერთნაირად ემორჩილებიან პრომეთეოსიც და ღმერთებიც; ე. ი. ის, რაც „მათ აცალკევებდა შემთხვევითადაა მიჩნეული, ხოლო მათი გამაერთიანებელი დაღლილობა-დავიწყება — მარადიულად“ (იხ. М. С. Кургинян. Художественная концепция трагического в романе Т. Манна „Доктор Фаустус“, в книге — „Реализм XX века и модернизм“, М., 1967, стр. 96). ამგვარმა მეტამორფოზამ ანტიმითი შექმნა. დაპირისპირებულ ძალთა ღირებულებითი გათანაბრების გამო დაიკარგა, გაუქმდა მითის არსიც, რაც ბოროტ სტიქიაზე გამარჯვების შესაძლებლობის მტკიცებას წარმოადგენდა და წარმოდგებოდა როგორც „ადამიანის ყოფიერების ტენდენცია“ (იაკოვლევის აზრით). ანტიმითის შემთხვევაში ისე ჩანს, რომ სწორედ ამ ტენდენციის საწინააღმდეგო ვითარებასთან ვვაქვს საქმე (იხ. მითის საკითხების კვლევა იაკოვლევთან — Е. Г. Яковлев. Природа Художественного творчества, М., 1971, стр. 26).



მოვლენათა შორის მიზნობრივი კავშირის გაცნობიერების (რაც მითის ფუნქციაა, პლენანოვის აზრით) მაგიერად, ამ კავშირის დაბნელება ხდება.

როგორც აღინიშნა, კაფკას რომანი არატრაგიკულია. ახლა, დაისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი ესთეტიკური კატეგორიით შეიძლება შეფასდეს „პროცესში“ ასახული მოვლენები? რას წარმოადგენს ფანტასტიკურ-მისტიკური სამყარო, რომელიც კას შეეჯახა? იოზეფ კას ძალღვივთ კლავენ (ქვის სამტენლოში, ყასბის დანით). როდესაც მან საბოლოოდ იგრძნო „წინააღმდეგობის უაზრობა“, მონასავით ჩაბარდა ორ უცნობს და თითოც არ გაუქმრეცია იმაში ღრმად დარწმუნებულს, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა უკანასკნელ გაბრძოლებას (ერთადერთი რაც კას სურს ამ წუთში — ესაა ცნობიერად სიკვდილი). უეცრად, ამ მომენტში, კას შერცხვა, (თითქოს ამ სირცხვილს შეეძლო ეცოცხლა მის შემდეგო — წერს კაფკა). კას სირცხვილი სრულიად სხვა შუქს ჰფენს მის სიკვდილისწინა წუთებს და მთელ მის ცხოვრებას. კა-ადამიანი (და არა ჩინოვნიკი) ფიქრობს სიკვდილის წინ. ძლიერ ნიშანდობლივია, ამ აზრით, შემდეგი დეტალები: თავის უკანასკნელ გზაზე, სასაღებუს განათებულ ფანჯრებში იოზეფ კა (რომელსაც თითქოს უნდა შეეჩვენებინა ყოველივე) მოთამაშე ბავშვებს ხედავს, რომლებიც ერთმანეთს ხელებს უწვდიან და ხედავს კაცს, ასევე ხელებგამოწვდილს, „ვინ იყო იგი? — მეგობარი? უბრალოდ, კეთილი ადამიანი? თანაუგრძნობდა თუ არა? იყო იგი მარტო, თუ მის იქით იდგნენ ყველანი? იქნებ ყველას მისი დახმარება სურდა?“. კას ადამიანებზე დარჩა თვალი. კა ფიქრობს, რომ იქნებ დაიწყებულა კიდევ რომელიმე არგუმენტიო. წუთის წინ იგი იმაზეც ფიქრობდა, რომ ვერ იცხოვრა ისე, როგორც უნდა ეცხოვრა — „საქები მიზნით“. \checkmark კა ფიქრობს, გრძნობს, განიცდის, როგორც ადამიანი. მიუხედავად სიკვდილისა, დანებებისა, მან ნახევრად დასძლია გაუცხოება, იგი ადამიანებისაკენაა მობრუნებული. სწორედ ამ ბოლო მომენტიდან უნდა გადავხედოთ მთელ მის თავდასაყვალს. უკანასკნელ წამებში (იმის მიუხედავად, რომ მაინც დანებდა) კამ გაიფიქრა ის, რაზეც ადრე უნდა ეფიქრა (ყალბ და ჭეშმარიტ ღირებულებათა ვარკვევა). მთავარიან ერთი: კამ შეიგნო თავისი არაადამიანური მდგომარეობა. შეიგრძნო მწვავედ, როგორც უკვე გარდაუვალი უბედურება, რადგან ბედნიერება მხოლოდ „საქები მიზნით“ სიკოცხლის თანმხლებია და ემყარება ადამიანის ღრმა კმაყოფილებას საკუთარი მოქმედებით და ამ მოქმედების შედეგებით, — რადგან ბედნიერება ადამიან-შემოქმედის წილხვედრია.

კას სირცხვილი (ისევე როგორც მისი ბოლო ფიქრები და ხილვები) კაფკას ჰუმანისტურ პოზიციასზე მიგვიტოთებს. კაფკა-ჰუმანისტი ილაშქრებს ადამიანის ნიველირების წინააღმდეგ. მთელი სინამდვილე, კაფკას მიერ დახატული სამყარო, რომელიც აფერხებს ადამიანის ნამდვილი ყოფიერების განვითარებას და რომელსაც შეუძლია ძალღვივით გასწიროს ადამიანი, იქცევა შემზარავად, საშინლად, საფრთხით გაქვნილად და შემაძრწუნებლად, — ესაა მთლიანად კორუფციკრებული სამყარო, მეტრთამე, გამყიდველი, „ჩლუნჯად ქედმაღლური“ (კას გამოთქმა) — ოქროსლილიანი უსახო ჩინოვნიკებით, მეძავი

¹³ სირცხვილის გრძნობა აწამებს ექიმსაც, რომელმაც ვერ განკურნა ბავშვი (სიმბოლურის დონეზე აქაც ადამიანის უმწიკობაზეა ლაპარაკი. იხ. F. Kafka. Das Urteil und andere Erzählungen, Frankfurt am Main und Hamburg, 1959 s. 106, 114, 165).

ქალეგობით, ბილწი მოსამართლეებით (პორნოგრაფიული ლიტერატურის მრავალრიული მოსამართლე, რომელიც სამზარეულოს საჯარძელზე ზის და თავს კიტხტზე ახატვინებს ტიტორელის, ხოლო მხატვრის თთაში შესვლისას მის საწოლს აბიჯებს ხოლმე; სასამართლო — თავისი კანცელარიებით — სახლის აივანზე და სხვენზე განლაგებული, ბნელი და ქუქუყიანი; ციხის კაპელანის, ტიტორელისა და ჰულდის ცინიკური საუბარი კასთან და სხვ.). ეს სურათი ისედაც შემზარავია, მაგრამ კას სიკვდილის ფონზე ეს პირქუშობა კიდევ უფრო გამოიკვეთება. მანკიერებანი აქ ფანტასტიკურ, საშინელი ფორმებს ღებულობენ: ესაა ადამიანისათვის უცხო (გაუცხოებული), საძულველი სამყარო, რომელშიაც ადამიანური ყოფიერება შეფერხებულია, ესაა ე. წ. გროტესკული სამყარო¹⁴, რომელიც თავისი პირქუშობით შიშს ჰბადებს.

გროტესკული გულისხმობს არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლის შიშს, გროტესკული, უპიროვნო, იმპერსონალური სამყაროა, რომელიც ადამიანის ღებორიგმტირებას ახდენს, რადგან აბსურდის სახით წარმოუდგება ადამიანს. ე. კაიზერის აზრით, ესაა „Es“-სამყარო (უპიროვნო), „ეს არის უსახური სამყაროს სახე“ იტყვის ფ. დიურენმატი (რომელიც გროტესკს თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების დომინანტურ ფორმად თვლის). გროტესკულში ადამიანური წარმოდგება როგორც შეშლილი, თითქოს იგი შეიცავს უცხოს, არაადამიანურს, აბსურდულს (საგნის ემპირიულ-გრანობადი ყოფიერების მხატვრული ყოფიერების ასპექტში გადატანისას მხატვრული შემოქმედების ეს ხერხი, როგორც ცნობილია, ან ახდენს საგნის როგორც ბუნებრივის, გრანობად-აღქმადის დეფორმირებას, ან არღვევს საგანთა ორდინალურ კავშირებს ანდა საგნებს ანიჭებს მათთვის არანიშანდობლივ საზოგადოებრივ ფუნქციებს, — ყოველივე ეს რეალურ-ბუნებრივის დეჰუმანიზებას ნიშნავს). დავუვირდეთ ყველასა და ყველაფერს, რასაც შეხვდა კა პროცესის განმავლობაში და რაც სწორედ ამ Es-ით შეიძლება აღინიშნოს. კაიზერი ფიქრობს, რომ გროტესკის საფუძველი აბსურდთან თამაშია, აბსურდთან, რომელიც სახიფათო და შემთავრებელია ადამიანური ყოფიერებისა. გროტესკული რაციონალურის წინააღმდეგაა მიმართული. კაიზერი გროტესკის საფუძველთა კვლევისას დაასკვნის, რომ ყველა უსამართლობა და ყველა საშინელება იმ ბნელ საქმეთაგან, ჩვენს სამყაროში რომ მიმდინარეობენ და შეუძლიათ ჩვენი გაუცხოება“, — ეს ყველაფერი გროტესკის საფუძველია¹⁵. ვილანდის აზრით, გროტესკიდან სატანურის სიცილი ისმის.

კაიზერი აკუთვნებს კაფკას „საშინელის“ შემქმნელ, მოდერნული გროტესკის შემქმნელ მწერლებს და მისი დღიურისა და შემოქმედების განალიზების ნიადაგზე დაასკვნის, რომ კაფკასთან არაჩვეულებრივის შემოტანა ჩვეულებრივში გამოწვეულია ეშმაკეულის, დემონურის ხილვით და შეგრძნებით, აგრეთვე — სიცოცხლის უუნარობით. ამას კაიზერი უწოდებს თვითგაუცხოებულად ყოფნას (sich fremd sein), მისი აზრით, კაფკას გროტესკი ლატენტური და ცივია, იგი მთბრობელსა და აღმქმელს (მკითხველს) შორის უცხოობას ჰბადებს.

კაიზერი შემდგენიარად აზუსტებს გროტესკის აზრს: „ესაა ცდა სამყაროდან დემონურის განდევნისა“, მაგრამ, როგორ ასრულებს გროტესკი თავის

¹⁴ ამ სურათის კვალიფიკირება შეიძლება აგრეთვე, როგორც „მდაბლისა“, რადგან ტრაგიკულს „ამაღლებულსაც“ ვუწოდებთ ხოლმე.

¹⁵ W. Kajsers. Das Grotteske in Malerei und Dichtung. 1965, s. 136, 138—137.



ამ ფუნქციას კავკასთან, რა დონეზეა გროტესკი როგორც კრიტიკის გამოხატვის ესთეტიკური ფორმა? საქმე ისაა, რომ კავკასთან ბოროტების მიმართ დანებების პოზიცია ანეიტრალებს გროტესკის კრიტიკულ პათოსს; იმისათვის, რომ გამოვლინდეს კავკას გროტესკის ნაკლოვანი მხარეები, შეიძლება იგი გოიას¹⁶ გროტესკს (ოფორტების სერია — *Caprichos*, 1799) დავუპირისპიროთ, რომელშიაც გოიამ სოციალური მანკიერებანი ამხილა და სატირის ცეცხლში გაატარა ხელოვნების აქტიური პოზიციიდან, ოპტიმისტურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით. გოიას გროტესკის სატირა მიმართულია კონკრეტული ისტორიულ-სოციალური გარემოს წინააღმდეგ. მისი პოზიცია ნათლად გამოიყვეთა ოფორტში — „გონების ძილი წარმოშობს ურჩხულს“, რომლითაც გოია ილაშქრებს ფანტასტიკური, ძნელი ძალების წინააღმდეგ და სამართლიანად გვარწმუნებს, რომ გონების ძილი არის ყველაზე საშინელი საფრთხე, რადგან იგი მოასწავებს იმ ბნელი ძალების შეუმეცნებლობას, რომელთაც ადამიანი უნდა შეებრძოლოს. რეალისტური გროტესკის დანიშნულებაა — უარყოფა იდეალის სახელით, მტკიცება უარყოფით. უმთავრესი, რაც განასხვავებს კავკასა და გოიას გროტესკს, — ეს არის გროტესკული სიტუაციის ვადალანგის შესაძლებლობა (გოია) ან შეუძლებლობა (კავკას), რაც კავკასთან გამოწვეულია პესიმიზმით, (უმთავრესად ყოფიერების „დაბინდულ მხარეებზე“ ყურადღების გამახვილებით. უთუოდ სწორია ლოსევის აზრი იმის შესახებ, რომ „გროტესკი იქცა ბურჟუაზიული სინამდვილის¹⁷ კრიზისის ტრაგიკულ სიმბოლოდ“¹⁸. მოდერნული (ლოსევის და კაიზერის მიხედვით III პერიოდის) გროტესკის წარმოშობის წყარო მართლაც კაპიტალისტური საზოგადოების ტრაგიკული ორაზროვნება, მისი აბსურდული ატმოსფეროა, რომელშიაც ირაციონალური გამოდის რაციონალურის სახით, რაციონალური კი ტრანსცენდენტურში გადადის, ან, სხვაგვარად, აბსურდის სამყარო რაციონალურის ნიღბით გამოდის, იგი პრეტენზიას აცხადებს ერთადერთობაზე და ჭეშმარიტობაზე. ხელოვანი, რომელიც ნიღბს ხდის ამგვარ სამყაროს, მძიმე შოკს იღებს (არაიშვიათად ამ შოკის შედეგები კატასტროფულია).

კავკას სულიერი ჯანყის მარცხის მიზეზების საბოლოო გამოკვლევამდე თვალი გადავაგლოთ მის უნივერსუმს. ამ ცივ, ბნელ სამყაროში, სადაც მამას შეუძლია გამოუტანოს შვილს სასიკვდილო განაჩენი უნდობლობისა და სიძულვილის გამო, ადამიანი მარტოობისთვისაა განწირული, იგი უმწეო და მიუსაფარია. ადამიანი (სათლზე ამხედრებული) ამაოდ ითხოვს სითბოსა და შემწეობას ქვეყნისაგან, იგი სიცივეს, მრისხანებასა და დაუნდობლობას ემსხვერპლა. სოროდ ქვეყულ ადამიანის სახლში, რომლის ერთადერთი დანიშნულება საფრთხისაგან თავდაცვაა, მეშინურ კეთილდღეობას დაუსადგურებია. აქ ყველგან შიში და გულგრილობა სუფევს დანაშაულის ჩამდენის მიმართ. ეს ის სამყაროა, სადაც ადამიანები მოჭრილ ხეებს ჰგვანან ანდა იმ მატარებლის მგზავრებს, რომელთაც შუა გვირაბში კატასტროფა განიცადეს. უძველესი მიტების პერსონაჟები ამ სამყაროში სავალალო ტრანსფორმირებას განიცდიან.

¹⁶ რეალისტური გროტესკის ოსტატები არიან ლიტერატურის დიდი ავტორიტეტები: თ. დოსტოევსკი, თ. მანი...

¹⁷ „საშინელი, ტყვილთა სამყარო“ (ორტეგა-ი-გასეტ).

¹⁸ А. Г. Лосев, В. П. Шестаков. История эстетических категорий, М., 1965, стр. 360—399.

შემზარავად ხმაურობს დამსჯელი მანქანა („წუხილი“, „განაჩენი“, „სორო“, „პოსეიდონი“, „ახალი ვეჟილი“, „სოფლის ექიმი“, „დამსჯელ კოლონიაში“, „სათლზე ამხედრებული“ და სხვ.). ნ. კაკაბაძე, რომელიც ეხება კაფკას „აპოკალიფსური ვიზიონების“ საკითხს, შენიშნავს: „კაფკას ნაწარმოებთა თემა ადამიანთა ურთიერთსიუცხოვე, უკონტაქტობა, ურთიერთუნდობლობა, ადამიანის სულიერი უთვისტომობა, უსახლკარობა, უსამშობლობა. — ეს არის კაფკას შემოქმედების ძირითადი პრობლემები, ... მის ნაწარმოებებში გამოცემულია მწვავე გრძნობა სიმარტოვისა, იზოლირებისა, სოციალური ატომიზებისა, გათიშულობისა და თვითგაუცხოებისა“¹⁹.

განალიზებული მასალის მიხედვით, ჩამოვაყალიბოთ კაფკას პროზის (და ე. ი. მოდერნიზმის) რამდენიმე მთავარი ნიშანი, რაც ჩვენი აზრით, განაპირობებს „პროცესის“ არატრაგიკულ ხასიათს და, საერთოდ, კაფკას (ე. ი. ზოგადად მოდერნისტი ხელოვანის) სულიერი ჯანყის მარცხის მიზეზებს:

1) ნეგატიური ემოციების გაბატონება;

ა) შიშის თვის ერთ ნოველაში („წუხილი“) კაფკა შენიშნავს, რომ „ნამდვილი შიში — ესაა შიში მოვლენის წინაშე“. — სწორედ მოვლენის მიზეზის წინაშე შიშის გამო კაფკას შეუქმენებელი და კრიტიკულად გაუაზრებელი დარჩა დეპუმანისგან (ორაზროვანი) სამყარო, რის გამოც გარემომცველი სინამდვილე ფატუმადაა ქცეული. ესაა „ემოციური ჯოჯოხეთის“ (ოლდრიჯის ტერმინი) ატმოსფერო. ჩამოვლევითი ორაზროვნების ნიღბის ქვეშ სინამდვილის სწორი შემეცნების უუნარობის გამო, მხოლოდ შემზარავი, შეუცნობელი სახე დარჩა. ესლერმა მონბერგის შემოქმედების მთავარ შინაარსად შიში მიიჩნია²⁰. ვფიქრობთ, ესლერის ნათქვამის გავრცელება შეიძლება კაფკაზე და მთელ მოდერნიზმზე. ამ შიშის ატმოსფეროს გაუქმება, მისი დაძლევა ხელოვნებისათვის აუცილებელია, რადგან იგი ესთეტიკური ცდის ბუნების შეცვლას იწვევს, გულისხმობს ისეთ ფენომენებს, როგორცაა ზიზლი, უცხოობა, რაც გამორიცხავს პოზიტიურ მიმართებას სამყაროსთან, ეს უკანასკნელი კი ხელოვნების, ესთეტიკური ცდის საფუძველია. ჩვეულებრივ, შიში, შიშის გრძნობა ნამდვილი ან მოჩვენებითი საფრთხის დროს ჩნდება, მას არაიშვიათად პრიმიტიულ მოტივაციებს მიაკუთვნებენ და მიაჩნიათ, რომ მისი დაძლევა შესაძლებელია რთული, მაღალი მოტივაციების ფონზე²¹. ბურჟუაზიულ სამყაროში ამ გრძნობის წაქეზება, მისი სტიმულირება, მისი წამოწევა ხდება: „ახლა მთავარია შიშის წამოწევა, „რათა იგი დამორგუნავ ძალამდე გაიზარდოს“ (კ. იასპერსი). თ. ადორნოს მიჩნია, რომ მოდერნისტული ხელოვნების უმადლესი დანიშნულებაა „შიშის აღძვრა“. მისი აზრით, ბეკეტი და კაფკა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამას აღწევდნენ თავიანთ შემოქმედებაში²². თუ დავუპირისპირებთ რეალისტურ და, საერთოდ, ხელოვნების კათარსისულ მნიშვნელობას ამ ახალ მოთხოვნებსა და ახალ პრაქტიკას ხელოვნებაში გამოგონილს მოდერნიზმის სახით, შეიძლება ვიკითხოთ: ხომ არაა აქ ისეთი შემთხვევა, როცა მდაბლის გამაღლებას, მის განწმენდას კი არა, არამედ სწორედ ორდინალური ემოციების თავი-

19 ე. კაკაბაძე. პორტრეტები და სილუეტები, 1971, თბ., გვ. 80.

20 Г. Эйнслер. Избранные статьи, беседы о музыке, М., 1973, стр. 174.

21 Е. И. Кассиль. Наука о боли, М., 1962, стр. 325—326.

22 საინტერესოა შიშის ფენომენის გახსნა ო. ჰაქსლის ნაშრომში — „მაიშენი და არსება“.



სი ნამდვილი სახით გამოვლენას აქვს ადგილი? არ შეეჩია აქ ესთეტიკურისაკენ მიმართულ ცნობიერებას ფსიქიკური? ამას ხომ არ მოწმობს ნატურალისტური ელემენტების მოჭარბება საერთოდ მოდერნიზმში? — ეს სპეციალური კვლევის საგანია. ე. სიმენონის აზრით, გაგება და შეცნობა სიყვარულის ეკვივალენტურია, შიში ბადებს სიძულვილს²³, სიძულვილი კი უცხოობას განაპირობებს: „საბუნებრივი ჩვენთვის უცხოა“ (იტყვის ორტეა). ხელოვნების უძველესი საწყისებიდან ადამიანი ცდილობდა სამყაროსთან დაახლოებას, მის წარმოდგენას თავისთვის კეთილისმყოფელ ასპექტში, რაც შეეხება მოდერნიზმს, იგი სამყაროს „უცხოობას“ დაადგენს და სწორედ ამით იწვევს გარკვეულ შიშს მაშინ, როცა „ადამიანური აზროვნების დიალექტიკური მოძრაობა ...უცხოობის უსასრულო მოხსნაში მდგომარეობს“²⁴. რომ-გრიე შენიშნავს, რომ კლასიკის კითხვისას „წმინდა თავბრუსხვევა, რომელიც მაშინ მკითხველს მოიცავდა ხოლმე, სრულიადაც არ ბადებდა შიშს ან გულზიდვას. პირიქით, იგი უმტკიცებდა რწმენას თავისი უნარებისადმი“²⁵. ხელოვანის (მოდერნისტის) ახალი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ამგვარად, შეცვლილია. იგი ზიზღსა და გულზიდვას, შიშსა და განრიდების სურვილს ემყარება. მოდერნიზმისათვის ტიპურია დიარეული, სასოწარკვეთილება, ნერვიულობა, შფოთვა, ამასთან, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად მოდერნისტები უარესის წინასწარმეტყველის როლშიც გამოდიან. ვ. ველჩმა აღნიშნა, რომ ის, რასაც კაფკა სულიერი პროცესების, სულიერი სიტუაციების გამოხატვის საშუალებად იყენებს, შემდეგ თავისებურ წინასწარმეტყველებად შემობრუნდა, მაგალითად: „პროცესში“ გარსახული სიტუაცია (იოზეფ კას უმიზეზო დაპატიმრება) შემდგომ, ნაცისტების ბატონობისას, ჩვეულებრივ რეალობად იქცა“²⁶.

ბ) მოდერნიზმის ცივი „ჭაჯა“. „რტტველი, ჩვენი ბედუკულმართი საუკუნის ყინვაში გამოვდებული, მიწიერი ეტლითა და არამიწიერი ცხენებით დავებუტები მე, ბებერი ქვეყანაზე“ — აცხადებს კაფკას ერთი პერსონაჟი²⁷. ეს სიცივე, ეს ყინვა კაფკას სამყაროს შინაგანი ატმოსფეროს მახასიათებელია. მოდერნიზმს აკლია სითბო და სინათლე. კას მთელი თავგადასავალი ისე ჩაივლის ჩვენ თვალწინ რუხი, მოღუშული, ცივი ქალაქის ფონზე, რომ ერთხელაც არ გამოანათებს მზე; მთვარის ცივი სხივები გამოკრთება მხოლოდ. კაფკას გმირები მუდამ სიცივეს უჩივიან, ნიადაგ სითბოს ნატრობენ (გავიხსენოთ მისი „სათლზე ამხედრებულო“). სითბოზე ფიქრობენ ბეკეტის გმირებიც — ვლადიმირი და ესტრაგონი („გოდოს მოლოდინში“) ისინი შეპნატრიან ბიბლიოთეკ მხარეებს, სადაც ყოველთვის თბილოდა. გამყინვარებაა ლაკის მონოლოგის ერთ-ერთი მთავარი თემა. რაც შეეხება პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობებს, აღნიშნული მოვლენა აქ, შეიძლება ითქვას, ნაწარმოებების სრულიად დაშლილი ფორმით გლინდება, ესაა — სიცივე ნგრევისა და სიკ-

23 იხ. ე. შრაიბერის ინტერვიუ ე. სიმენონთან («Иностранная литература», 1971, № 10).

24 Великовский. В лаборатории расчеловечения искусства, в книге — «О современной буржуазной эстетике», М., 1963, стр. 339.

25 ციტირებულია წიგნიდან: «О современной буржуазной эстетике», М., 1969, стр. 252.

26 ციტ. ნ. ჰაჰაბაძე. პორტრეტები და სილუეტები, გვ. 99.

27 F. Kafka. Das Urteil..., s. 114.



ვდილისა. ასეთია მოდერნიზმის „ჰავა“. სიცივის ამგვარი ხელშესახება მოსახვე შემთხვევითი არაა, იგი უმთავრესი ატრიბუტია იმ ცივი, გულგრილი სამყაროსი, რომელსაც გაუცხოების, დეჰუმანიზების სამყარო ეწოდება. „ადამიანის სული ჩვენს დროში ცხოვრობს სიცივეში, როგორც მათხოვრები, ძაღლები“ — შენიშნა ს. დალიმ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამავ სიცივისგან ხელყოფილია ის (ხელოვანი), ვინც მისი გამოხატვა, მისი ასახვა მოინდომა: „შენ ვერ გაბედავ სიყვარულს, სიყვარული შენ გეკრძალება რამდენადაც იგი ათბობს“ — ეუბნება ეშმაკი ადრიან ლევერკოენს; სწორედ ეს სატანისებური სიცივე დახვდა „სათლზე ამხედარებულს“. ამრიგად, ერთი რამ ჩანს აქ ცხადად: ამ „დიდ სიცივეს“ ვერ აღდგომა წინ მისი მხილველისა და მგრძობელის დიდი შინაგანი სიბოლო. ამიტომაც ხელოვანი, ერთგვარად, თითქოს „მაყურებლის“ პოზიციაზე დგება — რადგან მის სულსაც შეხება იმ საშინელი სიცივე და არსებობა მხოლოდ ტრაგიკულ ელფერს ღებულობს მასთან, გარესამყარო მისთვის ადრასტეას სამეფოა. სწორედ ამიტომ თქვა თ. მანშა, რომ მხოლოდ ამ სიცივის გარღვევა „იხსნის ხელოვნებას“, რათა მან „ადამიანისაკენ გაიკაფოს გზა“; თუ არა და მას მხოლოდ „სრულ მარტოობაში დაშენისა და ჩაკედომის“ საფრთხე ელისო²⁸. მაგრამ მოდერნიზმი ვერ ახერხებს ამ „გარღვევას“ ადამიანისაკენ, მასში ადამიანისადმი ნდობის კრიზისი აისახა. გაუცხოება და ადამიანისადმი ნდობის კრიზისი ერთმანეთთანა დაკავშირებული და მოდერნიზმის მხატვრულ ქსოვილში სიცივის სახით სიმბოლურდება.

2) **ხასიათის გაუქმება.** კავკასთან ადგილი აქვს ადამიანის სულიერი სამყაროს გამწირებას, მის პასიურობას, მის დაცლას პიროვნებისაგან, რომელიც გულისხმობს აქტიურ, მიზანსწრაფ ინდივიდუალობას. აქტიური ინდივიდუალობა, აქტიური პიროვნება-მარტოკაცი კი არა, არამედ ურთიერთობებით, კავშირებით მდიდარი ადამიანია. ასე წარმოდგება ჩვენს წინაშე ხასიათი, რაც რეალიზმის მთავარი ესთეტიკური დომინანტია. ხასიათის შექმნა „სულის დიალექტიკის“ კანონთა ესთეტიკური ემყარება, ხოლო ეს კავკასთან (ასევე მთელ მოდერნიზმში) გამოირიცხებოდა.

3) **ობიექტივიზმ-სუბიექტივიზმი.** მკვლევართა უმეტესობა მიუთითებს კავკას შორალ ხელწერაზე: ანდერსი კავკას სტილს „ოქმის ენას“ უწოდებს. რედუქციური შენიშნავს, რომ კავკას პროზაში აისახა არა მარტო „უწესრიგობის საშინელება“, არამედ „საშინელების წესრიგიც“²⁹. საშინელება ფიქსირებულია, „რეგისტრირებულია“, რაც ობიექტივისტურ დონზე ხდება, — ეს კი ზედაპირულის აღნუსხვას ნიშნავს. სინამდვილისადმი ამგვარი მიდგომა იმავდროულად გულისხმობს სუბიექტივიზმსაც, რამდენადაც ემყარება აღქმის მარტოკაციას, გაუცხოებულისას, რომელმაც შეიცნო მისტიკური სამყარო — გასაგნობრივებული ადამიანური დამოკიდებულებანი და პერსონიფიცირებული საგნები. ამრიგად, სინამდვილის აღქმა მოდერნიზმში ნიშნავს მაყურებლის განჭვრეტას, სამყაროს გრძნობადი რეალობა დაუკარგავს, იგი როგორც პრაქტიკის საგანი, მოდერნისტისთვის გაუქმებულია.

4) **აზროვნების პარაბოლურ-მეტაფორულიობა,** კავკასთან მეტაფორა, სახე წარმოდგება არა როგორც პოეტური ტროპი, არამედ ისეთი გაქვავებული, სტატიკური რეალობა, რაც განვითარების კანონებს არ ემორჩილება. კავკას

²⁸ Т. Манн. Сочинения, т. VI, стр. 438.

²⁹ Х. Редекер. Отражение и действие, М., 1971, стр. 152—153.

სტილს მიდრეკილება აქვს კონსტრუქციისაკენ, სქემისაკენ, რომელიც სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსის მატარებელია. ამ შინაარსს ქმნის რეალურისა და ფანტასტიკურის შერწყმა. „პროცესში“ (და კაფკას მთელ პროზაშიც) გამოჩნდა წერის ექსპრესიონისტული მანერა. ყველაზე ნიშანდობლივი, რაც ექსპრესიონიზმთან კაფკას აახლოებს, ესაა: ა) ანარქისტული ჭანყი, ბ) სიყვარული ადამიანისადმი, გ) უსახვრო პესიმიზმი, დ) სამყაროს გროტესკული ხედვა, ე) სუბიექტის ჩართვა ასასახ ობიექტში (კაფკასთან ეს გაუცნობიერებელია).

ანარქისტული ჭანყი „პროცესისა“ და საერთოდ კაფკას პროზის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია და გამოხატულია ტოტალურ ნეგაციაში, რაც სასოწარკვეთილების განცდას ემყარება. ლენინი მიუთითებდა სასოწარკვეთილებისა და ანარქიზმის კავშირზე და მათს კომპრომისულ ბუნებაზე. ლენინის აზრით, სასოწარკვეთილება ნიშანდობლივია მისთვის, ვისაც არ ესმის ბოროტების მიზეზები, ვერ ხედავს გამოსავალს, არ აქვს ბრძოლის უნარი. ლენინის სიტყვები აქტუალურია დღესაც თანამედროვე დასავლეთის დეზორიენტირებული, სასოწარკვეთილი ინტელიგენტებისათვის და მკაფიოდ გვხასიათებს მოდერნიზტებსაც. ეს სასოწარკვეთილი, ანარქისტული ჭანყი, რაც ტოტალურ უარყოფას გულისხმობს, უმეტესად თავისივე საწინააღმდეგოდ შებრუნდება ხოლმე — კომპრომისში არსებულთან (ეს კომპრომისი ნებისითი ან უნებურია, ცნობიერია ან გაუცნობიერებელი). რაც შეეხება ტოტალურ უარყოფას, მოდერნიზმი ამ მხრივ არ მისდევს ხელოვნების ნორმას, — ესთეტიკურად უარყოფილი მოვლენების შეფასება პოზიტიურის სახელით უნდა ხდებოდეს, ე. ი. კონტრასტულობას უნდა ემყარებოდეს. როგორ ნიშნისაც არ უნდა ატარებდეს ემოცია საგნის ესთეტიკური შინაარსის მიმართ, იგი მუდამ პოზიტიური უნდა იყოს საგნის სუბსტაციონალური შინაარსის გაზოხატვისადმი მიმართებისას. როგორც ბელინსკი შენიშნავდა, ყოველგვარი უარყოფა, რათა იგი... პოეტური იყოს, იდეალის სახელით უნდა გაკეთდეს³⁰.

უმთავრესი ნიშანი, რაც კაფკას პროზას და საერთოდ მოდერნიზმს ახასიათებს, — ესაა სოციალური და გნოსეოლოგიური პესიმიზმი. ფრანგი მეცნიერის — რენე უიგის აზრით, ავანგარდისტული ხელოვნება და თანამედროვე მეცნიერება ერთმანეთს ჰკავს — ორივე რაციონალიზმის კრიზისს ავლენს: „ყველანი ვიძყოფებით ეპოქის კანონთა მოქმედების ქვეშ, რომლებიც აბსურდულ კანონებს წარმოადგენენ“³¹. „განა ჩვენი გონება უფსკერო სიღრმეების მუდმივ განუჭკურებ წყვდიადში არ დაბორიალობს? კითხულობს ბეკეტი³². იგი ხაზს უსვამს „გონების გამოფიტვას“. პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობებში ადგილი აქვს თვით აზროვნების დაშლის პროცესის დემონსტრირებას. სამართლიანად შენიშნა ა. შვაიცერმა, რომ პესიმიზმი — ეს ცხოვრებისადმი დაქვეითებული ნებაა. უპიროვნოდ მოქმედი პესიმიზმი ყველაზე საშიშია კულტურისათვის“³³. ორივე — სოციალური პესიმიზმიც (რაც სოციალური პროგრესის შეუძლებლობას გულისხმობს) და გნოსეოლოგიურიც (გონებისადმი რწმენის დაკარგვა) ადამიანისადმი ნდობის კრი-

³⁰ В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, т. X, стр. 294.

³¹ R. Huyghe, Art and the Spirit of man, N.-Y., 1962, p. 122, 470.

³² იხ. ბეკეტი-გოდოს მოლოდინში, „ხომლი“, № 8, 1973, გვ. 192, 193.

³³ А. Швейцер. Культура и этика, М., 1973, стр. 109.

ზისის საფუძველია, რაც უშუალოდ გამოიხატა ადამიანის უუნარობის, მესაქვეყნოების ჩვენებაში კავკასთან (კა — „პროცესიდან“, ბენდემანი — „განაჩენიდან“ გრეგორი ზამზა — „გადაქცევიდან“ და სხვ.). ამ პესიმიზმში სასოწარკვეთილი ხელოვანის პოზიცია მქლავნდება: „ყოველი ადამიანი დაუბრუნებლად ჩაქარგულია თავის თავში“³⁴ — ჩაუწერია კავკას დღიურში (1914).

ისტორიულ-სოციალური სინამდვილის ავანგარდის არიდების გამო (სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიური სურათისგან განრიდება — მისი ლიტერატურული ასახვის აზრით), კავკასთან კაპიტალისტური სამყაროს ტრაგიკული სქემა გავრცელებულია ყოველგვარ საზოგადოებაზე („პროცესი“). (კაპიტალისტური საზოგადოების სწორედ ამ ტრაგიკულ-ნეგატიური მოდელითაა განპირობებული კავკას პროზისა და, საერთოდ, მოდერნიზმის გენეზისი, რითაც შემცირებულია პროტესტი და კრიტიკული პათოსი ნამდვილად ნეგატიური საზოგადოების მიმართ). ამის მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობს ინდივიდუალიზმსა და სუბიექტივიზმში, რომელიც ანელებს ან აუქმებს პროტესტანტულ პათოსს კავკასთან. ამ მოვლენას (ინდივიდუალიზმი) ოლდრივი მოდერნიზმის „შინაგან მიწუსს“ უწოდებს, რომელსაც ეს ხელოვნება თავიდანვე ატარებდა, რადგან სოციალურ ცნობიერებას აქრობდა³⁵.

9) განალიზებული მასალის სხვა საერთო ნიშნებია: ნაწარმოების ე. წ. ღიაობა (მრავალ ინტერპრეტაციათა შესაძლებლობა), აბსტრაქტულისა და ნატურალისტურის შერწყმა, სამყაროს ორაზროვნების აქცენტირებისა და ნიღბის ჩამოხსნის პათოსი, გაქვავებული დრო და სივრცე (კონკრეტულ ისტორიულ-სოციალურ ვარემოდან გამოსვლა), რაც აღნიშნულ ფენომენთა ერთგვარ მისტიფიკირებას ახდენს³⁶. სამყაროს დესტრუქციული კრიტიკა, პასიური პროტესტი მიმართული დეჰუმანიზების სამყაროს წინააღმდეგ (კომპრომისში გადაზრდილი).

დაბოლოს, ერთხელ კიდევ გავუსვამთ ხაზს იმ ნიშანს, რასაც ალბათ ყოველივე სხვა ნიშანი ეყრდნობა — ესაა სოციალური და გნოსეოლოგიური პესიმიზმი, რაც სასოწარკვეთილების განცდაში აისახა კავკასთან. როგორც სწორად შენიშნავს ერთი მკვლევარი „სპეციფიკურ მოდერნიზმში სწორედ სასოწარკვეთილებაა, ეს კი ნიშნავს „ბოროტების წინაშე კაპიტულირებას“³⁷. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოდერნიზმში ერთმანეთს უკავშირდება სრული უარყოფისა და პესიმიზმის (გნოსეოლოგიურ-სოციალური) ნიშნები, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ეპოქის მოდერნისტული კრიტიკის სისუსტეზე მიგვითითებენ. ლენინმა წამოაყენა საკითხი: პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი და მიუთითა „ძალთა გათვალისწინების“, „სიფხიზლისა“ და „დაუოკებელი ვენებიანობის აუცილებლობის“ შესახებ, რაც ოპტიმიზმის პოზიციას უნდა ახასიათებდეს. მოდერნიზმის უკიდურეს პროტესტში არსებულის ზედაპირული კრიტიკა (თუმცა მოდერნიზმმა გარკვეული აზრით ახსა სინამდვილის ზოგიერთი მხარე) ჩანს, ხოლო ოპტიმიზმი ეყრდნობა სინამდვილის ღრმა, ფხიზელ

³⁴ „Jeder Mensch unrettbar an sich selbst verloren ist (F. Kafka. Tagelücher... s. 218).

³⁵ Дж. Олдридж. Будущее романа, журнал «Иностранная литература», 1965, № 9, стр. 237.

³⁶ В. Молчанов. Время как прием мистификация читателя в современной литературе. в книге — «Ритм, пространство и время в литературе и искусстве», Л., 1974.

³⁷ В. Д. Затонский, Ф. Кафка и проблемы модернизма, стр. 14.

შეფასებას და დაუთარგუნავ ბრძოლისუნარიანობას. ეს ნიშნავს აგრეთვე კრიტიკის კონსტრუქციულ ხასიათს: ხელოვანმა სამყაროს ნეგატიურ-ტრაგიკულ მოდელს უნდა დაუბირისპიროს გაუცხოების საწინააღმდეგო — ადამიანური სამყაროს მოდელი; ეს კი შესაძლებელია პოზიტიური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომელიც ნაკლოვანების დიალექტიკურ უარყოფას გულისხმობს, რადგან „დიალექტიკური უარყოფა, დადებითი, დამამტკიცებელი უარყოფაა“. კრიტიკის სფეროში დიალექტიკური უარყოფის მოთხოვნებიანი ემყარება „კრიტიკის ობიექტის ღრმა ცოდნას, მის ყველა მხარეთა საფუძვლიან შესწავლას, კრიტიკის ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების დადგენასა და უარყოფითისადმი ახლის, პოზიტიურის დაპირისპირებას“, რადგან დადებითი მომენტის აღნიშვნის გარეშე „კრიტიკა კარგავს თავის მოქმედ ძალას“³⁸.

კავქას „პროცესი“ და მთელი მისი შემოქმედება ქრონოლოგიურად უკავშირდება ბურჟუაზიული ევროპის კულტურის ღირებულებითი დეზორიენტირების, ე. წ. ღირებულებათა სიკვდილის ხანას. ჩ. გლიკსპერგი შენიშნავს, რომ „თანამედროვე ადამიანი დაცარიელებულად გრძნობს თავს, თავისი გააქვს იმის რწმენას, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა სიმართლე, რომ ადამიანი არარაობაა“³⁹. „უსამართლობის, ძალადობისა და სიცრუის ზღვა, რომელმაც ახლა მთელს კაცობრიობას გადაუარა, თავის გამანადგურებელ ძალას დაკარგავს, თუკი ჩვენ შევძლებთ წინაღუდღვეთ მას თუნდ რაღაცა ფიქრის მსგავსით — სამყაროსა და სიცოცხლის საზრისის შესახებ“, — წერდა ცნობილი ჰუმანისტი და ოპტიმისტი ალბერტ შეიციერი⁴⁰. კავქას პროზის უმთავრესი ღირსება სწორედ ადამიანის ყოფიერების საზრისის საკითხის დასმაა. სხვა არის ის, თუ როგორ გადაჭრა იგი, შესძლო თუ არა პოზიტიური დასკვნების გაკეთება. ამ საკითხის გადაჭრა კავქას შემოქმედებაში გვაძლევს პასუხს ადამიანის კონცეფციის თაობაზე, რომელიც კავქასთან შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ადამიანი მისთვის მტრულ, გაუცხოებულ სამყაროში ცხოვრობს, იგი თვით წილნაყარია ამ სამყაროსთან. ადამიანის სიცოცხლის საზრისი „საქები მიზნით“ არსებობაში — სამართლიანობის, ადამიანური სიცოცხლის მოპოვებაში მდგომარეობს. თითოეული ადამიანი ვალდებულია თავისი „გუშავი“ (თავისი წილი უსამართლობა, ბოროტება) გადალახოს. ამრიგად კავქას პროზის მეორე დიდი ღირსებაა ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის ხაზგასმა. ადამიანის დანაშაული მდგომარეობს მისგან სიცოცხლის საზრისის გაუცხოებლობაში და ამ საზრისის გარეშე ცხოვრებაში; ყოველივე ეს ადამიანის მოვალეობაა — „ლაპაზი“ ადამიანის ხვედრია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ადამიანი სუსტია, უძლურია „საქები მიზნით“ ცხოვრებისათვის, უძლურია ბოროტი, ირაციონალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლისათვის, იგი ნებდება ბნელ ძალებს და აქაც კავქა დამნაშავედ თვლის ადამიანს: დანაშაულია უმწეობა, კაპიტულირება ბოროტი ძალების წინაშე; ადამიანი თავად ავებს პასუხს იმისათვის, რაც მას შეემთხვევა. მაგრამ გარესამყარო, ბნელი ძალები კავქასთან ფატუმის, ადრასტეას სამეფოს სახეს იღებენ: ეს ამსტრადი, ეს ქაოსი უზარმაზარი და დაუძლეველია, არავინ იცის მისი სა-

³⁸ ჯ. გოგსაძე. დიალექტიკური უარყოფა, თბ., 1973, გვ. 116.

³⁹ ციტირებულია წიგნიდან: *Идеологическая борьба в литературе и эстетике*, М., 1972, стр. 124.

⁴⁰ А. Швейцер. *Культура и этика*, стр. 92.

ფეხურების რაოდენობა. ადამიანი უძრავად დგას ამ პიპერტროფირებული ანონიმურობის წინაშე, იგი სუსტია და ამიტომაც განწირულია. კაფკა აკეთებს საბოლოო პესიმისტურ დასკვნას: ადამიანი ბოროტი ძალებისადმი დანებებით ადასტურებს, რომ პიროვნებად ყოფნა სამყაროში პრობლემაა. ადამიანის ამგვარი გამოუვალი მდგომარეობა მისი არსებობის ტრაგიკულ ხასიათს განაპირობებს, — ასე გვესახება ადამიანის კონცეფცია კაფკასთან; მაგრამ ყოფნა-არყოფნის პრობლემა არატრაგიკულის დონეზეა გადაწყვეტილი და პიროვნების და საზოგადოების ურთიერთმიმართების ფონზე წყდება: „ხელოვნება მუდამ მთლიანი პიროვნების საქმეა. ამიტომაც იგი მის საფუძველშივეა ტრაგიკულიო“, — უთქვამს ფ. კაფკას იანოუხისთვის⁴¹.

ყველა დისონანსი და ყველა წინააღმდეგობა კაფკასთან უზარმაზარი, უპიროვნო, გროტესკული სამყაროს გაუცნობიერებლობიდან, მისი შეუშემცნებლობიდან გამომდინარეობს; ადამიანს აზნევეს აბსურდული სამყაროს საშინელება. კაფკას თქმით, „ნამდვილი რეალობა (Wirkliche Realität) მუდამ არარეალისტურია“⁴². იმდენად შემძირწუნებელია რეალობა, რომ ადამიანს არ სჯერა მისი ნამდვილობა (გავიხსენოთ ბეკეტის გმირის — ვლადიმირის — შიშნარევი კითხვა: „სინამდვილეა თუ არა ეს“?). „სასამართლოს (სურათის) მიღმა დგას შეუშემცნებელი სინამდვილე“ — წერს ი. ბ. სუჩკოვი⁴³. ამ მწირ, მონოტონურ სამყაროში, რაც მთავარია, ადამიანი დარჩა შეუშემცნებელი კაფკას, — ადამიანის შესაძლებლობანი და უნარები უარყოფილია. კონკრეტულ-რეალური სიტუაციიდან ამოგლეჯილი ადამიანი მწირი და აბსტრაქტულია, მას შიში და თავდაცვის ინსტინქტიღა შერჩენია; აბსტრაქტულად განწმენდილი იგი დროის ყველა სქემისადმი მორგებული. ამ აზრით, მკვლევარები ხშირად აღნიშნავენ კაფკას პროზის მითოლოგიურ ხასიათს. კაფკას გმირს შეუიარაღებია თავისი შესაძლებლობები („კოშკი“, „პროცესი“) და უიმედო დასკვნები გამოუტანია — მან ყველგან მარცხი განიცადა. გნოსეოლოგიურ-სოციალური პესიმიზმი სოციალური პროგრესის გათვალისწინების გზას უხშობს კაფკას. და მაინც, კაფკა ცდილობს დამცირებული, ღირსებააყრილი ადამიანის დაცვას. ამიტომ მკვლარად მიგვაჩნია ზატონსკის აზრი, რომ კაფკას სატირა არის სატირა საერთოდ სამყაროზე, საერთოდ ადამიანზე⁴⁴ (ზატონსკი „პროცესის“ გაანალიზებისას აკეთებს ამ დასკვნას და იმოწმებს ვ. ბენიამინს). ადამიანთა დამცირებისგან კა-კაფკა შეძრწუნებულია, მას არაადამიანური სიტუაციისა რცხვენია და ამ სირცხვილს ბადებს საკუთარი უმწეობა ბნელი ძალების მიმართ „ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს თავისში არსებული რაღაც დაუნგრეველისადმი მტკიცე რწმენის გარეშე“, — ამბობს კაფკა თავის 50-ე აფორიზმში. სუჩკოვის აზრით, კაფკასეული კონცეფცია დეკადენტურია, რადგან დეკადენტური მსოფლმხედველობის მთავარ ნიშანსა და თავისებურებას წარმოადგენს ადამიანის არათავისობის გრძნობა, მისი დაქვემდებარება სამყაროს ირაციონალური ძალებისადმი, რომლებიც იმონებენ ადამიანს. ამ ძალთა ბუნება დეკადენტური ცნობიერებისთვის უცნობი რჩება ანდა, ყოველ

⁴¹ Gustav Janouch. Gespräche mit Kafka. Erinnerungen und Aufzeichnungen. Frankfurt a. M., 1951, s. 33.

⁴² Das Kafka-Buch. Eine innere Biographie in Selbstzeugnissen, Herausgegeben von Heinz Volitzer. Hamburg, 1973, s. 208.

⁴³ С у ч к о в. Мир Кафки, в книге — „Франц Кафка...“, М., 1965, стр. 4.

⁴⁴ ზატონსკის ჩვენ მიერ ციტირებული წიგნი, გვ. 104.



შემთხვევაში, სრულიად გამოუყვეთელია⁴⁵. ზატონსკის აზრით, დეკადენტური ცნობიერება თითქოს ერთგვარად მოწყვეტილია ადამიანის (ადამიანის გარეშე). ორივე ამ ავტორის მიხედვით, კაფკა მოდერნისტია. ა. სანჩეზ ვასკესის აზრით, რომელიც „პროცესს“ მარქსის თეორიის ლიტერატურულ პარადიგმად მიიჩნევს, კაფკა რეალისტი, მისი ფუნდამენტური საკითხი ჩვენი დროის კარდინალური პრობლემაა — „ინდივიდის ინტეგრირება საზოგადოებაში, ნამდვილი კავშირისა და ერთობის საკითხი მათ შორის“⁴⁶. პ. რედეკერი ფიქრობს, რომ კაფკა მოდერნისტი როგორც დეკადენტური ხელოვნების წარმომადგენელი⁴⁷ და აკრიტიკებს ერნსტ ფიშერს, რომელიც შლის საზღვრებს რეალისტსა და მოდერნიზმს შორის და კაფკას რეალისტად აცხადებს. ლ. ფ. დენისოვა სამართლიანად შენიშნავს, რომ კაფკამ ვერ დასძლია ბურჟუაზიული ფეტიშიზმი, რომ მასთან ადგილი აქვს სოციალური ცხოვრების უპერსპექტივო ხასიათს „კაფკას შემოქმედებას აკლია ბრძოლისა და იდეალური მომენტის შემცნება, ურომლისოდაც თანამედროვე რეალისტური ხელოვნება არ არსებობს“⁴⁸. კაფკამ ვერ შესძლო გაუცხოების მხატვრული დაძლევა, ვერ გააკეთა პოზიტიური დასკვნები პრაქტიკისგან მოწყვეტის, სულიერ სამყაროში ჩაკარგვის გამო (როგორც შენიშნავს ე. ი. ლენინი: ყოველგვარი კრიზისი ერთს გასტეხს, სხვებს — აწრთობს).

კაფკა მიხვდა ადამიანთა კავშირის, ადამიანური ურთიერთობის უმაღლეს მნიშვნელობას („მე მიყვარხარ არა შენ, არამედ ჩემდამი შენგან ნაჩუქარი ყოფიერება“, — წერს იგი მილენა იესენსკას); მაგრამ სამყაროზე პესიმისტური, ნეგატიური დასკვნის გამო („ყველა ადამიანი მოუბრუნებლად ჩაკარგულია თავის თავში“) მან ექვემდებარა დააყენა თვით ამ კავშირის შესაძლებლობა. ამ მხრივ საპირისპირო ვითარება გვაქვს თ. მანთან, რომელმაც „დოქტორ ფაუსტუსით“ ბრწყინვალედ დაამტკიცა ბნელი სინამდვილის დაძლევის შესაძლებლობა. მაგრამ შეუძლებელია დავიწყება რიგი ღირსებებისა, რაც კაფკას შემოქმედებას გააჩნია.

იმისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი თავი და გადაერჩინა ხრწნადი სისტემის მხრიდან ხელყოფისგან, ხელოვანთ უარყვეს დამპალი დოქტრინები და განაცხადეს: „შეშხედეთ! მეც ადამიანი ვარ, მე ვგრძნობ როგორც ადამიანი და ვიქცევი როგორც ადამიანი და არ შემიძლია ავიტანო საზოგადოების პირმოთნეობა, მისი სიცრუე. აი, როგორია რეალური ცხოვრება, რომელსაც ადამიანი ეჯახება, თუკი ჩამოაცილებ ცრუ ნაყალბევთა ქსელს და აი როგორია ემოციური ჯოჯოხეთი, რომელიც იძულებით უნდა გავიარო, რომ ყველაფერ ამას გავუძლო“, — წერს ოლდრიჯი მოდერნისტი ხელოვანის ზევდრზე⁴⁹. მით უფრო მწარე იყო კაფკას ზევდრი, რომელიც „სამამაკ გეტოში“ ცხოვრობდა: გერმანულ, გერმანულ-ევროპულსა და ბურჟუაზიულში⁵⁰.

კაფკას შემოქმედებიდან ისმის იგივე ხმა, რაც ზიგფრიდ პფაფრატის დისონანსური, შეშფოთებული, მწუხარე, სასოწარკვეთილ და მშფოთვარე მუსი-

45 სუჩკოვის ჩვენ მიერ ციტირებული წიგნი, გვ. 13.

46 A. Sanchez Vazquez. Las ideas esteticas de Marx. Mexico, 1965, p. 142—143.

47 ხ. რედეკერის დასახელებული წიგნი, გვ. 118.

48 А. Ф. Денисова. Реализм в искусстве и проблемы отражения, ж. «Вопросы философии», 1966, № 11, стр. 90.

49 Дж. Олдридж. Будущее романа, ж. «Иностранная литература», 1965, № 3, стр. 237.

50 ციტ. ზატონსკის დას. წიგნის მიხ. გვ. 27.

კიდან ესმოდა ილზა კიურენბერგს⁵¹ — „ეს ჯერაც დაუძინებელი სინდისის ხმა“, ხოლო სინდისი ზრუნვის ხმა კი არა, მოვალეობის ძახილია⁵². სწორედ ამიტომ მიგვაჩნია კაფკა ჰუმანისტად. ზატონსკი შენიშნავს, რომ „კაფკა ჩვენს წინაშე იხსნება, როგორც ხელოვანი, რომელსაც სძულს ბურჟუაზიული სამყარო და იმავე დროს წილნაყარია მასთან, რომელსაც არ სჯერა ადამიანის შესაძლებლობისა, მაგრამ იმავედროულად ტკივილს განიცდის მის გამო“. „იგი იტანჯებოდა ადამიანისთვის და თავს მის გამო პასუხისმგებლად გრძნობდა“. ერთ იგავში კაფკამ თავისი თავი გუშავს შეადარა, რომელიც ძილქუშდაცემული კაცობრიობის გვერდით ფხიზლობს. აქ უთუოდ სინდისის სიფხიზლუნება ლაპარაკი რომელმაც კაცობრიობას უნდა უდარაჯოს. აქვე უნდა შეინიშნოს კაფკას ჰუმანიზმის აბსტრაქტულობა, რადგან იგი მოწყვეტილია კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს⁵³. კაფკა ვერ ჩასწვდა ადამიანთა გაპოვებულ-ბეღელ საზოგადოების ისტორიულ-სოციალურ ფესვებს (თუმცაღა მან „პიროველი გამოსატა მსოფლიო ლიტერატურაში ტოტალური კაპიტალიზმი“⁵⁴. მან ვერ შეისძლო ადამიანის დაცვა, თუმცა, კაფკას მთელი შემოქმედება არის თავისებურად თავგანწირული (და უმწეოც) ლტოლვა ადამიანის დაცვისათვის, პროტესტი მისი გაუცხოების წინააღმდეგ. „ბედნიერი ვიქნებოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ შევძლებდე სამყაროს მიმართვას სიწმინდისაკენ, სიმართლისაკენ, ურყევობისაკენ (Tagebücher)“ — უთქვამს კაფკას.

II

მოდერნიზმის წარმოშობის უმთავრეს მიზეზებზე — სოციალურ და გნო-სეოლოგიურ პესიმიზმზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის კონკრეტული ისტორიულ-სოციალური გარემო, ის ყოფიერება, რომელზედაც მოდერნიზტული ცნობიერება აღმოცენდა. მხატვრული დეკადანსის მიზეზთა და სიმპტომთა კომპლექსში უმთავრესი წილი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის არაქვეშაობობას და ამის საფუძველზე ადამიანის არსებობის ტრაგიზმს განეკუთვნება. ეს უთუოდ გამოწვეულია იმ სისტემის დაშლის პროცესით, რომელმაც შრომის და, აქედან გამომდინარე, ადამიანის გაუცხოება (თავისი თავისგან და სხვა ადამიანთაგან) განაპირობა. ჰ. ესლერმა თანამედროვე მუსიკის (და საერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების — ლ. ჰ.) კრიზისის მთავარ მიზეზად მიიჩნია Caries Societatis, — რაც ნიშნავს საზოგადოების ლპობას⁵⁵. ამ მდგომარეობის უმთავრესი ნიშ-

⁵¹ იხ. В. Кеппен. Смерть в Риме, ж. «Иностранная литература», 1965, № 10, стр. 7.

⁵² ა. ზურაბაშვილი. პერსონალური და კლინიკური ფსიქიატრიის პრობლემები, თბ., 1974, გვ. 84.

⁵³ კ. სალინარის აზრით, ამგვარი ჰუმანიზმი ანარქისტულია. თავის საფუძველად იგი ადამიანში ხედავს საზოგადოების მიერ დაჩაგრულ არსებას, იზოლირებულს სამყაროსაგან და ადამიანთაგან, სეველია და სასოწარკვეთილებისაგან აგებულს. რაც შეეხება კონკრეტულ ჰუმანიზმს — იგი ხელოვნების გაგებისას გამოდის ადამიანის განხილვიდან მის ისტორიულ და საზოგადოებრივ კავშირში, ამოდის მისი ბძოლიდან საზოგადოების იმ განსაზღვრულ ტიპის წინააღმდეგ, რომელიც მისწრადის ადამიანის დეჰუმანიზებისაკენ და იმ მანქანის უგონო ბორბლად მისი გადაქცევისაკენ, რომლის სვლა ადამიანისათვის გაუგებარია (იხ. Гуманизм и современный мир. М., 1963, стр. 21).

⁵⁴ В. Диевров. Черты романа XX века, М., 1965, стр. 121.

⁵⁵ Г. Эйслер. Избранные статьи, беседы о музыке, М., 1973.



ნი, ჩვენი აზრით, ის სიტუაციაა, როცა ადამიანი თავის მიერ შექმნილ საგანს თქვენობით მიმართავს, — ესაა შემოქმედის (თავისუფალი, შემქმენებელი და შემოქმედი) პოზიციიდან მომხმარებლის (ნიველირებული, სტატიკურ-შაბლონური) პოზიციამდე დადმასვლა — ღირებულებითი დეზორიენტაციის შედეგი; ამ უკანასკნელის მიზეზები კი კაპიტალისტური კულტურის თავისებურ ორიენტაციაში — მის ტექნოკრატიზმში მდგომარეობს, რომელიც, უკულებელყოფს ეთიკური პასუხისმგებლობისა და ჰუმანიზმის პრინციპებს როგორც არახელსაყრელს და ამ მხრივ, აგრძელებს ნატურალისტური, პოზიტივისტური-ნიპოლისტური მსოფლმხედველობის ხაზს⁵⁶.

კ. მარქსმა მიუთითა ხელოვნებისადმი კაპიტალისტური საზოგადოების უცხო, მტრულ ხასიათზე. გაუცხოების საზოგადოებაში მოქცეული ხელოვანი საკუთარი ყოფიერების არაჰუმანიტობას აცნობიერებს, იგი გარებულოა, გრძნობს, რომ Homo absurdus-ად ყოფნა უწერია. კაპიტალიზმი ცდილობს ხელოვნება დაუქვემდებაროს წარმოების (კაპიტალისტურ) ფუნდამენტურ წესს — მოაქციოს გაუცხოებული შრომის ეკონომიკის ფორმაში (პროდუქტიულობა), რაც ნიშნავს მხატვრული შემოქმედების პროდუქტის მისთვის ნიშანდობლივი კვალიტატურისაგან აბსტრაქტიზმს (ხდება ესთეტიკურის გამწვანება, აბსტრაქტიზება, მაშინ როცა ესთეტიკური ხელოვნების ნაწარმოების სპეციფიკურ ღირებულებას წარმოადგენს. (სწორედ ამგვარ ხასიათს ატარებს ტექნოკრატიული მსოფლმხედველობით ორიენტირებული ოფიციალური ხელოვნება — კულტურის ინდუსტრია⁵⁷. ერზაცის შეჭრა ხელოვნებაში, ამგვარად, ემთხვევა ტექნოკრატიზმის ხანას — საგანთა პერსონიფიკაციისა და ადამიანთა გასაგნობრივების ხანას. ამგვარ სიტუაციაში ხელოვანს წინაღუდგება უცხო, არაადამიანური სამყარო („დამახინჯებული“ „თავდაყირა დაყენებული სამყარო“)⁵⁸. ეკონომიურ დამოკიდებულებათა ხილული სახე მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი შინაგანი, არსებითი, მაგრამ ფარული (!) ძირითადი შინაარსისაგან (კ. მარქსი). რეაქცია ხელოვნებისა ნეგატიურია. მას „ფსიქიკური გულზღოვა“ (ოვსიანიკო-კულაკოვსკის გამოთქმა) შეემთხვევა მისტიფიკირებული რეალობის მიმართ („ნამდვილი რეალობა მუდამ არარეალისტურიათ“ — აცხადებს კაფკა). იგი ცდილობს გაეჭკეს ამ საშინელ, საქლველ სინამდვილეს, ამავე დროს გაბრძოლებასაც შეეცდება, სურს ჯიქურ შეხედოს, ორ-აზროვნების, სიყალბის ნიღაბი ჩამოპგლიჯოს, — მის დეჰუმანიზმას (დერეალიზმას) ახდენს, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ახერხებს „ფარული შინაარსის“ ღრმად დანახვას, იგი სოციალური სიმახინჯის სურათს (ზედაპირულად დანახულს) თანდათან ავრცელებს ყველაფერზე, მთელ სამყაროზე, ყოველ არსებულ ან შესაძლებელ საზოგადოებაზე. სინამდვილისადმი მძაფრი სიძულვი-

⁵⁶ „რატომაა, რომ ღმერთებად ქცეულნი ტექნიკის აზრით, ჩვენ ეშმანი ვართ მორალური თვალსაზრისით; რატომაა, რომ ჩვენ ინტელექტუალური ზეკაცნი და ესთეტიკური დეგენერატები ვართ ერთდროულად“ (Lews Mumford, Kunst une Technuk, Sfu tgart, 1959, s. 11).

⁵⁷ მარქსისტი ვისლერი, რომელიც მხატვრული დეკადანსის ორ ფორმას ვანიზილავს (ელიტარული და ერზაცხელოვნება — მასობრივი ხელოვნება), თვლის, რომ ეს უკანასკნელი — ადამიანებთან ახლოსმდგომი „ყველაზე სახიფათოა“ მისი „ერთ ოპტიმიზმის“ „სრულიად უსაფუძვლო ჰუმანიზმისა“ და „დამპალი მდაბიური ეროტიკის“ გამო (Г. Э. М. лер. Избранные статьи... стр. 211—212).

⁵⁸ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. XIX, ч. II, стр. 396.

ლი ხელოვნებაში სქემატიზმისა და აბსტრაქტიზმის საფუძვლებად იქცა⁵⁹. მათში (ადამიანები, ცხოველები) იმდენი ხელსაყრელი და მახინჯი აღმოვაჩინე, რომ ჩემმა გამოსახულებებმა ინსტინქტურად, შინაგანი წაქეზებით სქემატურად, აბსტრაქტულად იწყეს გადაქცევა“ — შენიშნავს ექსპრესიონისტი ფ. მარკი⁶⁰.

ზ. კაკაბაძე, რომელიც იკვლევს მე-20 საუკუნის დასავლეთის ხელოვნების ორ ძირითად ხაზს (ფორმალისტურ არტიზტიზმს და რადიკალურ გროტესკს), მათ შორის კავშირს ერთი შინაგანი მოტივით ხსნის. „ნათელი ხლება, რომ ამ სხვადასხვა ესთეტიკურ პოზიციას“ აქვს ერთი შინაგანი მოტივი — „საშინელი სამყარო“, „გაუცხოვების სამყარო“, რომ „დეფორმირებული ხელოვნების შინაგან მოტივს შეადგენს ტრაგიკული ცნობიერება — „ადამიანური არსებობის რადიკალური კრიზისის განცდა (რომელმაც ადამიანური სამყაროს საშინელი ორაზროვნება აღმოაჩინა) და შესატყვისი პესიმისტური მსოფლმხედველობა⁶¹“.

Относительно второго из вышеперечисленных произведений (Гумель — соната *Es dur*) испытываемая Л. Б. пишет: «Второе произведение написано в классическом стиле, кажется сонатное *Allegro*. Автора не знаю, но гармонические обороты, соотношение тональностей, кадансные окончания типичны для композитора представителя классического стиля». Испытуемая Д. Д. так же отмечает: «Второе произведение должно принадлежать композитору, который по языку и по характеру изложения относится к классическому стилю. Типическая мелизматика, гармонические соотношения, заставляет думать, что произведение относится представителю классического направления. По форме кажется сонатное».

«Третье произведение (О. Дютш — *Ноктюрн Ges dur*) — пишет испытываемая Л. И. — написано в романтическом стиле. Широта дыхания, мелодия, столь мерная, спокойная и выпуклая с аккомпаниментом, который создает плавный фон, взволнованная средняя часть, где мелодия не теряет своего значения и звучит несколько измененная в другом регистре, смена настроения, образов — вот чем отличается романтический стиль». Вот что говорит испытываемая Р. А.: «Это должно быть произведение композитора — романтика. Поэтическая — напевная и столь значительная мелодия на фоне триольного аккомпанимента, с оживленной средней частью, напоминает ноктюрны Шопена».

Оценивая четвертое произведение (Равель — *Ундина*, средняя часть) испытываемая Р. Т. отмечает: «Это, по моему, произведение композитора импрессиониста, так как такой гармонический язык, ладотональные соотношения и фактурные особенности свойственные представителям этого направления. В этой пьесе как бы слышится журчание птиц, плеск воды и как будто в этих звуках природы где-то далеко звучит человеческий голос, напевающий тоскливую мелодию». Про то же самое произведение испытываемая Н. Ч. пишет: «Это — пьеса композитора — импрессиониста. В ней встречаются такие композиторские приемы, которыми пользуются импрессионисты: целотонные гаммы; звуковые комплексы, изображающие различные сцены пейзажа; красочные аккорды, употребляющие как вид звуковой краски и т. д.

Оценивая пятое произведение (Мессиаен — *Бурлескная фантазия*) испытываемая О. В. — говорит: «Пятое произведение — это пьеса современного автора, правда не знаю чья, но такие резкие диссонантные соотношения, совершенно иной гармонический язык, не похожий на предыдущие произведения, такие необычные звуковые обороты, которые режут слух, можно встретить только в современных произведениях». Или же испытываемая М. Ш. отмечает: «Это безусловно современное произведение. Такой жесткий гармонический рисунок может быть только у современного автора. Дикость ритмического рисунка, такие диссонантные соотношения могут быть только у композитора XX века».

Характеризуя шестое произведение (Г. Канчели. Поэма — *Экспромт*), все единогласно отметили, что это пьеса современного грузинского композитора, которое можно отличить своим самобытным национальным колоритом.

Можно считать, что в первом варианте I эксперимента большинство испытываемых правильно отгадали стиль направления, к которым



относились неизвестные авторы прослушанных ими известных произведений.

Анализируя результаты полученных на основе первого варианта экспериментов, можно прийти к выводу, что для испытуемых основным критерием в оценке стиля, главным образом, служит общее впечатление от восприятия данного музыкального образа, которое строится на такие компоненты, как: музыкальный язык, ладо-гармонические обороты, интонационные развития, мелодические, метrorитмические и фактурные особенности произведения. Все это в совокупности составляет единство художественных явлении, что и определяет понятие о стиле, выявление чего зависит от тех знаний и слухового опыта, которыми обладают испытуемые.

Интересно отметить, что во всех случаях стиль современного автора испытуемые отгадывают в основном по характеру звучания. Главным критерием их оценки служит диссонантность звучания, т. е. гармоническая сторона музыки.

Задачей второго варианта эксперимента было выявление у слушателей чувства стиля данного композитора по его индивидуальным особенностям. С этой целью слушателям предлагались малоизвестные отрывки из произведений известных композиторов. Эти отрывки были подобраны таким образом, чтобы они наиболее четко выявляли индивидуальные особенности черт стиля данного композитора. Для убежденности в том, что большинством слушателей название произведения осталось неизвестным, им прежде всего первым вопросом предлагалось указать название сыгранного произведения.

Второй вопрос — основной — отгадать имя автора и обосновать по каким признакам можно определить его индивидуальный стиль письма. Второй группе, которая состояла из 52 испытуемых для прослушивания давались отрывки из следующих произведений:

1. Бетховен — соната № 5 С moll III часть с разработки до конца,
2. Шопен — Соната № 3 h moll вторая тема,
3. Прокофьев — соната № 6 IV часть (Andante).

На первый вопрос правильно ответили 12 испытуемых (23%), вследствие чего они выбыли из эксперимента.

На второй вопрос из оставшихся 40 испытуемых правильно ответили 35, другие (5) ответы были или ошибочными или же неопределенными (см. таблицу 1).

Таблица 1

I эксперимент	I вариант	II вариант
Правильные ответы	86%	87,5%
Ошибочные или неопределенные ответы	14%	12,5%

Ниже приводим ответы некоторых испытуемых, например, испытуемая Р. Э. пишет: «Первое произведение должно быть композитора-классика, по-моему, Бетховена. Такие гармонические обороты, музыкальный язык, развитие тематического материала встречаются у классиков. Но по духу, по характеру самобытных, мужественных интонаций, по динамическому рисунку это кажется Бетховен. Только у него могут быть такие контрастные сопоставления, тревожные и страстные призывы, напоминающие «зов судьбы». Второе произведение,

по моему, Шопена. Так как этот отрывок типичный пример его мелодики, где мелодия царит над аккомпаниментом. По моему, только Шопену свойственна такая с первого взгляда безмятежная мелодия, где таится сдержанная страстность. Третье произведение — современно-го автора. Легко можно узнать современного композитора со своим диссонантным звучанием, ярким ритмическим рисунком и современной гармонией. Это кажется по стилю Прокофьев, во всяком случае похожа на музыку, пропитанную русским духом, музыку со свойственным ему юмором и сарказмом».

Испытуемая Н. В. отвечает: «Первое произведение, по моему, принадлежит Бетховену. Сразу чувствуется мужественный, героический характер его музыки. Второй отрывок из произведения Шопена. Шопеновский стиль можно отличить от стиля других романтиков своим волевым характером, где как бы в спокойной мелодии слышатся тревожные нотки. В последнем произведении чувствуется современный автор, так как его почерк не похож на остальные произведения. Этот отрывок отличается современными чертами стиля, такими как, противоречия ладового, тонального и функционального порядка. По характеру музыкального мышления, по индивидуальной манере, можно считать, что это Прокофьев».

Таким образом, во втором варианте I эксперимента большинство испытуемых правильно отгадали также автора неизвестной им пьесы по стилю индивидуального музыкального языка.

Резюмируя результаты опытов I эксперимента можно прийти к выводу, что в обычных условиях эксперимента, в большинстве случаев, слушатели успешно справляются с поставленной перед ними задачей — профессионалы-музыканты правильно отгадывают как стиль направления (первый вариант I эксперимента), так и стиль определенного композитора (второй вариант I эксперимента). Прослушанные произведения испытуемые оценивают с помощью прошлого опыта и знаний, которые они имеют о данном композиторе или направлении.

Задачей II эксперимента, который так же проводился в двух вариантах, было: выявить влияние установки на восприятие музыки, т. е. выяснить — насколько установка, создавшаяся у испытуемых при восприятии музыкальных произведений, может повлиять на последующее их восприятие, в частности, на отгадывание стиля данного композитора или направления. Для двух вариантов II эксперимента испытуемые были разделены на 2 группы: В I группе входило 79 испытуемых из пианистов, музыковедов и теоретиков в возрасте от 18 до 26 лет.

Целью первого варианта II эксперимента было выявить способность слушателей в отгадывании индивидуального стиля какого-нибудь композитора, в частности — Бетховена, представителя классического стиля, после многократного прослушивания музыкальных произведений композитора, который по стилю изложения относится к другому направлению. Поэтому, эксперимент был построен таким образом, чтобы музыкальное произведение Бетховена слушалось после многократных экспозиций разных произведений Шопена, яркого представителя романтического стиля. Такой эксперимент позволял выявить влияние последовательности расположения воспринимаемого материала на механизм восприятия музыкальных произведений. Исходя из вышеизложенного, отрывки из разных музыкальных произведений испытуемым довались для прослушивания в следующей последовательности:

1. Шопен — Ноктюрн — Des dur — начало,
2. Шопен — Полонез — Фантазия — начало,
3. Шопен — Вальс — Es dur,
4. Шопен — Полонез — As dur — начало,
5. Шопен — Экспромт — фантазия — начало.
6. Бетховен — соната № 14 III часть — конец.

После экспозиции вышеперечисленных отрывков по два раза, о чем говорили заранее, испытуемым следовало в письменном виде указать либо имя автора и название каждой пьесы, либо отгадать авторов прослушанных ими произведений.

На основе проведения первого варианта II эксперимента получены следующие результаты (см. табл. 2). Из 79 испытуемых по порядку последнее произведение, т. е. сонату № 14 Бетховена 76 испытуемых приняли за произведение Шопена. Из остальных трех испытуемых двое правильно отгадали сонату Бетховена, а один испытуемый оставил незаполненный бланк. Из 76 испытуемых четверо слушателей ошиблись также при определении и других произведений, принимая отрывки из пьес Шопена либо за Шуберта, либо за Шумана, т. е. за представителей того же романтического стиля.

После экспериментального обнаружился тот факт, что среди вышеуказанных испытуемых, многие хорошо знали сонату Бетховена и даже играли ее на эстраде, либо проходили в классе. Тем не менее они ошиблись в оценке этого отрывка, принимая ее за произведение Шопена. Заслуживает внимания так же тот факт, что, даже в том случае, когда испытуемые ошибались в отгадывании других отрывков, то они их принимали за произведения композиторов того же стиля, т. е. они их относили к произведениям романтического а не классического стиля. Тем не менее, после многократного прослушивания произведений романтического направления, абсолютное большинство испытуемых произведение классического стиля принимали за романтический.

С целью проверки того, что результаты проведенных нами опытов являются не случайными, а носят вполне закономерный характер, проведем статистический анализ.

Из условия задачи (в I группе входило 79 испытуемых) $n=79$. Это число условно представляем в виде интервала и делим его на две части, т. е. $S=2$. Поскольку ошибочные ответы составляют соответственно 76 и 3, то имеем: $n_1=76$; $n_2=3$. Пусть P_i вероятность того, что желаемое для нас событие попадет в интервал π_i . Тогда проверим гипотезу H_0 : $P_1=P_2=\frac{1}{2}$.

$$H_0: P_1=P_2=\frac{1}{2}.$$

Вычисляем χ_{α} = квадрат по формуле:

$$\chi^2 = \frac{9}{\sum_{i=1}^2 n p_i} (n_i - p_i)^2.$$

Принимая в виду, что для рассматриваемого случая $S=2$; $n_1=76$; $n_2=3$; $n=79$; $P_1=\frac{1}{2}$; $p_2=\frac{1}{2}$, получаем $\chi^2=76,45$. Допустим точность

оценки $\alpha=0,05$ т. е. $\chi^2_{\alpha}(n_{\alpha})=0,05$. Тогда, учитывая значение степени свободы $S-1=1$, из таблиц находим $\lambda_{\alpha}=3,8$. Если $\lambda_{\alpha} > \chi^2$, то гипотеза принимается. В случае, когда $\lambda_{\alpha} < \chi^2$ — гипотеза опровергается. Поскольку

для рассматриваемого случая $\lambda_a \ll \chi^2$, т. е. $3,8 \ll 67,45$, то гипотеза H_0 ($P_1 = P_2 = \frac{1}{2}$) убедительно опровергается.

Следовательно, ошибочное восприятие испытуемыми музыкального произведения Бетховена, обусловленное условиями эксперимента, являются не случайным, а вполне закономерным.

Теперь определим величину погрешности рассматриваемого опыта. Для определения стандартной погрешности относительной частоты имеем выражение: $\sigma_p = \sqrt{\frac{p(1-p)}{n}}$.

Где p — относительная частота, определяемая экспериментальным путем.

$$\text{Для данного случая } \hat{p} = \frac{n_2}{n} = \frac{3}{79} = 0,038.$$

$$\text{Тогда } \sigma_p = \sqrt{\frac{0,38 \cdot 0,962}{79}} = 0,021.$$

Весьма низкое значение погрешности эксперимента еще раз подтверждает достоверность полученных результатов исследования.

Результаты I варианта II эксперимента показывают, что, под влиянием определенного состояния субъекта, испытуемые допускают ошибки в отгадываний стиля как направления, так и композитора. Таким «первичным» целостным состоянием индивида, на базе которой возникает определенным образом организованная и в определенную сторону направленная деятельность, в психологии известно под названием установки, которая, как «целостная модификация субъекта (Д. И. Узнадзе), как «диспозиция к определенной форме реагирования; как состояние предвосхищающее деятельность в предстоящей ситуации» [8] направляет последующее восприятие.

Вследствие влияния предшествующих впечатлений на последующие в установочных экспериментах один и тот же материал, в зависимости от последовательности его расположения испытуемыми воспринимается неадекватно [8, 9, 11]. С целью проверки этого положения, в случае восприятия музыкальных произведений, был проведен контрольный опыт (второй вариант II эксперимента). В эксперименте участвовали 70 музыкантов-профессионалов в возрасте от 18 до 26 лет. Им для прослушивания давались отрывки из музыкальных произведений Бетховена в следующей последовательности:

1. Бетховен — Соната № 17, начало, d moll.
2. Бетховен — 32 вариации, начало, C moll,
3. Бетховен — Соната № 2 II часть,
4. Бетховен — Соната № 21, C dur,
5. Бетховен — Соната № 23, конец III части,
6. Бетховен — Соната № 14, III часть с каденции до конца.

После экспозиции отрывков по два раза, испытуемым следовало бы указать имя автора и название произведения. Из 70 испытуемых 64 правильно указали имя автора. Из них 9 испытуемых отгадали и названия некоторых произведений. Ответы остальных шести испытуемых были либо ошибочными, либо неопределенными (см. таблицу 2).

Таблица 2

II эксперимент	I вариант	II вариант
Правильные ответы (в %)	3,7 %	90,14 %
Ошибочные и неопределенные ответы (в %)	96,3 %	8,86 %

Сравнивая результаты двух вариантов II эксперимента, можно заметить, что они диаметрально противоположны.

В первом варианте большинство испытуемых не сумели правильно отгадать последнее (по порядку) сыгранное произведение, в частности, III часть сонаты № 14 Бетховена, которое давалось после многократных прослушиваний разных произведений Шопена.

Во втором варианте II эксперимента наблюдалась иная картина. То же самое произведение, которое давалось после многократных прослушиваний разных произведений того же автора (т. е. Бетховена), большинством испытуемых было отгадано верно.

Анализируя результаты двух вариантов II эксперимента, можно сделать вывод, что один и тот же отрывок музыкального произведения испытуемыми воспринимается по-разному, в зависимости от того, в какой последовательности прослушивается этот музыкальный материал. Представляет большой интерес: каким образом объяснить подобное явление.

«Влияние предшествующих впечатлений на последующие, вследствие чего эти последние становятся несоответствующими объекту, в психологии достаточно хорошо известно. Известно так же немало теорий, предложенных для объяснения подобных фактов: теория апперцепции, теория константности, гештальттеория и др. Не останавливаясь на хорошо всем известных сегодня основных недостатках этих воззрений, мы напомним лишь о том, что все они в равной мере обходят, игнорируют живую, конкретную личность, самого субъекта и представляют дело таким образом, будто поведение субъекта осуществляется помимо него и зависит либо от частоты повторений и взаимодействия представлений, либо же от действия неких «ситуативных векторов» [9]. По мнению немецкого исследователя Губерта, в основе восприятия музыкального стиля лежит некая «музыкальная сфера». При слушании музыкального произведения какого-либо определенного стиля, происходит «подведение» воспринимаемого к определенному стилю, который в субъекте уже имеется именно в виде соответствующей сферы.

В исследованиях по теории установки, разработанной Д. Н. Узнадзе и его учениками, выявлен факт, что поведению субъекта, всегда предшествует готовность к деятельности, внутренняя подготовительная фаза, т. е. установка, которая как целостно-личностное состояние, модус состояния личности, в целом явившееся динамической организацией существенных сил человека, во взаимосвязи с ситуацией предвещает деятельность.

На примере наших опытов, после прослушивания произведений Шопена выработанная у испытуемых фиксированная установка мешает им правильно воспринять произведения Бетховена, так как, в определенных условиях, «наши сознательные переживания могут находиться под определенным влиянием наших установок, которые, со своей

стороны, вовсе не являются содержанием нашего сознания. В нашем случае речь идет о досознательной ступени психического развития, которая находит свое выражение в экспериментальных фактах и, таким образом, становится доступной научному анализу [11]. В нашем материале мы видим экспериментальное подтверждение высказанного Д. Н. Узнадзе.

Таким образом, результаты эксперимента, проведенного при помощи одного из вариантов метода фиксированной установки, позволяют сделать вывод, что в основе восприятия музыкальных произведений разных стилей лежит целостно-личностная настройка или установка субъекта, приобретаемая в общественно-исторической музыкальной практике.

ЛИТЕРАТУРА

1. С. Е. Фейнберг. Пианизм как искусство, изд. «Музыка», М., 1969, стр. 95.
2. О. В. Лармин. Художественный метод и стиль, М., 1964, изд.
3. Ю. Боров. Основы эстетических категорий (гл. «Художественный метод»), «Высшая школа», М., 1960.
4. Программа курса — «Основы марксистско-ленинской эстетики», Госполитиздат, М., 1962, стр. 81.
5. А. В. Луначарский. В мире музыки. Статьи и речи., 2-е изд., М., 1971, стр. 306.
6. А. Фарбштейн. Теория реализма и проблемы музыкальной эстетики, изд. «Музыка», Л., 1973.
7. Е. В. Изайкинский. О психологии музыкального восприятия, изд. «Музыка», М., 1972, стр. 59.
8. А. С. Прангшвили. Установка и деятельность, «Вопросы психологии АПИ СССР», М., 1972. № 1, стр. 6.
9. Г. Н. Кечухашвили. Ладовое чувство и фиксированная установка.
10. К. Huber. Des Ausdruck musikalischer Elementarmotivoe, Leipzig, 1923.
11. Д. Н. Узнадзе. Экспериментальные исследования по психологии установки, изд. АН ГССР, Тб., 1958, стр. 30.



ეკონომიკა

ბია შირცხალავა

საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის აღზარდობის განვითარებისა და თანამედროვე თავისებურებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველოს ხალხთა მოსახლეობის, დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა და მეცნიერული კვლევა საგრძნობლად გააქტიურდა და გაფართოვდა. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს მოსახლეობის აღწარმოების, დემოგრაფიული პროცესების საერთო ტენდენციებთან ერთად, ჩვენება და დახასიათება იმ რაოდენობრივი და თვისებრივი, პროგრესული ცვლილებებისა, რასაც ადგილი ჰქონდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაში, დემოგრაფიულ პროცესში (შობადობა, მოკვდაობა და სხვა); უნდა გამოვლინდეს და განალიზდეს შობადობაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. უკველივე ამის გარეშე შეუძლებელია ნათელი წარმოდგენა გვექმნოდეს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების განვითარებაზე, დემოგრაფიული პროცესების ევოლუციასა და მის თანამედროვე თავისებურებებზე. ჭერაც მოსაგვარებელია მიცემულ საკითხების მეცნიერულ დონეზე დამუშავება. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებასთან ერთად წინამდებარე სტატია ითვალისწინებს საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე თავისებურებათა და მიმდინარე დემოგრაფიული სიტუაციის გადრმავებულ ანალიზს.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების შესწავლის ძირითადი ამოსავალი ელემენტები დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობა, აგრეთვე, ისეთი ზოგადი ტრადიციული დემოგრაფიული მაჩვენებლები, როგორცაა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო კოეფიციენტები (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით) — შედარებით სრული და სისტემატიზებული სახით ამ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან მოიპოვება.

საქმე ის არის, რომ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვა შემოღებულია გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, ხოლო ამ მასალების დამუშავება და პუბლიკაცია წარმოებდა არასრულად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, თანაც იმდროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, მათში შემავალი მაზრებისა და ოკრუგების მიხედვით) და ამ ბოლო დრომდე გაბნეული იყო სხვადასხვა სტატისტიკურ კრებულებსა, საცნობარო ლიტერატურასა და საარქივო დოკუმენტებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ახალ სისტემაზე (საეკლესიოდან — სამოქალაქოზე) გადასვლასთან დაკავშირებით, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვა, რაც რევოლუციამდელ საქართველოში ბოლომდე ვერ მოწესრიგდა და 1915 წელს შეწყდა კიდევ, თითქმის მთლიანად მოიშალა და მხოლოდ დიდ სამამულო ომის წინა წლებში მოგვარ-

1 „მოსახლეობის აღწარმოება ჩვეულებრივ გულისხმობს მოსახლეობის უწყვეტი განახლების პროცესს თაობათა შეცვლის გზით, რაც გამოიხატება მოსახლეობის ბუნების მოძრაობაში, რომელიც მოიცავს შობადობას, მოკვდაობას, აგრეთვე, ქორწინებასა და განქორწინებას.

და. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე 1959 წ. მოსახლეობის აღწერის ჩატარებამდე და მისი შედეგების მიღებამდე, როგორც წესი, მუშავდებოდა მარტოოდენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო კოეფიციენტები და 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტები. ამავე დროს, შობადობისა, მოკვდაობისა და, შესაბამისად, ბუნებრივი მატების საერთო კოეფიციენტებმა თავისი მნიშვნელოვანი შემეცნებითი დევალვაცია ჩვენშიც 30-იან წლებში განიცადეს, უმთავრესად შობადობისა და მოკვდაობის შემცირების შედეგად მოსახლეობის სქესობრივ ასაკობრივ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებათა გამო. სხვა უფრო ზუსტი მაჩვენებლები, როგორცაა შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, ქალთა ნაყოფიერების კოეფიციენტი და სხვა, საერთოდ არ მოიპოვებოდა და დღესაც მხოლოდ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდგომი წლებიდან მუშავდება. ასე, რომ თვით უახლესი დემოგრაფიული ვითარებანი და მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების შინაგანი სიტუაცია ფაქტიურად სრულიად უცნობი რჩებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ რეკოლუციამდელთან შედარებით საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებაში, დემოგრაფიულ პროცესში, შობადობის და მოკვდაობის დონეში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ამჟამად, მდგომარეობა ძირითადად იმ მხრივ შეიცვალა, რომ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდგომი პერიოდისათვის სისტემატურად, ყოველწლიურად მუშავდება რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (ცსს) მიერ შობადობის და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტები (15—45 წლის ყოველ 1000 ქალზე დაბადებული ბავშვის რიცხვი), ჯამობრივი ნაყოფიერების კოეფიციენტი (ბავშვების საშუალო რიცხვი რომელსაც შობს ერთი ქალი მთელი ნაყოფიერების მანძილზე) და, რაც მთავარია, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები², სიცოცხლის საშუალო მომავალი ხანგრძლივობა და სხვა — როგორც ქალაქად ასევე სოფლად.

გარდა ამისა, ორი ათეული წლის შემდეგ გამოქვეყნდა და ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია 1940 წ. საქართველოს სოფლებში და 1947 წ. ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის სოფლებში ანამისტიკური მეთოდით ჩატარებული დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგები, რითაც რეტროსპექტულად აღდგენილია 1910—1940 წწ. საქართველოში ქალთა ნაყოფიერების საერთო და ასაკობრივი კოეფიციენტები, ნაყოფიერების ჯამობრივი მაჩვენებლები, ბავშვებში სიკვდილიანობა, ქორწინება და სხვა³. ცალკეულ შემთხვევაში მიღებუ-

² მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ საშუალოდ რამდენ გოგონა შობს ერთი ქალი მთელ ნაყოფიერების მანძილზე. მოკვდაობის გათვალისწინებით მიიღება ნეტო-კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს საშუალოდ ერთი ქალის მიერ მთელი ნაყოფიერების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რიცხვს, რომლებიც მიაღწევენ იმ ასაკს, რომელშიდაც იშყოფებოდა ქალი მათი დაბადების მომენტში. ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ თუ კი ბრუტო და ნეტო კოეფიციენტი 1-ზე მაღალია, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას, თუ 1-ს უდრის, მაშინ — მარტივ აღწარმოებას.

³ აღნიშნული გამოკვლევები (1940 წ.) ჩატარდა სსრკ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-სანიტარული სტატისტიკის მეცნიერულ-მეთოდური ბიუროს მიერ და (1947 წ.) მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მედიცინის ისტორიის მიერ რესპუბლიკების სანიტარულ-სტატისტიკის მეცნიერული მეთოდური ბიუროსთან ერთად. გამოკვლევას ხელმძღვანელობდა გამოცდილი საბჭოთა დემოგრაფი რ. ი. სიფ-



ლია ისეთი დემოგრაფიული მაჩვენებლები და ინფორმაცია რის შესაძლებლობასაც მხოლოდ სპეციალური დემოგრაფიული გამოკვლევები იძლევიან და ამდენად ეს მასალა მთელი კავშირის მასშტაბითაც უნიკუმს წარმოადგენს.

და ბოლოს რევოლუციამდელ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე ჩვენ მიერ გაანგარიშებული და მიღებულია 1886—1914 წლების სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები და კოეფიციენტები, მათ შორის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო კოეფიციენტი, რაც შედარებით სრული და სისტემატიზებული სახით პირველად წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა⁴
ცხრილი 1

წლები	მოსახლეობის 1000 სულზე			მოსახლეობის სიცოცხლის ხანობის კოეფიციენტი (დაბადებულთა რიცხვთან გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება).
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	
1886—1890	32,3	17,5	14,8	1,8
1891—1895	32,0	19,6	12,4	1,4
1896—1900	30,9	19,4	11,5	1,6
1901—1905	30,7	16,4	14,3	1,9
1906—1910	30,3	16,9	13,4	1,8
1911—1914	28,1	15,4	12,7	1,8
1940	27,4	8,8	18,6	3,1
1950—1955	24,2	7,5	16,7	3,2
1956—1960	23,8	6,7	17,1	3,6
1961—1965	22,9	6,8	16,1	3,4
1966—1970	19,4	7,1	12,3	2,7
1971—1973	18,4	7,5	10,9	2,7

სამწუხაროდ საქურნალო სტატიის მოცულობა და ხასიათი საშუალებას არ იძლევა, რამდენადმე ვრცლად შევჩერდეთ რევოლუციამდელ საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ ჩვენ მიერ მოყვანილი მაჩვენებლების ავთენტიკურობის და გაანგარიშების პროცედურის დახასიათებაზე. ამიტომ, ზოგადად, მხოლოდ მას აღვნიშნავთ, რომ, როგორც სათანადო სტატისტიკური წყაროებისა და მასალების მრავალმხრივმა შესწავლამ და

მანი, რომლის მიერ სათანადო დამუშავებული, სისტემატიზირებული და გაანალიზებულია გამოკვლევის მასალები. (იხ. P. И. Сифман, Рождаемость в селах Закавказья сначала XX века до Великой отечественной войны. — „Проблемы демографической статистики“. т. X. М., 1966. მისივე, Из опыта онанистических демографических обследований в Закавказье. — „Проблемы демографической статистики“. Том специальный, М., 1959 г. მისივე, Динамика рождаемости в СССР (по материалам выборочных обследований). М., 1974, стр. 79—82.). ვინაიდან საქართველოში 1913 წ. სოფლის მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის სამ მეოთხედს (74%) და 1939 წ. 70 % შეადგენდა, ანაბნისტური დემოგრაფიული გამოკვლევის შედეგები შეძლება გავავრცელოთ მთელს მოსახლეობაზე.

4 1940—1973 წლების მონაცემები იხ. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 г. Статистический ежегодник, 1963, стр. 16; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისათვის. სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 1972, გვ. 28. Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 году. Статистический ежегодник, Тбилиси, 1974, стр. 20, „Вестник статистики“, 1973, № 12, стр. 79. მოსახლეობის სიცოცხლის ხანობის კოეფიციენტი გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

კრიტიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მოვლენების აღრიცხვა, ყოველ შემთხვევაში, დაბადებულთა და გარდაცვლილთა საერთო რიცხოვნობის რეგისტრაცია, უკვე იმ დონეზე იყო და იმ სისრულით წარმოებდა, რომ დაბადებულთა და გარდაცვლილთა შესახებ მიმდინარე სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე ჩვენ მიერ სათანადო წესით და მეთოდით გაანგარიშებული მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო კოეფიციენტები, პრინციპში, სწორად ავლენს რევოლუციამდელ საქართველოში დემოგრაფიული პროცესების (შობადობის, მოკვდაობის) თავისებურებებსა და ძირითად ტენდენციებს, მოსახლეობის აღწარმოების არსებულ ტიპს. ამდენად მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ არსებული მასალა შეიძლება შეყვანილი იქნას მეცნიერულ ბრუნვაში და გამოყენებული იქნას სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების გასაანგარიშებლად და, მათსადაამე, საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების, დემოგრაფიული პროცესების საერთო ტენდენციებისა და ევოლუციის შესასწავლად.

დასასრულს, საერთოდ უნდა ითქვას, რომ პირველ ცხრილში მოყვანილ შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების საერთო კოეფიციენტები, სხვა უფრო ზუსტი დემოგრაფიული მაჩვენებლებთან და ინფორმაციასთან ერთად საშუალებას იძლევა, რომ გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ზანგრძლივი დროის მანძილზე (მე-19 საუკუნის დასასრულიდან — დღემდე) საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების ტიპისა და ძირითად მაჩვენებელთა დინამიკაზე, დემოგრაფიული პროცესების საერთო ტენდენციებსა და ევოლუციაზე, გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ მოსახლეობის აღწარმოების სიღრმისეული პროცესები და ამგვარად, საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების განვითარება და თანამედროვე თავისებურებანი და ტენდენციები. აქვე შევნიშნავთ, რომ დემოგრაფიული პროცესების შედარებით დეტალური ანალიზი შეიძლება ვაწარმოოთ მოსახლეობის აღწერების მომიჯნავე წლებსათვის, ვინაიდან მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ აღწერის მასალები, შესაბამისი წლების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებთან ერთად შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ სხვადასხვაგვარი დემოგრაფიული მაჩვენებლები, აგრეთვე გამოვავლინოთ შობადობაზე მოქმედი ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები და სხვ.

ვიდრე პირველი ცხრილის მაჩვენებლების უშუალოდ განხილვას შევუდგებოდეთ, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციამდელ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს შეესაბამებოდა მოსახლეობის აღწარმოების პრიმიტიული, ექსტენსიური ტიპი, რომლისათვისაც საერთოდ დამახასიათებელია შობადობასთან ერთად მოკვდაობის მაღალი დონე. საბჭოთა პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების შედეგად, ჩვენშიც შეიქმნა და ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების თვისებრივად ახალი, პროგრესიული ტიპი, რომლისთვისაც ნიშანდობლივია შობადობის, განსაკუთრებით მოკვდაობის დაბალი დონე და სიცოცხლის მაღალი ზანგრძლივობა.

მართლაც, როგორც ამას ცხრილი I გვიჩვენებს, რევოლუციამდელ საქართველოში მაღალი იყო შობადობის, განსაკუთრებით კი, მოკვდაობის დონე, და დაბალი სიცოცხლიანობის კოეფიციენტი. თანაც, მხოლოდ შობადო-



ბასთან ერთად დაიწყო მოკვდაობის დონის შემცირება, რაც შობადობასთან შედარებით და საერთოდაც, დიდად არ შემცირებულა. ამის შედეგად არც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი შეცვლილა რამდენადმე და კვლავ დაბალი დარჩა მოსახლეობის სიცოცხლიანობის კოეფიციენტიც.

რევოლუციამდელ საქართველოში მოკვდაობის მაღალი დონე და სიცოცხლიანობის დაბალი კოეფიციენტი მნიშვნელოვან წილად გამირობებული იყო ბავშვთა, მოზარდი თაობის მაღალი სიკვდილიანობით. საქმარისა აღინიშნოს რომ თვით მე-20 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1910—1914 წლებში დაბადებულთა საერთო რაოდენობიდან 5 წლამდე კვდებოდა 29,3%, ხოლო 10 წლამდე 33,6%⁵, ანუ ერთი მესამედი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ექვს ახალშობილიდან მხოლოდ ოთხი ბავშვი აღწევდა 10 წლამდე. ასე რომ რევოლუციამდელ საქართველოში მოქმედებდა კ. მარქსის მიერ აღმოჩენილი თაობათა სწრაფი ცვლის კანონი.

ამ ვითარებაში, შობადობის, ნაყოფიერების მაღალი დონე აუცილებელი იყო ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობის ნაწილობრივი კომპენსაციისათვის, აგრეთვე, პრიმიტიულ, ხელით შრომაზე დამყარებული გლეხური მეურნეობის მუშა-ძალით უზრუნველსაყოფად. მე-19 საუკუნის მიწურულს, 1896—1897 წწ. საქართველოში ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტი შეადგენდა 146,7 პრომილს, ხოლო ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი, ერთი ქალის მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რიცხვი 1910—1914 წლებში შეადგენდა 5,06⁶; შესაბამისად მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი—2,447.

შობადობასთან ერთად მაღალი მოკვდაობის დონის პირობებში მოსახლეობის გამარავლება, ბუნებრივი ზრდა იყო „ძვირადღირებული“, ნაკლებ ეკონომიური⁷. მოსახლეობის ბუნებრივი მატება მოითხოვდა ადამიანთა დიდ მასას, მოსახლეობის მაღალ „ბრუნვადობას“. მაგალითად, იმავე 1910—1914 წლებში საქართველოში მოსახლეობის „ბრუნვის“ მაჩვენებელი— შობადობის და მოკვდაობის კოეფიციენტების ჯამი შეადგენდა პრომილებში 43,5 ანუ დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობის საერთო რაოდენობა უდრიდა მთელი მოსახლეობის 4,4 პროცენტს. ამავე დროს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი შეადგენდა 1,3%.

თავი რომ დავანებოთ მაღალი სიკვდილიანობის ემოციურ მხარეს, მოკვდაობის მაღალი დონე და მის შედეგად მოსახლეობის მაღალი „ბრუნვა“, მძიმე ეკონომიურ ტვირთად აწეა როგორც ქვეყნის ეკონომიკას ასევე ოჯახის ბიუჯეტს, ვინაიდან ადამიანები მასობრივად კვდებოდნენ ისე, რომ ვერ ასწრებდნენ თავიანთი სამუშაო ძალის სრულ გაფურჩქვნას, ნაციონალური სიმდიდრის შექმნაში და დაგროვებაში მონაწილეობის მიღებას და მათზე ოჯახის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

⁵ განგარიშებული გვაქვს საქართველოს სოფლებში ჩატარებული ანამნისტიკური დემოგრაფიული გამოკვლევების მასალების მიხედვით. ვინაიდან გამოქვეყნებული მასალა არ შეიცავს „0“ ასაკში სიკვდილიანობის აღბათობის შესახებ მონაცემს ეს სიდიდე ალებული გვაქვს მიახლოებით. იხ. ამის შესახებ აგრეთვე Г. В. Пирцхალავა. Уровень. Структура и факторы рождаемости в Грузии.—„ეკონომიკა“, I, თბილისი, 1969, გვ. 410.

⁶ Р. И. Спфман. „Рождаемость в селах Закавказье....“, стр. 183.

⁷ განგარიშებული გვაქვს ნაყოფიერების ჯამობრივი მაჩვენებლის შესახებ ანამნისტიკური დემოგრაფიული გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე. მეტი სიზუსტისათვის დაბადებულთა საერთო რაოდენობაში გოგონების წილი ალებული გვაქვს თანამედროვე მონაცემების მიხედვით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შობადობასთან შედარებით გაცილებით სწრაფად და მკვეთრად შემცირდა მოკვდაობის დონე. ხოლო მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი საბჭოთა საქართველოში 60-იანი წლების მეორე ნახევრამდეც უფრო მაღალი იყო ვიდრე მთელს რევოლუციამდელ პერიოდში. თანაც, შობადობის შემცირების მიუხედავად, სიცოცხლიანობის კოეფიციენტი საშუალოდ ორჯერ და მეტად გადიდდა. და ახლაც, ბოლო წლებშიც, შობადობის დონის შემდგომი შემცირების მიუხედავად 1,5-ჯერ უფრო მაღალია (იხ. ცხრილი 1).

განსაკუთრებით სწრაფად და მკვეთრად შემცირდა ბავშვთა, მოზარდ თაობაში სიკვდილიანობა, აგრეთვე შრომაუნარიან ასაკის მოსახლეობაში. უკანასკნელი წლების მონაცემებით (1970—1971), დაბადებულთა საერთო რაოდენობიდან 10 წლამდე კვდებოდა 3,6%. (ანუ თითქმის 10-ჯერ და უფრო ნაკლები ვიდრე 1910—1914 წლებში). მარტო 1939—1971 წლებში 0—4 წლის ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი თითქმის 4-ჯერ შემცირდა, 5—9 წლის ასაკის ბავშვებისა 5-ჯერ, 25—29 წლის ასაკობრივი ჯგუფში — 2,5-ჯერ და მეტად, 30—34 წწ. ასაკის ჯგუფში 2-ჯერ და მეტად; შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობის საერთო კოეფიციენტი 1970—1971 წლებში შეადგინა (პრომილებში): 6,6, 0,7; 1,4; 1,9⁸.

ვინაიდან მოკვდაობის საერთო კოეფიციენტებზე, გარდა ასაკობრივი კოეფიციენტებისა, გავლენას ახდენს აგრეთვე მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებანი, ამ დემოგრაფიულ-სტრუქტურული ფაქტორის ელიმინირება, კერძოდ, მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოკვდაობის დონე მეტად შემცირდა. (იხ. ცხრილი 2).

მოკვდაობის ჩვეულებრივი და სტანდარტიზებული კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში

ცხრილი 2

	1896—1897	1938—1939	1958—1959	1969—1970	1971—1972
მოკვდაობის ჩვეულებრივი კოეფიციენტები....	19,3	8,7	6,8	7,4	7,5
მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტები (სტანდარტად აღებულია მოსახლეობის 1897 წ. ასაკობრივი შემადგენლობა)	19,3	7,9	5,4	5,5	5,2

როგორც ვხედავთ, მოკვდაობის ჩვეულებრივ კოეფიციენტთან შედარებით, საბჭოთა პერიოდში გაცილებით შემცირდა მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენშიც მოკვდაობის კოეფიციენტის ზრდა ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობაში მაღალი ასაკობრივი ჯგუფის, ხანდაზმულთა წილის გადიდებით, სადაც ჩვეულებრივ მაღალია ფიზიოლოგიური სიკვდილიანობა.

მოკვდაობის დონის ყველაზე უფრო ზუსტ მაჩვენებელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს რაც უკანასკნელ წლებში (1959—1972 წწ.)

⁸ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი 1970—1971 წწ. აღებული გაქვს რესპუბლიკის ცს სამმართველოდან.



კიდევ უფრო გაიზარდა და ამჟამად შეადგენს 73 წელს, ერთ-ერთი უფრო მაღალს მთელ მსოფლიოში.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, საბჭოთა საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების მთლიანი პროცესი გაცილებით ეკონომიურად და რაციონალურად მიმდინარეობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1960—1965 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი უფრო მაღალი იყო 1910—1914 წლებთან შედარებით, მოსახლეობის „ბრუნვის“ მაჩვენებელი შეადგენდა 3%. ამდენად უფრო ნაკლები ადამიანთა მასა გახდა საჭირო მოსახლეობის ზრდისათვის, ვიდრე მაგალითად 1910—1914 წწ. ბოლო წლებში მოსახლეობის „ბრუნვის“ მაჩვენებელმა შეადგინა 2,7%, მაგრამ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპიც შემცირდა 1910—1914 წწ. შედარებით. ეს გარემოება ნაწილობრივ გამოწვეულია შობადობის შემდგომი შემცირებით, რაც გარკვეული შედეგია სამამულო ომის მეორე უარყოფითი დემოგრაფიული ტალღისა. გასაგებია მიზეზების გამო, ომის წლებში დაბადებული მცირერიცხოვანი თაობა, ამჟამად იძლევა დაბადებულთა მცირე რიცხვს. ამის შედეგად, 60-იან წლებში ისედაც საშუალო დონეზე სტაბილიზებული შობადობის საერთო კოეფიციენტი შემდგომ წლებში უფრო შემცირდა. შესაბამისად შემცირდა, აგრეთვე მოსახლეობის ბუნებრივი მატების საერთო კოეფიციენტი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ისევე როგორც მთლიანად კავშირში, საქართველოშიც შობადობის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ინტენსიური ურბანიზაციის, ქალთა განათლებისა და კულტურული დონის ზრდის, საზოგადოებრივ წარმოებაში მათი მასობრივი ჩაბმის შედეგად, რაზედაც ზოგად წარმოდგენას ვეძიებთ ცხრილი 3-ის მონაცემები.

საქართველოში ფერტილური ასაკის ქალთა შემადგენლობისა და ნაყოფიერების დონის დინამიკა

ცხრილი 3

წლები	15—49 წწ. ყოველ 1000 ქალიდან					დაბადებული ბავშვების რიცხვი 15-49 წწ. ყოველ 1000 ქალზე.
	ქალაქად ცხოვრობდა	წიგნიერი იყო	უმაღლესი განათლება ჰქონდა	დასაქმებული იყო არასოფლის მეურნეობრივ დარგებში	მ. შ. განათლების, მეცნიერების და ხელოვნების დარგში	
1897	151	166	0,1	40	2	146,7
1939	381	820	14	152	39	114,3
1959	475	975	56	317	61	85,0
1970	525	999	90	444	104	73,3

ვინაიდან ქალაქი სოფელთან შედარებით წარმოდგენს უფრო მაღალ სოციალურ-კულტურულ ფენომენს და შობადობის დონე, როგორც ახლა, რეკონსტრუირებული საქართველოშიც ქალაქად უფრო დაბალი იყო ვიდრე სოფლად, გასაგებია, რომ ქალაქის მოსახლეობის წილის ზრდა მთელს მოსახლეობაში, ქალაქური ცხოვრების წესი, სადაც მაღალია ქალთა დასაქმება და სხვა, ნე-

⁹ ქალთა ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტი 1959 და 1970 წწ. შესახებ აღებული გეჰქეს რესპუბლიკის ცს სამმართველოდან. ხოლო დანარჩენი წლებისა ვიანგარიშებულია ჩვენ მიერ. იხ. გ. გირცხალავა, დინამიკა და ნიშნები რქდაემოსტი ვ გრუ-ზიი.—„მასერიალი ვსესოიუზნიი ნაუჩნიი კონფერენციი პო პრობლემათა ნაროდონასელენია ზაკავკაზია“. ერევან. 1968, სტრ. 43.

გატიურად მოქმედებდა საერთოდ შობადობაზე, კერძოდ, ხელს უწყობდა შობადობის დაცემას. ეს მით უმეტეს, რომ საბჭოთა პერიოში ქალაქად სოფელთან შედარებით, შობადობა უფრო ინტენსიურად შემცირდა და თუ მე-19 საუკუნის მიწურულში (1896—1897) ნაყოფიერების კოეფიციენტი ქალაქად (123,8) სოფელთან შედარებით (151,9) 18,5 პროცენტით უფრო დაბალი იყო, ამჟამად ეს განსხვავება უფრო გაიზარდა და 1969—1970 წლებში 25,5 პროცენტით უფრო დაბალი იყო ნაყოფიერების კოეფიციენტი ქალაქად (66,1), ვიდრე სოფლად (81,5). კონკრეტული წარმოდგენა რომ მივიღოთ, თუ რა გავლენა მოახდინა შობადობის შემცირებაზე ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის ცვლილებებმა და დასაქმებულობის ზრდამ, აღვნიშნავთ, რომ მომუშავე, მუშა-მოსამსახურე ქალებში ნაყოფიერების კოეფიციენტი არამომუშავე, კმაყოფიერ მყოფ ქალებთან შედარებით 1969—1970 წწ. 56,6%-ით ანუ ორჯერ დაბალი იყო. კოლმეურნეობაში მომუშავე და არამომუშავე კმაყოფიერ მყოფი ყველა ქალის ნაყოფიერების კოეფიციენტი 42,1%-ით უფრო დაბალი იყო ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა კმაყოფიერ მყოფი ქალებისა¹⁰.

საერთოდ კი მოსამსახურეთა საზოგადოებრივი ჯგუფის ქალებში, რომელთა შორის განათლებისა და დასაქმებულობის დონე უფრო მაღალია და ძირითად მასას შეადგენს გონებრივი შრომის მუშაკები, ნაყოფიერების დონე უფრო დაბალია მუშათა, აგრეთვე კოლმეურნეთა საზოგადოებრივ ჯგუფის ქალებთან შედარებით, რომელთა შორის განათლებისა და დასაქმებულობის დონე დაბალია და ძირითად მასას ფიზიკური შრომის მუშაკები შეადგენენ.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები შობადობაზე გავლენას ახდენს არა უშუალოდ, არამედ — არაპირდაპირ: ქორწინების, საქორწინო ნაყოფიერების, შობადობის შიდაოჯახური რეგულირებისა და სხვა დემოგრაფიული ფაქტორების მეშვეობით.

როგორც ცხრილი 4 გვიჩვენებს, მოცემულ წლებში, ვერ ერთი, შობადობის საერთო კოეფიციენტი მთლიანად შემცირდა ნაყოფიერების კოეფიციენტის შემცირების ხარჯზე. ვინაიდან სხვა თანაბარ პირობებში დაბადებულთა რაოდენობა, შობადობის საერთო კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია რაც უფრო დიდია, აგრეთვე, მოსახლეობაში მშობადი კონტიგენტის, ფერტილური ასაკის ქალთა წილი, ამ დემოგრაფიულ-სტრუქტურულმა ფაქტორმა 1896—1897 წწ. შედარებით 1969—1970 წწ. შობადობის საერთო კოეფიციენტის დაცემა შეანელა 7,1 პროცენტით, ანუ 39,3%-ით, და იგი ნაყოფიერების კოეფიციენტთან შედარებით ნაკლებად შემცირდა.

თავის მხრივ, ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტი შემცირდა ორივე კომპონენტის, როგორც საქორწინო ნაყოფიერების კოეფიციენტის (15—49 წწ. ყოველ 1 000 დაქორწინებულ ქალზე დაბადებული ბავშვების რიცხვი) ანუ არსებულ ოჯახებში ბავშვების რიცხვის შეზღუდვის, ასევე ფერტილური ასაკის ქალებში დაქორწინებულთა წილის შემცირების შედეგად. თანაც ნაყოფიერების კოეფიციენტი უფრო მეტად შემცირდა საქორწინო ნაყოფიერების შემცირების ხარჯზე, რომლის მასშტაბები, ცალკეული პერიოდების მიხედვით, გარკვევით გვიჩვენებს ჩვენში შობადობის შიდაოჯახური რეგული-

¹⁰ სათანადო მაჩვენებლები განაგარიშებული გვაქვს 15—45 წლის ქალთა დასაქმებულობისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით განაწილების შესახებ მოსახლეობის 1970 წ. აღწერისა და 1969—1970 წწ. შობადობის მიმდინარე სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე.

რების, ოჯახებში ბავშვების რიცხვის დაგეგმვის სულ უფრო მეტ და ფართო გავრცელებას. (იხ. ცხრილი 4).

საკუთრივ საქორწინო ნაყოფიერების კოეფიციენტი აღებულ წლებში თითქმის ორჯერ შემცირდა, და საწინააღმდეგოდ 1896—1897 წლების 205,3 პრომილისა, 1938—1939 წლებში შეადგინა—168,2; 1958—1959 წლებში—144,9, ხოლო 1969—1970 წლებში 110,4 პრომილი¹¹.

საგრძობი ვაკუნა მოახდინა ასევე ჩვენშიც ნაყოფიერების კოეფიციენტის შემცირებაზე ფერტილური ასაკის ქალებში დაქორწინებულთა წილის შემცირებამ, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო დაბალი და საშუალო ასაკობრივი ჯგუფების ქალებში ქორწინების შემცირებით.

შობადობის დინამიკა და ზოგიერთი დემოგრაფიული ფაქტორი საქართველოში

ცხრილი 4

წლები	1896—1897 წწ. შედარებით შემცირდა (—) ან გაიზარდა (+) (პრომილებში) ¹²						
	შობადობის საერთო კოეფიციენტი	მათ შორის			ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტი	მათ შორის	
		ნაყოფიერების კოეფიციენტის შეცვლის ხარჯზე	ფერტილური ასაკის ქალთა წილის შეცვ- ლის ხარჯზე	საქორწინო ნაყოფიერების შეცვლის ხარჯზე		დაქორწინებულ ქალთა წილის შეცვლის ხარჯზე	
1938—1939	— 3,4	— 7,7	+ 4,3	—13,4	—25,3	— 7,1	
1958—1959	— 6,2	—16,7	+10,5	—61,7	—35,3	—26,4	
1969—1970	—11,7	—18,8	+ 7,1	—73,4	—62,3	—11,1	

რეგულაციამდელ საქართველოში შობადობის შიდაოჯახური რეგულირების ნაკლებად გავრცელების პირობებში, შობადობის შედარებით მაღალი დონე მნიშვნელოვან წილად გამოწვეული იყო ნაადრევი, დაბალ ასაკობრივ ჯგუფში დაქორწინებულთა მაღალი დონით. მე-19 საუკუნის მიწურულს, მიმდინარე სტატისტიკის მონაცემებით, დაქორწინებულთა ქალთა საერთო რაოდენობიდან 20 წლამდე ქორწინდებოდა 55% ანუ ნახევარზე მეტი. ანალოგიური მაჩვენებელი 1938—1940 წწ. შეადგინა 35,5%, 1969—1970 წწ. 20%. შესაბამისად შემცირდა ფერტილური ასაკის ქალებში დაქორწინებულთა წილი, და გაიზარდა საშუალო საქორწინო ასაკი. მარტო 1938—1940 წლებთან შედარებით 1969—1970 წლებში ქალთა საშუალო საქორწინო ასაკი გაიზარდა 21,4 წლიდან 26,8 წლამდე¹³, ანუ 5 წლით.

თანამედროვე ახალგაზრდობა მასობრივად ქორწინდება და ოჯახს ეკიდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იღებს სათანადო განათლებას და ეუფ-

¹¹ განგარიშებულია ჩვენ მიერ. იხ. გ. ვ. პირცხალავა, Динамика и некоторые особенности рождаемости в Грузии. стр. 43, 44.

¹² შობადობაზე ცალკეული კომპონენტების, დემოგრაფიული ფაქტორების გავლენის განგარიშების მეთოდის შესახებ იხ. В. С. Козлов, Естественное движение населения капиталистических стран Европы. М., 1959, стр. 19—31; А. Г. Волков. О некоторых причинах снижения коэффициента рождаемости.—„Изучение воспроизводства населения“. М., 1968, стр. 172—182.

¹³ განგარიშებულია გაქვს პირველად დაქორწინებულთა შესახებ მიმდინარე სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.

ლება შერჩეულ სპეციალობას, რისი შესაძლებლობანიც ესოდენ გაიზარდა საბჭოთა საქართველოში. ამავე დროს, სწავლების პერიოდის გადიდება, საყოველთაო სავალდებულო საშუალო სწავლების შემოღება, უმაღლესი განათლებისადმი მასობრივი ლტოლვა, მოჭარბებული ინფორმაციის პირობებში ყოველმხრივ განვითარებული, თანამედროვე პიროვნების სოციალური ფორმირების პერიოდის გახანგრძლივება, ბუნებრივად იწვევს ახალგაზრდებში ქორწინების შემცირებას, საშუალო საქორწინო ასაკის გადიდებას.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეგულირებადი შობადობის პირობებში, როდესაც ბავშვების რიცხვი უმრავლეს ოჯახებში წინასწარ იგეგმება, საქორწინო ასაკი კარგავს თავის გადამწყვეტ მნიშვნელობას წარსულისაგან განსხვავებით, როდესაც შობადობის დონეს განაპირობებდა ბიოლოგიური შესაძლებლობა, ფიზიოლოგიური მქსიმუმი. ამჟამად დაბალ ასაკში დაქორწინებულები სრულებითაც არ ცდილობენ ამის შედეგად გაზრდილ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას, ისევე, როგორც მაღალ ასაკში დაქორწინებულები ისედაც შეკვეცილ შესაძლებლობისას, როდესაც ოჯახში ბავშვების მათთვის სასურველ რიცხვს იყოლიებენ.

შობადობის, ნაყოფიერების საერთო დონის შემცირება საქართველოში მიმდინარეობდა ყველა ასაკობრივი ჯგუფის, განსაკუთრებით კი დაბალი და უფრო მეტად მაღალი (30 წლისა და ზევით) ასაკობრივი ჯგუფის ქალებში შობადობის შემცირების ვითარებაში. თანაც მაღალ ასაკობრივ ჯგუფში, შობადობის საერთო კოეფიციენტთან შედარებით გაცილებით შემცირდა საქორწინო ნაყოფიერების კოეფიციენტი. თუ 1938—1939 წწ. საქორწინო ნაყოფიერების კოეფიციენტი 30—39 წლის ქალებში შეადგენდა 137,2 და 40—49 წლის ქალებში—52,3 პრომილე, 1969—1970 წწ. ამავე მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 89,9 და 10,9 პრომილე. ასე რომ ოჯახის ფორმირება არსებითად მთავრდება 30 წლის ზევით ახლო მომიჯნავე წლებში და წყდება პროდუქტიული ქორწინება.

შობადობის ყველაზე ზუსტ და განმარტავად მჩვენებელს ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი და აღწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი შეადგენს, სადაც მთლიანად ელიმინირებულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობისა და შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების გავლენა, და ამგვარად, ყველაზე სწორ წარმოდგენას იძლევა შობადობის დონის ცვლილებებსა და დინამიკაზე. ორივე ეს მაჩვენებელი საგრძობლად შემცირდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით (1910—1914) უკვე დიდი სამამულო ომის წინა წლებში (1938—1939) ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი შეადგენდა 3,6, ბრუტო-კოეფიციენტი—1,74¹⁴, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და, 1969—1970 წლების მონაცემებით, ანალოგიურმა მაჩვენებლებმა შეადგინეს შესაბამისად 2,7 და 1,29¹⁵, რაც 40%-ით დაბალია 1938—1939 წლებთან შედარებით და თითქმის ორჯერ ნაკლები ვიდრე 1910—1914 წწ.

¹⁴ განავარიშებულია ჩვენ მიერ მოსახლეობის 1939 წ. აღწერისა და 1938—1939 წწ. შობადობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.

¹⁵ იხ. Народонаселение мира. Справочник. М., 1974, стр. 69, 153; Курс демографии. Под ред. проф. А. Я. Боярского. Изд. второе, пер. и доп. М., 1974, стр. 92. Б. И. Удланис, Проблемы динамики населения СССР, М., 1974, стр. 127.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ამჟამად არსებული შობადობის დონე, თუმცა შეკვეცილად, მაგრამ მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებას და ნეტო-კოეფიციენტიც არც თუ დიდად, მაგრამ მაინც 1-ზე მეტია (1,23) და უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში (1,12) და ევროპულ ნაწილში განლაგებულ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე რეჟიმი, რასაც საერთოდ შობადობის და მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები განსაზღვრავს, უზრუნველყოფს, გარდა მოსახლეობის, თაობათა გაფართოებული განახლებისა, სხვადასხვა თაობათა ზანგრძლივ ერთდროულ თანაცხოვრებას.

ამგვარად, საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე აღწარმოების ტიპისათვის დამახასიათებელია შობადობის მოკვდაობის დაბალი დონე, მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო ტემპი.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების განვითარებაჲ, დემოგრაფიულმა ევოლუციამ იმ მხრივაც იჩინა თავი რომ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ორჯერზედ მეტად გაიზარდა და თანაც მოსახლეობის გაორკეცებას 1,5-ჯერ ნაკლები დრო დასჭირდა ვიდრე რევოლუციამდელ, მეფის რუსეთის საქართველოში. მართლაც საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 1801 წელს შეადგენდა 850 ათას კაცს¹⁶, 1888 წ. 1.720¹⁷ ათას; 1921 წ. — 2,441 ათას, 1973 წ. — 4.835 ათას, და 1974 წელს — 4.878 ათას¹⁸. როგორც ვხედავთ რევოლუციამდელ პერიოდში, მე-19 საუკუნეში, საქართველოს მოსახლეობის გაორკეცებას დასჭირდა 87 წელიწადი, ხოლო საბჭოთა პერიოდში 53 წელიწადი ანუ 34 წელიწადით ნაკლები დრო.

დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას ქონდა ადგილი საკუთრივ ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაშიც რომელიც თითქმის არ განიცდის რა გარემოგრაფიული პროცესების გავლენას და ამგვარად უფრო ზუსტ წარმოდგენას ვეძიებთ მოსახლეობის ბუნებრივ გამრავლებაზე. იმავე წლებში, კერძოდ 1801 წ. ქართველების რიცხოვნობა შეადგენდა 670 ათას კაცს, 1897 წ. — 1,314¹⁹ ათას, 1926 წ. აღწერილ — 1,782 ათას და 1970 წ. აღწერის მონაცემებით ქართველების რიცხოვნობამ გადააჭარბა 3 მილიონს და შეადგინა 3.131 ათასი კაცი²⁰. ამგვარად ქართველი მოსახლეობა მე-19 საუკუნეში გაორკეცდა დაახლოებით 96 წლის მანძილზე, ხოლო საბჭოთა პერიოდში 44 წელიწადში ანუ ნახევარზე ნაკლები დროის განმავლობაში გაიზარდა 75 პროცენტით. და ყოველივე ეს მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი (ჭარის დანაკარგები) და არაპირდაპირი (შობადობის დაცემა) დემოგრაფიული დანაკარგებისა, რომლის მასშტაბებზედაც გარკვეულ წარმოდგენას ვეძიებთ ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის წინა წელს (1940 წ.) საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3.612 ათასი კაცი²¹, მიღწეული იქნა მხოლოდ 12

¹⁶ იხ. კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, გვ. 88.

¹⁷ გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

¹⁸ Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 г., стат. ежегод., стр. 10.

¹⁹ კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში გვ. 88.

²⁰ Итоги Всесоюзной переписи населения 1970 года, том IV, М., 1973, стр. 13.

²¹ Народное хозяйство Грузинской ССР в 1973 г., стр. 10.

წლის შემდეგ — 1952 წელს. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც რომ ორი უკანასკნელი აღწერის შორის პერიოდში (1959—1970 წწ.) საქართველოში ადგილი ქონდა უარყოფით საღლო მიგრაციას და განსხვავებით წინა პერიოდებისაგან ჩვენი რესპუბლიკიდან გასულებმა შემოსულებს გადააქარბა 92 ათასი კაცი²².

უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიმჩნევა შობადობის სრულად ახალი ტენდენციები: დაბალ ასაკობრივ ჯგუფის ქალებში შობადობის ამოღება, რაც თანაც უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ვიდრე მაღალი ასაკობრივ ჯგუფის ქალებში შობადობის შემცირება ასე მაგალითად, 1958—1959 წწ. შედარებით 1969—1970 წწ. 25 წლამდე ქალებში ნაყოფიერების კოეფიციენტების გადიდების ჯამი სჭარბობდა 25 წლისა და უფროსი ასაკის ქალებში ნაყოფიერების კოეფიციენტების შემცირების ჯამს, ამის შედეგად 1958—1969 წწ. შედარებით 1969—1970 წწ. მცირედ მაგრამ მაინც გაიზარდა ასევე ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო-კოეფიციენტი²⁴ (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

წლები	ქალების ასაკი		სულ ნაყოფი- ერების ჯამობრივი კოეფი- ციენტი	1958—1959 წწ. შედარებით გაიზარდა (%)		
	15—24	25—49		ნაყოფიერე- ბის ჯამობ- რივი კოეფი- ციენტი	ბრუტო— კოეფიციენტი	ნეტო ²⁴ კოეფიციენტი
1958—1959	28,3	71,7	100,0	—	—	—
1969—1970	41,5	58,5	100,0	8,0	4,4	7,6

სათანადო ანალიზმა გვიჩვენა, რომ 25 წლამდე ქალებში ნაყოფიერების კოეფიციენტის ზრდა აღნიშნულ წლებში გამოწვეული იყო მათ შორის დაქორწინებულ ქალების წილის გადიდებით, უმთავრესად კი საქორწინო ნაყოფიერების ზრდის შედეგად. მაგრამ, უნდა ითქვას, ისიც, რომ სრულიად უცნობია ამ კოგორტის, რეალური თაობის ქალების მომავალი დემოგრაფიული ქცევა და, მაშასადამე, იყოლიებენ თუ არა ისინი 2, ან 3-ზე, ანდა მათ მშობლებზე უფრო მეტ ბავშვებს საბოლოო ჯამში, პროდუქტიული ქორწინების, ნაყოფიერების მთელი პერიოდის დამთავრების ბოლოს.

ამავე დროს, მოქმედება დაიწყო ახალმა ნეგატიურმა დემოგრაფიულმა ფაქტორმა. ორი უკანასკნელი აღწერის პერიოდში (1959—1970 წწ.) განსხვავებით წინა წლებისაგან შემცირდა მთელს მოსახლეობაში ფერტილური ასაკის ქალების წილი. თანაც გაიზარდა მათ შორის მაღალი ასაკის ქალების წილი, რომელთა შორის ჩვეულებრივ დაბალია ნაყოფიერება, და შემცირდა

²² გ. ფირცხალავა, საქართველოს სსრ ხალხთმოსახლეობის თანამედროვე განვითარების პრობლემები. ეურნალი „კომუნისტი“, 1973 წ. № 4, გვ. 46.

²³ ცხრილი შედგენილია რესპუბლიკის ცსს სამმართველოს მასალების საფუძველზე.

²⁴ მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის უფრო მეტად გადიდება ბრუტო-კოეფიციენტთან შედარებით უნდა მიეწეროს 1958—1959 წწ, შედარებით 1970—1971 წ. ქალებში სიკვდილიანობის შემდგომ შემცირებას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდებას.



ისეთი პროდუქტიული ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი — როგორცაა 20—29 წწ ასაკის ქალები. ასევე გაიზარდა საკუთრივ დაქორწინებულ ქალებში მაღალი ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი და ადგილი ქონდა გათხოვილი ქალების შემდგომ „დაბერებას“.

გარდა აღნიშნულისა, 1959—1970 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეს მოსახლეობის 1970 წ. აღწერამ გამოავლინა, 1959 წ. შედარებით დაქორწინებულთა წილი გაიზარდა ყველა ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, ნაყოფიერების და საქორწინო ნაყოფიერების საერთო კოეფიციენტები შემცირდა, მნიშვნელოვან წილად 30 წლისა და ზევით ასაკის გათხოვილ ქალებში საქორწინო ნაყოფიერების კოეფიციენტების შემცირების გამო, და ამგვარად მათ შორის შობადობის შიდაოჯახური რეგულირების შემდგომი ვაფართოების შედეგად.

ბოლოს ცალკე უნდა აღინიშნოს რომ გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი (60 წ.+) 1959 წ. 10,9%-დან 1970 წ. 11,8%-მდე; შემცირდა მთელს მოსახლეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის (მამაკაცები 16—59 წწ. და ქალები 16—54 წწ.) წილი, 1959 წ. 56,1%-დან 1970 წ. 52,6%-მდე. შესაბამისად გაიზარდა მუშა-თაობის და დემოგრაფიული დატვირთვა და საერთოდ მთელი საზოგადოების დატვირთვა შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული, საპენსიო ასაკის პირებით, და ამგვარად არამწარმოებლური ასაკის მოსახლეობით.

ყოველივე აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალურსა და მნიშვნელოვანს ხდის ჩვენშიც დემოგრაფიული კვლევის ყოველმხრივ გაშლა-გაფართოებას, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების, დემოგრაფიული პროცესების მრავალმხრივ შესწავლასა და გამოკვლევას. ამის გარეშე დღეს შეუძლებელია ხალხთომოსახლეობის სხვა დანარჩენი პრობლემების, შრომითი რესურსების აღწარმოებისა და რაციონალური გამოყენების, დასაქმებულობის სოციალური ფორმების სრულყოფის, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების, გაადგილებისა და საერთოდ მოსახლეობის როგორც საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალისა და მატერიალური და სულიერი ფასეულობათა მომხმარებლის დროს ყოველმხრივი შესწავლა, და მანასადავ სოციალური და ეკონომიკური პროცესების მეცნიერული მართვა, გრძელვადიანი პროგნოზირება და სხვა იმ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის, პარტიის ცკ-ისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებიდან და ჩვენი რესპუბლიკის წინაშეა დღეს დაყენებული.

Г. В. ПИРЦХАЛАВА

С РАЗВИТИИ И СОВРЕМЕННЫХ ОСОБЕННОСТЯХ ВОСПРОИЗВОДСТВА НАСЕЛЕНИЯ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

(Резюме)

Настоящая статья содержит основные результаты исследований, начавшихся несколько лет назад с целью изучения тех количественных и качественных изменений в воспроизводстве населения Грузии, которые имели место за годы Советской власти по сравнению с дореволюционным периодом.

В статье впервые публикуются общие коэффициенты рождаемости, смертности, естественного роста, а также коэффициент жизненности населения за 1886—1914 гг., которые вместе с аналогичными показателями за 1940—1973 гг. дают общее представление о динамике типа и основных показателях воспроизводства населения Грузии (см. таблицу 1).

В дореволюционной Грузии уровень рождаемости и смертности был относительно высоким, что свидетельствует об экстенсивном, примитивном типе воспроизводства населения. К тому же лишь после снижения рождаемости начал снижаться и уровень смертности, что вообще и по сравнению с уровнем рождаемости, незначительно снизился. Следовательно, также незначительно изменился и темп естественного роста населения и попрежнему на низком уровне оставался коэффициент жизненности населения. Особенно высокой была смертность среди детей, подрастающего поколения. В начале XX века — в 1910 — 1914 гг. в возрасте до 5 лет умирало 29,3% новорожденных, а до 10 лет — 33,6%, т. е. одна третья часть новорожденных и, таким образом, имело место быстрая смена поколений. В этих условиях высокий уровень рождаемости, плодовитости был необходим для компенсации высокой детской смертности. В 1910—1914 гг. коэффициент суммарной плодовитости составлял 5,0, а брутто-коэффициент воспроизводства населения — 2,44.

За годы Советской власти вследствие общественно-экономического и социально-культурного развития Грузии утвердился качественно новый, прогрессивный тип воспроизводства населения, который характеризуется относительно низким уровнем рождаемости и особенно смертности, высокой средней продолжительностью жизни. Поскольку за советский период уровень смертности снизился гораздо быстрее и более значительно, чем рождаемость, коэффициент естественного роста до второй половины 60-х годов был более высоким, чем за весь дореволюционный период, а коэффициент жизненности населения и теперь более чем 1,5 раза выше. Весь процесс воспроизводства населения в Советской Грузии стал более рациональным и экономичным.

Особенно резко снизилась смертность за годы Советской власти среди детей и в настоящее время в возрасте до 10 лет умирает лишь 3,5% т. е. в десять раз меньше, чем в 1910 — 1914 гг.

Сравнение обычных и стандартизованных коэффициентов смертности выявило, что за советский период уровень смертности фактически снизился больше, а повышение коэффициента смертности за последние годы, главным образом, вызвано старением населения.

Снижение рождаемости в Советской Грузии в основном было вызвано интенсивной урбанизацией и индустриализацией, массовым вовлечением женщин в общественное производство, повышением их культурного уровня, широким распространением внутрисемейного регулирования рождаемости, уменьшением доли замужних женщин, повышением среднего брачного возраста и т. д.

Нами установлено, что по сравнению с 1896—1897 гг. в 1969—1970 гг. общий коэффициент рождаемости снизился (11,7‰) в целом за счет снижения коэффициента плодовитости (18,8‰), а повышение доли рождающегося контингента женщин в населении задержало снижение коэффициента рождаемости (на 7,1‰). За тот же период коэффициент плодовитости снизился (73,4‰) в основном за счет снижения коэффициента брачной плодовитости (62,3‰) и отчасти вследствие снижения доли замужних женщин (11,1‰). Следовательно снизились



суммарные показатели рождаемости и в 1938 — 1939 гг. Коэффициент суммарной плодовитости составил 3,6; брутто-коэффициент воспроизводства — 1,7, а в 1969 — 1970 гг. соответствующие показатели составили 2,7 и 1,29.

В настоящее время в Грузии нетто-коэффициент воспроизводства населения равняется — 1,23, что более высокий, чем в целом по СССР (1,12). К тому же за последний период в Грузии повысился коэффициент рождаемости среди молодых возрастных групп женщины (15—24 лет). В результате этого, по сравнению с 1958 — 1959 гг. в 1971 — 1972 гг. увеличился коэффициент суммарной плодовитости, а также брутто — и нетто — коэффициенты воспроизводства населения.

В заключение статьи отмечается, что некоторые современные негативные демографические тенденции (уменьшение доли рождающегося контингента женщин, трудоспособного населения во всем поселении, дальнейшее старение всего населения и трудоспособного населения), придает более актуальное значение демографическим исследованиям, углубленному изучению процессов воспроизводства населения Грузии.

ზურაბ რაპინოვილი

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა
დაახლოების შესახებ

სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობებით განვითარების ერთტიპიური საფუძველი ექმნება როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ეკონომიკას, რაც განაპირობებს მათი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობას. მაგრამ, განვითარების დონის მხრივ, ისინი დღეისათვის თანაბარ საფეხურზე არ დგანან, მათ შორის არსებობს განსხვავება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ სოფლისმეურნეობრივი შრომა, ენერგოაღჭურვილობისა და ფონდალპურვილობის მიხედვით, ჯერ კიდევ ჩამორჩება მრეწველურ შრომას. სოფელი ჩამორჩება ქალაქს დასაქმებული სპეციალისტების რაოდენობით, მშრომელი მასის კულტურულ-ტექნიკური დონით; განსხვავებულია, აგრეთვე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეც, ეს კი ვლინდება რეალურ შემოსავალში, მოხმარებული მრეწველური და სასურსათო საქონლის მოცულობასა და სტრუქტურაში, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებში და სხვ.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პრობლემების რთული კომპლექსის გადაწყვეტას, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოებას. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მწარმოებლური ძალების სწრაფი განვითარება, სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინდუსტრიულ რესურსებზე გადაყვანა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიახლეთა ფართოდ დანერგვა, სოფლისმეურნეობრივი შრომის გადაქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეადგენს აუცილებელ წინაპირობას სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. „კომუნისმის დროს, აღნიშნულია სკკპ პროგრამაში — არ იქნებია კლასები, გაქრებია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის; საწარმოო ძალების განვითარების დონითა და შრომითი ხასიათით, წარმოებითი ურთიერთობების ფორმებით, საყოფაცხოვრებო — პირობებით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონით სოფელი ქალაქის დონეს მიაღწევს“¹.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სოციალური ღონისძიებების ფართო პროგრამა, რომელშიაც დიდი ყურადღება ექცევა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოებას. ყრილობის დირექტივებში მითითებულია კონკრეტული გზები დაახლოების პროცესის უფრო ინტენსიურად წარმართვისათვის; ეს გზებია: კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა, სოფლად ცალობრივი საქონელბრუნვის სწრაფი გადიდება, მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებ-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1971, გვ. 91.



ბო მომსახურების ამიღლება, ახალგაზრდობისათვის სოფლისმეურნეობის სპეციალობების შექმნის ფართო პერსპექტივა და სხვ.

წინამდებარე სტატიაში გვინდა ვუჩვენოთ, თუ როგორ იზრდება განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე და როგორ უახლოვდება იგი ქალაქის მოსახლეობის დონეს. მაგრამ შეუძლებელია, რომ არ შევჩერდეთ ფრიად საინტერესო საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორია — ცხოვრების დონე, რა ობიექტური კრიტერიუმებით განისაზღვრება იგი.

აღსანიშნავია, რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოთა ეკონომისტებს შორის დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მათი ერთი ნაწილი (ე. მანევიჩი², ო. გუბარიოვა³, ვ. რაიცინი⁴ და სხვ.) თვლის, რომ ცხოვრების დონე როგორც ეკონომიკური კატეგორია გამოხატავს ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს. ამ აზრს არ იზიარებს ეკონომისტთა მეორე ნაწილი (პ. ოლდაკი, ვ. მაიერი და სხვ.). მაგალითად, პ. ოლდაკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ეკონომიკური კატეგორია ასახავს ადამიანთა ფიზიკური, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების განვითარებისა და დაკმაყოფილების მიღწეულ საფეხურს⁵. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ განვითარებად ქვეყნებში, სადაც დაბალია საერთო კულტურის დონე და მოთხოვნათა წრეც შეზღუდულია, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობას უფრო მაღალი კულტურა აქვს. თუმცა უდავოა, რომ უკანასკნელთა ცხოვრების დონე საგრძნობლად მაღალია, ვიდრე პირველთა⁶. დაბლოებით ასევე მსჯელობს ვ. მაიერი. ცხოვრების ანუ ხალხის კეთილდღეობის დონეში, — აღნიშნავს იგი, — უნდა გვესმოდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური და სულიერი სიკეთით, მათი (ამ სიკეთის) მოხმარება მიღწეული საფეხური⁷.

ჩვენ აზრით, უფრო სწორია ეკონომისტთა მეორე ჯგუფის პოზიცია. მართლაც, რა მაჩვენებლებიც არ უნდა გამოვიყენოთ ხალხის ცხოვრების დონის განსაზღვრისათვის, მათი აბსოლუტური სიდიდით ვერ გავარკვევთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიღწეული დონე. უფრო სწორი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ცხოვრების დონეზე, ურთიერთს უნდა შევადაროთ მისი ახლანდელი და ადრინდელი მაჩვენებლები, სხვადასხვა რეგიონისა თუ სხვადასხვა კლასის ცხოვრების დონის მაჩვენებლები.

მიუხედავად განსხვავებული პოზიციისა, ამ ეკონომიკური კატეგორიის არსის განსაზღვრისას, ეკონომისტები ერთხმად აღიარებენ მის სირთულეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მისი სრულად ასახვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ

² Е. А. Маневич. Жизненный уровень советского народа, М., 1959, стр. 11.

³ О. Е. Губарева. Источники роста народного благосостояния в СССР, М., 1968, стр. 4.

⁴ В. Я. Раицини. Нормативные методы планирования уровня жизни в СССР, М., 1967, стр. 3.

⁵ П. Г. Олдак. Экономические проблемы повышения уровня жизни, М., 1953, стр. 3.

⁶ П. Г. Олдак. Взаимосвязь производства и потребления, М., 1966, стр. 8.

⁷ В. Майер. Доходы населения и рост благосостояния народа, М., 1968, стр. 62.

მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა მოხმარების ფონდის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან, ცალობრივი საქონელბარუნების მოცულობა და სტრუქტურა, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე და სხვ.

ცხოვრების დონის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია აქვს აგრეთვე ისეთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებსაც, როგორცაა: შობადობა და მოკვდაობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მოსახლეობის მიგრაცია. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ობიექტურად ვიმსჯელოთ საზოგადოებაში მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებაზე, რაც თავისთავად ხალხის ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული.

ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შორის მნიშვნელოვანია რეალური შემოსავალი, რაც განსაზღვრავს სასიცოცხლო საშუალებების მთელ მასას, მიღებულს ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების შედეგად.

რეკოლუციამდელ რუსეთში გლეხების რეალური შემოსავალი საშუალოდ ნაკლები იყო მუშების შემოსავალთან შედარებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გლეხების რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით (შესაღარი ფასებით), 13-ჯერ გაიზარდა მაშინ, როცა მრეწველობისა და მშენებლობის მუშათა რეალური შემოსავალი გაიზარდა 8,8-ჯერ⁸. საბჭოთა პერიოდში რეალური შემოსავლის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი იყო შრომის ანაზღაურების სწრაფი გადიდებით, აგრეთვე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან დახმარებებისა და შეღავათების ზრდით.

რეალური შემოსავლების ზრდა კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. თუ მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი 1973 წელს 3,2-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი ამავე პერიოდში 5,6-ჯერ გადიდდა⁹.

განვითარებული სოციალიზმის დროს ჩვენი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა განუზრელი გადიდება, წარმოებრივი პროცესების ენერგოაღჭურვილობისა და მექანიზაციის ძირითადი გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება. ყოველივე ეს ზრდის სოფლის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას და აახლოებს მას მრეწველობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებასთან.

მარტო 1960 წლიდან 1973 წლამდე მექანიზატორების რაოდენობა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1,7-ჯერ გადიდა, ხოლო მათი ზედერთი წონა მუშაკთა მთელ მასაში 0,7 პროცენტადან 1,2 პროცენტამდე გაიზარდა. მექანიზატორული კადრების მომზადების საქმე მნიშვნელოვნად დაჩქარდა უკანასკნელ პერიოდში. 1971—1973 წლებში სოფლის მეურნეობისათვის მომზადებული იყო 14,4 ათასი მექანიზატორი ანუ 49,7 პროცენტი მექანიზატორთა მთელი შემადგენლობისა¹⁰.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებანი ცხადყოფენ, რომ ჩვენს სინამდვილეში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთთან სოციალურ-ეკონომიკური დაახლოება.

⁸ СССР в цифрах в 1973 г., Краткий стат. сборник, М., 1974, стр. 176.

⁹ Там же, стр. 178.

¹⁰ Народное хозяйство Груз. ССР в 1973 г. Стат. сборник, Тб., 1974, стр. 128—129.



უქანასკნელ ხანებში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოების პროცესის ინტენსივობაზე მეტყველებს ქალაქისა და სოფლის მუშაეების შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპების ურთიერთშედარება. 1973 წელს, 1960 წელთან შედარებით, საქართველოს კოლმეურნეობებში შრომის საშუალო ანაზღაურება ერთ მუშაზე გაანგარიშებით 2,3-ჯერ გადიოდა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება სწრაფად იზრდება 1965 წლიდან ფულად-გარანტირებული ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის შედეგად. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ერთ მუშაზე გაანგარიშებით, ამავე პერიოდში 1,5-ჯერ გადიოდა¹¹. 1960 წელს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მესამედს შეადგენდა, 1973 წელს კი მან ნახევარზე მეტი შეადგინა. მეცხრე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 16—17 პროცენტით გაიზარდა, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი კი — 10—12 პროცენტით¹². წლით-წლით იზრდება ანაზღაურება ერთ შრომადღეზე გაანგარიშებით. 1960 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ შრომადღეზე მოდიოდა 1,52 მან.; 1965 წელს — 2,38 მან.; 1970 წელს 3,83 მან.; 1973 წელს 4,22 მანეთი¹³.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოებაში დიდ როლს ასრულებენ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობა იღებს უფასო სწავლებას, სამედიცინო დახმარებას, პენსიებს, სტიპენდიებს, უფასო ან შეღავათიან საგზურებს სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, იმაღლებს კვალიფიკაციას.

დაახლოებითი გაანგარიშებით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მრეწველობისა და მშენებლობის მუშებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებები და შეღავათები 30-ჯერ გაუდიოდა. ამავე პერიოდში კოლმეურნე გლეხობას ისინი 50-ჯერ და მეტად გაეზარდათ¹⁴.

სოფლის მეურნეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა უქანასკნელ წლებში. ასე, მაგალითად, 1968 წლიდან კოლმეურნეთათვის დაწესდა ისეთივე საპენსიო ასაკი, როგორც მუშა-მოსამსახურეებისათვის (60 წელი მამაკაცებისათვის და 55 წელი ქალებისათვის); ადრე, როგორც ცნობილია, კოლმეურნეობებში პენსიას იღებდნენ კაცები 65, ხოლო ქალები 60 წლის ასაკში. დაწესებულია, აგრეთვე პენსიები იმ კოლმეურნეთათვის, რომლებიც შრომითი ტრაუმის ან პროფესიული დაავადების შედეგად გახდნენ მესამე ჯგუფის ინვალიდები. 1971 წლიდან საპენსიო მინიმუმის გადადებასთან ერთად კოლმეურნეებისა და მათი ოჯახებისათვის შემოღებული იქნა ერთიანი საპენსიო სისტემა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცალკობრივ საქონელბრუნვას, რადგან ძირითადად სწორედ იგი ასახავს მოსახლეობის მიერ მატერიალურ ფასეულობათა პირად მოხმარებას. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელი

¹¹ Народное хозяйство Груз. ССР в 1973 г. Стат. сборник, Тб., 1974, стр. 177—204.

¹² საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პლენუმის მასალები. გაზ. „კომუნისტი“, 1974 წ., 27 დეკემბერი.

¹³ Народное хозяйство Груз. ССР в 1973 г., стат. ежегодник, Тб., 1974, стр. 204.

¹⁴ СССР в цифрах в 1973 г., краткий стат. сборник, М., 1974, стр. 177. 178.

ბელია საცალო საქონელბრუნვის გადიდება¹⁵. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე, 1912 წლის მონაცემებით, სოფლად საქონელბრუნვის მოცულობა 16-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ქალაქად. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შედეგად 1923—24 წლებში ეს მაჩვენებელი 24-ჯერ ნაკლები იყო. უკვე 1928 წელს ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება საქონელბრუნვაში შეკცირდა 9,2-მდე, 1940 წელს — 5,2-მდე, 1950 წელს 4,9-მდე, 1960 წელს — 3,2-მდე, 1965 წელს — 3-მდე¹⁶.

მთლიანად საბჭოთა კავშირში 1973 წელს სოფლის ერთ მცხოვრებზე განვარაღებით 2,4-ჯერ ნაკლები საქონელი გაიყიდა, ვიდრე ქალაქის მცხოვრებზე. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სოფლის მკვიდრნი საქონლის ნაწილს იძენენ უშუალოდ ქალაქებში. ასე, მაგალითად, 1972 წელს შერჩევითი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეთა ოჯახების მიერ შეძენილი სამარწყველო საქონლის 38 პროცენტი ქალაქის მაღაზიებში იყო ნაყიდი¹⁷. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ისინი კვების პროდუქტების დიდ ნაწილს არც ყიდულობენ, რადგან ამ პროდუქტებს ძირად დამხმარე მეურნეობიდან ან კოლმეურნეობიდან იღებენ.

ასე რომ ცალობრივი საქონელბრუნვის აღნიშნული მონაცემები, მართალია, მთლიანად არ ასახავენ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობას მატერიალურ ფასეულობათა მოხმარებაში, მაგრამ ეს ციფრები მაინც თვალნათლივ გვიჩვენებენ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების განუხრეკლ პროცესს.

რამდენადაც სოფლის მოსახლეობას სავაჭრო მომსახურებას სამომხმარებლო კოოპერაცია უწყევს, სამომხმარებლო კოოპერაციის ცალობრივი საქონელბრუნვის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი უშუალოდ გვიჩვენებს სოფლის მოსახლეობის მოხმარებაში მიმდინარე ცვლილებებს. თუ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ვაჭრობის საქონელბრუნვა 1973 წელს 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 2,2-ჯერ, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა — 2,6-ჯერ. ეს ცვლილება ნათლად მეტყველებს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვის ზრდის ტემპების ურთიერთშედარებისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება. თუ 1960 წელს სოფლის მოსახლეობა რესპუბლიკის მოსახლეობის 58 პროცენტს შეადგენდა, 1973 წელს მან 51,3 პროცენტი შეადგინა. ამიტომ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის უფრო ნათელ სურათს გვიჩვენებს ერთ სულზე ცალობრივი საქონელბრუნვის გადიდება. 1961—1973 წლებში ცალობრივი საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე 531 მანეთიდან 955 მანეთამდე ანუ 79,8 პროცენტით გაიზარდა ქალაქად, ხოლო სოფლად 111 მანეთიდან 211 მანეთამდე ანუ 90,1 პროცენტით.

მაგრამ სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე ჩვენი რესპუბლიკის აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებელს. მთლიანად საბჭოთა კავშირში ცალობრივი საქონელბრუნვა სოფლის მოსახ-

¹⁵ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971 წ., გვ. 164.

¹⁶ Журнал «Советская потребительская кооперация», 1971, № 11, стр. 7.

¹⁷ Народное хозяйство СССР в 1972 г., Стат. ежегодник, М., 1973, стр. 580.



ლეობის ერთ სულზე 1961—1973 წლებში 179 მანეთიდან 407 მანეთამდე ანუ თითქმის 2,3-ჯერ გაიზარდა.

მიმდინარე ხუთწლეულში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ცალკობრივი საქონელბრუნვა ქვეყნის მასშტაბით გადიდდება 41,8 პროცენტით, საქართველოში კი — 51,7 პროცენტით; სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკობრივი საქონელბრუნვა კვლავაც სწრაფი ტემპებით გაიზარდება, მთლიანად საკავშირო მასშტაბით იგი უნდა გაიზარდოს 45 პროცენტით, ზოლო ჩვენს რესპუბლიკაში კი 60,4 პროცენტით¹⁸. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკობრივი საქონელბრუნვის ზრდის უფრო სწრაფი ტემპი რამდენადმე შეამცირებს სოფლის საქონელბრუნვის ჩამორჩენას. სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკობრივი საქონელბრუნვის სწრაფ ზრდასთან ერთად მასში მიმდინარეობს პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები. უკანასკნელ ხანებში ნათლად შეიძინევა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვის სტრუქტურა სულ უფრო უახლოვდება სახელმწიფო ვაჭრობის საქონელბრუნვის სტრუქტურას (იხ. ცხრილი 1).

კოოპერაციული და სახელმწიფო ვაჭრობის საქონელბრუნვის სტრუქტურული ცვლილებები 1960—1971 წწ. (%-ით მთლიან ბრუნვასთან)¹⁹.

ცხრილი 1

წლები	სამომხმარებლო კოოპერაცია		სახელმწიფო ვაჭრობა	
	სასურსათო საქონელი	მრეწველური საქონელი	სასურსათო საქონელი	მრეწველური საქონელი
1960	49,4	50,6	55,9	44,1
1965	54,7	45,3	58,3	41,7
1970	55,0	45,0	55,1	44,9
1971	55,2	44,8	54,7	45,3

როგორც ხედავთ, ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვაში მნიშვნელოვნად იზრდება სასურსათო საქონლის ზვედრითი წონა, რაც სოფლის მოსახლეობის მოხმარების დენატურალიზაციას გვიჩვენებს. სოფლის მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ მასში მუშა-მოსამსახურეების რიცხვის გადიდება, კოლმეურნეთა გადაყვანა ფულად-გარანტირებულ ანაზღაურებაზე და პირადი დამხმარე მეურნეობის როლის შემცირება — განაპირობებს სასურსათო საქონელბრუნვის სწრაფ ზრდას.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკობრივი საქონელბრუნვის სტრუქტურულ ცვლილებას აქვს თავისებურება. მასში უფრო სწრაფად იზრდება მრეწველური საქონლის ზვედრითი წონა; ასე, მაგალითად, 1965 წელს მრეწველური საქონელი შეადგენდა მთლიანი საქონელბრუნვის 50,2 პროცენტს, 1973 წელს — 52,4, 1973 წელს 53,7 პროცენტს.

მრეწველური საქონელბრუნვის ზვედრითი წონის ზრდა თავისთავად მოსახლეობის მოხმარებაში პროგრესული ცვლილებების მაჩვენებელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, სასურსათო საქონელბრუნვის ნაკლებად სწრაფი ზრდა მიგვა-

¹⁸ ცეკავშირის გამგეობის ანგარიში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVII ყრილობას, თბ., 1974, გვ. 6.

¹⁹ Показатели деятельности потребительской кооперации за 1935—1971 гг., М., 1972, стр. 23.

ნიშნებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის მოხმარების დენატურალიზაციის პროცესის ნელი ტემპით მიმდინარეობაზე.

რესპუბლიკაში კვების პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ პირად დამზარებელ მეურნეობაზე მოდის. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი მონაცემები: 1972 წელს მარცვლეულის წარმოებაში პირად დამზარებელ მეურნეობაზე მოდიოდა 33,4 პროცენტი, კარტოფილის წარმოებაში — 51,1, ბოსტნეულის წარმოებაში — 56,3, ხილისა — 71,9, ციტრუსებისა — 62, ყურძნისა — 67,9, ხორცისა — 68,2, რძისა — 54,2, კვერცხისა — 54,5 პროცენტი²⁰.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირადი დამზარებელ მეურნეობის არსებობა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ საზოგადოებრივ და პირად დამზარებელ მეურნეობებს შორის თანაფარდობა ისეთი უნდა იყოს, რომ საკარმიდამო ნაკვეთზე წარმოებული პროდუქცია ასრულებდეს კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის დაპატებოთს და არა ძირითადი წყაროს როლს.

კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლების ზრდა საზოგადოებრივი მეურნეობიდან და პირად დამზარებელ მეურნეობის მნიშვნელობის შემცირება აუცილებლად განაპირობებენ სასურსათო საქონელბრუნვის ხვედრითი წონის გადიდებას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის მოხმარებაში.

საერთოდ, საქონელბრუნვაში სასურსათო საქონლის ხვედრითი წონის ზრდას მთლიან საქონელბრუნვაში აქვს თავისი ზღვარი, იგი ვაპირობებულია საკვები პროდუქტების ფიზიოლოგიური ნორმებით. სოფლის მოსახლეობის მოხმარების დენატურალიზაცია, მიაღწევს რა განსაზღვრულ საფეხურს, საქონელბრუნვაში გადიდებას იწყებს მრეწველური საქონლის ხვედრითი წონა, როგორც ეს ხდება ქალაქის მოსახლეობის მოხმარებაში. სოფლად სასურსათო საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს მისი სტრუქტურული ცვლილებაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ იზრდება ხვედრითი წონა მაღალკალორიული, ცილოვანი პროდუქტებისა, ხოლო დაბალკალორიული, იაფფასიანი პროდუქტებისა — მცირდება (იხ. ცხრილი 2).

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კომერციის სასურსათო ცალობრივ

საქონელბრუნვის სტრუქტურული ცვლილებანი 1961—1973 წწ²¹.

(%ით სასურსათო ბრუნვასთან)

ცხრილი 2

საქონელთა ჯგუფების დასახელება	1961 წ.	1973 წ.
ხორცპროდუქტები, თევზპროდუქტები, ცხიმები, რძე და რძის ნაწარმი, კერძები, კონსერვები	8,2	20,2
შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი	25,1	30,4
ფქვილი, პურეულის ნაწარმი, ბურღული, მკარონის ნაწარმი	51,8	34,8
დანარჩენი სასურსათო საქონელი	14,9	14,6

სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე მეტყველებს სამომხმარებლო კომერციის სისტემაში მრეწველური საქონლის, კერძოდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მეურნეობრივი დანიშნულების საქონლის რეალიზაციის სწრაფი ზრდა. თუ ორიოდ ათეული წლის წინათ სოფლის

²⁰ ურნალი „ეკონომისტი“, 1974 წ., № 4, გვ. 24.

²¹ ცხრილი 2 გაანგარიშებულია ცეკავშირის სტატისტიკური განყოფილების მასალების საფუძველზე.



მცხოვრებთა მიერ მთლიანად შექმნილი საქონლის რაოდენობაში პარაზონალური პირველი მოთხოვნილების საგნები: მარილი, სამეურნეო საპონი, ასანთი, ნავთი, ბამბის ქსოვილი და სხვ., ამჟამად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელზე. მარტო 1973 წელს 1965 წელთან შედარებით სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში რეალიზებული იყო მეტი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი: მაცივრები 4-ჯერ, სარეცხი მანქანები 3-ჯერ, ტელევიზორები — 2,3-ჯერ, მაგნიტოფონები — 2,4-ჯერ, პიანინო და როიალი — 2,8-ჯერ და ა. შ. (იხ. ცხრილი 3).

საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემებში მოსახლეობის ერთ სულზე ზოგიერთი მრეწველური საქონლის რეალიზაცია 1961—1973 წლებში²²
(წლების შესაბამის ფასებში, მანეთობით)

ცხრილი 3

№№ რ-ზე საქონლის ჯგუფების დასახელება	სახ. ვაჭრობის სისტემაში			კოოპერაციის სისტემაში		
	1961 წ.	1973 წ.	ზრდა %-ში	1961 წ.	1973 წ.	ზრდა %-ში
1 შეკერილი ნაწარმი	32,2	47,6	147,8	8,7	24,4	280,5
2 ტრიკოტაჟის "	15,6	37,4	239,3	3,5	14,6	417,1
3 ტყავის, ქსოვილისა და კომბინირებული ფეხსაცმ.	28,1	31,0	110,3	8,4	19,2	228,6
4 მარფიურია	2,4	5,7	237,5	0,8	1,6	200,0
5 საგალანტერიო საქონ. . .	11,1	24,2	218,0	3,4	9,9	285,3
6 ავეჯი	8,4	16,3	194,0	2,5	9,0	360,0
7 საათები	2,9	4,1	141,4	0,9	1,4	150,6
8 ელექტროსაქონელი	4,8	14,7	303,3	1,1	6,0	545,5
9 სპორტსაქონელი	2,0	3,6	180,0	0,3	1,0	333,3
10 რადიოსაქონელი	4,9	12,7	259,2	1,3	6,4	492,3
11 მუსიკალური საქონელი .	1,7	2,8	164,7	0,5	1,5	300,0
12 ველოსიპედები და მოტო- ციკლები	0,6	1,5	250,0	0,4	1,8	450,0

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა დასახელების მრეწველური საქონლის რეალიზაცია მოსახლეობის ერთ სულზე სამომხმარებლო კოოპერაციის მომსახურების ზონაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობის მომსახურების ზონაში.

ამრიგად, სოფლის მოსახლეობის რეალური შემოსავლების სწრაფი ტემპით ზრდა, სოფლად ცალობრივი საქონელბრუნვის გადიდება და მისი პროგრესული ცვლილებანი გვიჩვენებენ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის განუზრგელ ამბობებს და დაახლოებას ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების დონესთან. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, მათ შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სხვაობა ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოუფხვრელია. ეს სხვაობა განპირობებულია წარსულის გადმონაშთით, კერძოდ ქალაქთან შედარებით სოფლის საგარეოში ჩამორჩენილობით, რომლის დაძლევაც შეუძლებელია ისტორიულად ზანმოკლე პერიოდში. ამ ამოცანის საბოლოოდ გადაწყვეტა მოითხოვს დიდ დროსა და მთელი საზოგადოების დაძაბულ შრომას. სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის პირნათლად განხორციელება მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ამ ამოცანის საბოლოოდ გადაწყვეტაში.

²² ცხრილი 3 განაგარიშებულია საქ. სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ვაჭრობის სტატისტიკის განყოფილებისა და ცეკავშირის სტატისტიკური განყოფილების მონაცემების საფუძველზე.

3. ზურაფული

რეგიონალურ დაგეგმვაში დარგთაშორისი ოპტიმიზაციური მოდელების გამოყენების საკითხები

მსრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ზრდისა და სოციალისტური ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მართვისა და დაგეგმვის მეთოდების სრულყოფა. ამჟამად სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკა. ეკონომიურ-მათემატიკურ გამოკვლევებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეკონომიკური რაიონების სახალხო მეურნეობრივი გეგმების მოდელთა დამუშავებას.

გეგმის მაჩვენებელთა დამუშავების პროცესს თან სდევს მართვისა და დაგეგმვის სხვადასხვა დონეთა შორის (ცენტრალური ორგანოებიდან საწარმოებამდე) ინფორმაციის მრავალჯერადი გაცვლა. ასეთ პირობებში შესაძლებელია წარმოიქმნას განსხვავება სხვადასხვა დონის მაჩვენებელთა შორის, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მოსდევს დასამტკიცებელ გეგმათა არასაკმარისი შეთანხმებულობა. ეკონომიურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ პროპორცია სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის და ასევე — თანაფარდობა საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას შორის.

ერთ-ერთ ყველაზე უკეთესად დამუშავებულ ეკონომიურ-მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს დარგთაშორისი ბალანსის მოდელი. დარგთაშორისი დაგეგმვის მეთოდთა გავრცელებასა და შემდგომ განვითარებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ეს მოდელი აკმაყოფილებს მთელ რიგ სერიოზულ მოთხოვნებს, რომლებსაც სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვა უყენებს ეკონომიურ-მათემატიკურ მოდელირებას. ამ მოთხოვნებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი [1]:

1. ცალკეულ მატერიალურ ბალანსების სახალხო მეურნეობრივ ნაერთ ბალანსთა სისტემასთან მაჩვენებელთა დიდი რაოდენობის შეთანხმების აუცილებლობა;

2. სახალხო მეურნეობრივი გეგმის დამუშავების საწყის სტადიაში სოციალისტური საზოგადოების საბოლოო მიზნების გათვალისწინების აუცილებლობა; საბოლოო პროდუქტი უნდა იყოს დარგთაშორისი ბალანსის საფუძველზე წარმოებული გამოთვლის საწყისი მომენტი;

3. გაფართოებული აღწარმოების გეგმის აღწარმოების ამსახველი სხვადასხვა ასპექტის შეთანხმების აუცილებლობა — წარმოების გეგმის, შრომითი რესურსებისა და ძირითადი ფონდების გეგმასთან, კაპიტალური დაბანდების გეგმასთან და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების გეგმასთან.

სახალხო მეურნეობრივ პროპორციათა დაგეგმვაში დარგთაშორისი ბალანსის მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა: გათვლილი იქნას სხვადასხვა გეგმური ვარიანტის მნიშვნელოვანი რაოდენობა, შემციირდეს გეგმურ გაანგარიშებათა შრომატევადობა, ამაღლდეს სახალხო მეურნეობრივი გეგმის დაბა-

ლანსების დონე და დეტალურად გაანალიზდეს დარგთაშორის კავშირის სტრუქტურა.

ჩვენს ქვეყანაში ერთიანი დარგთაშორისი ბალანსის დამუშავებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონული დარგთაშორისი ბალანსის დამუშავებას. რეგიონული თავისებურება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ დარგთაშორისი და ტერიტორიათაშორისი კავშირის ფორმირებაზე, ამა თუ იმ რაიონში განლაგებულ ეკონომიკურ ობიექტთა საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად. მოკავშირე რესპუბლიკათა დარგთაშორისი ბალანსები სახალხო მეურნეობის სტრუქტურის კომპლექსური ანალიზისა და ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა გეგმური გაანგარიშების ინსტრუმენტს წარმოადგენენ; მათი გამოყენება შეიძლება, როგორც ამოსავალი ბაზა წერტილისა — რეგიონის ოპტიმალური განვითარების მოდელთა კომპლექსური სისტემის შესაქმნელად, იქნება, რამდენადაც ისინი აკავშირებენ ინფორმაციას წარმოების, საბოლოო პროდუქციის ბრუნვისა და გამოყენების შესახებ. ეკონომიკური რაიონების დარგთაშორისი ბალანსებში შედგენება თითოეული მათგანის სპეციალიზაცია და დარგთაშორისი კავშირი ყველა სხვა ეკონომიკურ რაიონებთან, გლინდება რაიონის წარმოებრივი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს, როგორც გარე კავშირს, ისე შინაგან ფაქტორთა გავლენას.

რაიონული დარგთაშორისი ბალანსის დამუშავებისა და გამოყენების სფეროში დაგროვდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ტერიტორიული დაგეგმვის ეკონომიურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 60-იან წლებში რესპუბლიკურ და რაიონულ დარგთაშორისი ბალანსთა დამუშავებას. დარგთაშორისი საანგარიშებო ბალანსების მასალებით ანალიზდება რესპუბლიკისა და რაიონის სახალხო მეურნეობაში შექმნილი დარგთაშორისი კავშირები და პროპორციები, საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურა. საანგარიშო ბალანსი იძლევა გეგმური ბალანსების დამუშავებისათვის აუცილებელ ინფორმაციულ ბაზას, რაც თავის მხრივ ქმნის შესაძლებლობას, რომ ელექტრონულ გამოთვლულ მანქანაზე დამუშავდეს გეგმის მრავალი ვარიანტი — ნორმატიული ბაზის ელემენტების ან გარე განმსაზღვრელთა შეცვლის გზით.

საქართველოს სსრ დარგთაშორისი კავშირთა გამოკვლევა განხორციელებულია ორიგინალურ ნაშრომში [2], რომელშიც განხილულია რესპუბლიკაში დარგთაშორისი ბალანსთა აგების მეთოდოლოგიური თავისებურებანი, შემოთავაზებულია პროდუქციის სამსაფეხურიანი კლასიფიკატორი, რაც აგრეგირების სამი დონის ბალანსთა აგების საშუალებას იძლევა, განზოგადებულია რესპუბლიკის დარგთაშორისი ბალანსთა სისტემის დამუშავების გამოცდილება, რომელიც შედგება პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსისაგან, ბლოკური მატერიალურ ფინანსური ბალანსისაგან და შრომისა და შრომითი რესურსების დანახარჯთა მატერიალური ბალანსისაგან.

დარგთაშორისი ბალანსის კლასიკური მოდელი ნაწილობრივ იყენებს დარგთაშორისი პროპორციათა მოდელირების ბალანსურ მეთოდთა შესაძლებლობებს: როგორც ყველა მოდელი, ასევე პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი ასახავს რეალური ეკონომიკური სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებს, რისთვისაც ეყრდნობა განსაზღვრულ ამოსავალ წინამძღვრებს, რომლებიც სხვა მომენტებიდან ახსტრაჰირების ან მათი საკმაოდ მიახლოებით ასახვის

საშუალებას იძლევა. ზოგიერთი ამ წანამძღვართაგანის შეცვლით შეიძლება მიღწეულ იქნას დარგთაშორისი ბალანსის მოდიფიცირება.

დარგთაშორისი ბალანსის სტატიკურ წრფივ მოდელს ახასიათებენ შემდეგი ძირითადი წანამძღვარები [3]:

ა) მატერიალური წარმოების სტრუქტურის განხილვის ხერხის წანამძღვარი;

ბ) მოდელში განხილულ პროდუქციის სახეთა რაოდენობის სასრულობის დადგენის წანამძღვარი;

გ) მოდელში განხილულ ეკონომიკურ ცვლათა ეგზოგენური და ენდოგენური დაყოფის წანამძღვარი;

დ) წარმოებაზე დანახარჯებსა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობას შორის ურთიერთდამოკიდებულების წანამძღვარი;

ე) მოდელის მთავარი პარამეტრების — შრომის საგნების პირდაპირ და ნახარჯთა კოეფიციენტების საგეგმო პერიოდში გათვალისწინების შესაძლებლობის წანამძღვარი;

ვ) წანამძღვარი მოდელთა სტატიკურ ხასიათსა და მათში საწარმოო ლაგების არ არსებობის შესახებ;

ზ) პერსპექტიულ პერიოდში პროდუქციის წარმოების ზრდის შემზღვეველი ფაქტორების არ არსებობის წანამძღვარი;

მაგალითისათვის განვიხილოთ მატერიალური წარმოების სტრუქტურის განხილვის ხერხის წანამძღვარი. კლასიკურ დარგთაშორის ბალანსში წარმოების ტექნოლოგიური ვარიანტით გამოშვება, მხოლოდ ერთი სახის პროდუქტს და საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმას შეესაბამება წარმოების ერთი ტექნოლოგიური ვარიანტი. თუ დავუშვებთ, რომ საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმას შეესაბამება წარმოების რამოდენიმე ტექნოლოგიური ვარიანტი, მაშინ შეიძლება შედგეს დარგთაშორისი ბალანსი პროდუქციის ცალკეულ სახეთა წარმოების ტექნოლოგიურ ვარიანტთა გათვალისწინებით. ასეთ პირობებში პროდუქციის წარმოების ზრდის შემზღვეველ ფაქტორთა წანამძღვარების არ არსებობა პერსპექტიულ პერიოდში, ოპტიმალური დარგთაშორისი ბალანსის აგების შესაძლებლობას იძლევა; ეს უკანასკნელი აიგება პრინციპით — „პროდუქტი — პროდუქტი“, და ითვალისწინებს წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიურ ვარიანტს (ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოცემული უნდა იყოს მიზნობრივი ფუნქცია). თუ ამასთანავე დავუშვებთ, რომ წარმოების ტექნოლოგიურ ვარიანტს შეუძლია რამდენიმე სახის პროდუქციის გამოშვება, მაშინ შეიძლება შედგეს დარგთაშორისი ოპტიმალური დაგეგმვის მოდელთა სისტემა.

დინამიკური მოდელის აგებისათვის უნდა უარვყოთ მოდელის სტატიკური ხასიათისა და მათში საწარმოო ლაგთა არ არსებობის წანამძღვარი (თუ მოდელი არ არის „ნახევრადდინამიკური“). სტატიკური მოდელის ზოგიერთი ეგზოგენურად მოცემული ცვლადი — დინამიკურ მოდელში იქნება ენდოგენური. პირველ ყოვლისა, ეს ეხება კაპიტალურ დაბანდებათა განმსაზღვრელ მაჩვენებლებს, რომლებიც დინამიკური მოდელის საბოლოო პროდუქტთა შემადგენლობაში არ ჩაირთვებიან, მაგრამ დინამიკაში მკვეთრად გამოხატულ პროდუქციის მოცულობასთან არიან დაკავშირებულნი. გეგმური პერიოდის რომელიმე წელს პროდუქციის ნამატი უშუალოდ უკავშირდება წინა წლების კაპიტალურ დაბანდებებს, ამიტომ საგეგმო პერიოდის კონკრეტული წლი-



სათვის კაპიტალურ დაბანდებათა საპირობება დინამიკურ მოდელში გამოქვეყნებული ნარეობს სისტემის ამოხსნიდან.

ამჟამად დამუშავებულია დინამიკურ მოდელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ემყარება დარგთაშორისი ბალანსის სქემას, როგორც სახალხო მეურნეობისთვის მთლიანად, ისე — რეგიონებისათვის.

გაცილებით მარტივ დინამიკურ მოდელებს მიეკუთვნებიან მოდლები უკუტრეკურისით („ნახევრადდინამიკური“ მოდლები), რომლებშიც გაითვლება დარგთაშორისი ბალანსის სტატიკური მოდელი საგვეგმო პერიოდის უკანასკნელი (ბოლო) წლისათვის, ხოლო კაპიტალური დაბანდებანი საგვეგმო პერიოდის ცალკეული წლებისათვის მოიძებნება იმ შეფარდების საფუძველზე, რომელიც მიიღება დროში კაპიტალური დაბანდებების ცვლილებათა კანონზომიერებთ მიღებულ დაშვებათა შესაბამისად. ეკონომიკური სისტემა, რომელსაც მოცემული მოდელი ასახავს, საკმაოდ დიდი უნდა იყოს დარგთა განვითარების მკვეთრი სტრუქტურული ძვრების გარეშე, სხვაგვარად დაირღვევა დაუმთავრებელ მშენებლობის სტაბილურობა. ამ ტიპის მოდელის მაგალითს წარმოადგენს მოდელი [4], რომელიც რეგიონისთვის არის დამუშავებული.

უფრო რთულ მოდლებს წარმოადგენენ რეკურენტული მოდლები, რომლებშიც საგვეგმო პერიოდის ყოველი წლისათვის — პირველი წლიდან დაწყებული — ხდება წარმოების მოცულობათა და კაპიტალურ დაბანდებათა ეტაპური გათვლა. ყოველი მომდევნო შემდგომი წლის ამოხსნათა შედეგები განისაზღვრებიან წინა წლებისათვის მიღებული ამონახსნებით და მომდევნო პერიოდებში წარმოების დინამიკაზე კაპიტალურ დაბანდებათა ზემოქმედების ეგზოგენურად განსაზღვრული მახასიათებლებით.

გაცილებით უფრო რთულ მოდლებს წარმოადგენენ ე. წ. „მთლიანად დინამიკური“ მოდლები, რომლებშიც ნათლადაა გათვალისწინებული საგვეგმო პერიოდში წარმოების მოცულობისა და ძირითად საწარმოო ფონდებს შორის პირდაპირი და უკუკავშირი. ასეთი ტიპის მაგალითს წარმოადგენს მოდელი [5], რომლის ძირითადი შეფარდებებია პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ბალანსი და ძირითად ფონდების ბალანსი. ამათ დაემატება კიდევ ერთი შეფარდება, კერძოდ ის, რომელიც ამყარებს კავშირს საგვეგმო პერიოდის ბოლო წლებში ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედებისა და მათი დაგეგმვის შემდგომ პერიოდს შორის.

ექვტორულ-მატრიცული ფორმით მოდელი შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:

$$(E - A_t) X_t - \sum_{\tau=1}^{t+\theta-1} B_{t,\tau} \Delta \Phi_{\tau} = Y_t;$$

$$F_t X_t - \sum_{i=1}^{t-1} (E - Z_{t,i}) \Delta \Phi_i - A_t \Delta \Phi_t = \Phi_t;$$

$$- \sum_{\tau=z-1}^x \Pi_{t,\tau} \Delta \Phi_{\tau} + \Delta \Phi_{\eta} = 0$$

$$(t = 1, 2, \dots, \chi, \tau = 1, \dots, \chi, \chi + 1, \dots, \chi + \theta - 1)$$

სადაც A_t პირდაპირ დანახარჯთა კოეფიციენტების მატრიცაა; $Z B_{t,\tau}$ ორი მატრიცის ნამრავლი, პირველი მათგანის ელემენტები ახასიათებენ i -ურს სახის კაპიტალურ დაბანდებათა საპირობებას t -ურ წელს j -ურ დარგში ძირითად

თადი ფონდების შექმნისათვის ერთეული კაპიტალური სამუშაოს განსახორციელებლად, ხოლო მეორე მატრიცის ელემენტები — კაპიტალურ დაბანდებათა წილს, რომელიც საგეგმო პერიოდის ცალკეულ წლებზე მოდის და უზრუნველყოფს j -ურ დარგში ამ პერიოდის ყოველ წელს ძირითადი ფონდების ამოქმედებას;

$\Delta\Phi_r$ არის ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ფაქტორი r -ურ წელს;

F_i არის ფონდტევადობის დიაგონალური მატრიცა, რომელიც ახასიათებს პროდუქციის ერთეულზე ძირითად ფონდთა მოთხოვნას;

$Z_{1,r}$ — t -ურ წელში j -იური დარგის ძირითადი ფონდების მწყობრიდან გასვლის კოეფიციენტთა დიაგონალური მატრიცაა, რომლებიც შეყვანილია მოქმედებაში ან სახეზე იმყოფება r წელს. მათი სიდიდე გაიანგარიშება სახეზე არსებული ძირითადი ფონდების ერთეულზე;

A_t — j -ურ დარგში t -ურ წელს ძირითადი საწარმოო ფონდების მოქმედებაში ფაქტიური შეყვანის კოეფიციენტი დიაგონალური მატრიცა;

$D_{j,r} - d_j(x_j)$ კოეფიციენტთა დიაგონალური მატრიცა, რომელიც გვჩვენებს X წელს ძირითადი ფონდების ამოქმედების დამოკიდებულებას x წელს ძირითადი ფონდების ამოქმედებასთან;

X საგეგმო პერიოდის უკანასკნელი წლის ინდექსი;

O ნულოვანი ვექტორი — სვეტი;

θ კაპიტალურ დაბანდებათა ლაგის მაქსიმალური ხანგრძლივობა.

მოდელის ამოხსნა დაიყვანება საგეგმო პერიოდის წლების მიხედვით პროდუქციის უცნობ მოცულობათა ვექტორისა და ძირითადი ფონდების შეყვანის უცნობ სიდიდეთა ვექტორის პოვნამდე.

დინამიკური მოდელების შედგენაზე გაწეულმა შრომამ ოპტიმალური დინამიკური მოდელების აგებასა და გათვლაზე გადასვლის საფუძველი შექმნა. ამჟამად, ოპტიმალურ დინამიკურ მოდელთა დამუშავება განსაკუთრებულ აქტიულობას იხვეჭს, რადგან ოპტიმალურობის მოთხოვნა უმნიშვნელოვანესი ხდება დაგეგმვის პრაქტიკაში.

ამჟამად დამუშავებულია მრავალი სხვადასხვაგვარი ოპტიმიზაციური დინამიკური მოდელი, რომლებიც ასახავენ სახალხო მეურნეობას მთლიანად, დარგებს ან დარგთა კომპლექსებს, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობა არსებობს ისეთი ნიმუშებისა, რომლებიც ეხებიან რეგიონულ ოპტიმიზაციურ დინამიკურ მოდელთა დამუშავებას [6—9]. ეს აიხსნება მათი აგების დროს აღძრული მრავალი ისეთი სიძნელით, როგორიცაა სახალხო მეურნეობრივი და რეგიონალურ ინტერესთა გათვალისწინებისა და შეთანხმებულობის აღრიცხვის აუცილებლობა, ოპტიმალურობის რეგიონულ კრიტერიუმთა დამოკიდებულებანი სახალხო მეურნეობრივთან, აგრეთვე სხვა რაიონების თავისებურებათა აღრიცხვის აუცილებლობა. რაიონულ თავისებურებათა აღრიცხვა იწვევს მოდელში დამატებით სპეციფიკურ შეფარდებათა შეტანის აუცილებლობას (მაგალითად, შეზღუდვანი არა დამატებითს შეზიდვაზე, პროდუქციის გაზიდვის ბალანსები).

როდესაც რაიონული ოპტიმიზაციის მოდელზე ვლაპარაკობთ, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ოპტიმალური გეგმის ცალკეული ტერიტორიების მიხედვით შედგენა არ შეიძლება მთლიანად ქვეყნის სახალხო მეურნეობის ოპტიმალური განვითარების სისტემის გარეშე. ცალკეულ ეკონომი-

კურ ობიექტთა ოპტიმიზაციური მოდელების შექმნა, მთლიანი სისტემის სწავლის გარეშე, იწვევს ეკონომიკური სინამდვილის გამარტივებას; ქვესისტემათა ლოკალურ ოპტიმუმთა ერთიანობას არ შეუძლია სისტემის გლობალური ოპტიმუმის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მოდელირება, როგორც იერარქიულად ორგანიზებულ ობიექტთა (სახალხო მეურნეობის — მთლიანად, დარგების, ტერიტორიალური კომპლექსების) ურთიერთკავშირები იწვევს რთული ობიექტის ოპტიმიზაციის პროცესთა ორგანიზების აუცილებლობას, მათი ლოკალური რეგულაციის ოპტიმიზაციის მიმდევრობათა სახით და მათი ურთიერთკავშირის.

ოპტიმალური დაგეგმვის მოდელებში ოპტიმიზაციის ობიექტებად, ფაქტურად შეიძლება იყოს ცვლადთა სამი ჯგუფი. პროდუქციის წარმოების ხერხები, საწარმოო სიმძლავრეთა შექმნის ხერხები და საბოლოო მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხერხები. იმისათვის რომ დაისვას ოპტიმალური დაგეგმვის რომელიმე ამოცანა, აუცილებელია მივმართოთ ოპტიმალურობის კრიტერიუმებს. ოპტიმალურობის გარკვეულ კრიტერიუმის ამორჩევა გავლენას არ ახდენს მოდელის კონსტრუქციაზე, ამიტომ თითოეული ამოცანისათვის შეიძლება განიხილოს რამოდენიმე სხვადასხვაგვარი კრიტერიუმი.

ამჟამად საინჟინერო საკითხი: ერთიანი უნდა იყოს თუ არა რეგიონული მოდელისათვის ოპტიმალურობის კრიტერიუმი, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ამოცანათა გადასაწყვეტად.

ავტორთა უმრავლესობა დაასკვნის, რომ ოპტიმალურობის რაიონულ კრიტერიუმთა ამორჩევის დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, თუ რომელი პოზიციიდან განიხილება რაიონი: როგორც ელემენტი სახალხო მეურნეობის სისტემაში, თუ როგორც მოდელთა განსაზღვრული ერთობლიობა. ე. ი. ეკონომიკური რაიონის განხილვისას შეიძლება გამოვიდეთ მთელ სახელმწიფოებრივი ან რეგიონული ინტერესებიდან. [10, 11, 12]. ერთი მხრივ, რაიონის ეკონომიკის განვითარება ეფექტურად უნდა განხორციელდეს მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში ოპტიმალურობის კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს მისი განვითარების ეფექტურობა, „წარმოდგენილი როგორც გამოსავლის შესასვლელთან შეფარდება, ე. ი. შედეგის დამოკიდებულება დანახარჯთან (ან მათი სხვაობა) [11]. მეორე მხრივ ეკონომიკის განვითარება უნდა ხდებოდეს ისე, რომ ოპტიმალურად დაკმაყოფილდეს არასაწარმოო მოთხოვნა, ე. ი. მიღწეულ იქნას მოცემული რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდა, წარმოების სფეროსა და მოხმარების სფეროს შორის განსაზღვრულ პროპორციათა არსებობის აუცილებლობათა გათვალისწინება.

ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინტეგრირებულ სისტემაში წარმოების სტრუქტურის ოპტიმიზაცია ჩატარდეს. ე. ი. ბარანოვის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმის მიხედვით [7], კერძოდ, მოსახლეობის შემოსავლათა მაქსიმიზაციით, რაიონებს შორის ცხოვრების დონის გათანაბრების აუცილებლობის გათვალისწინებით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლებისაგან, რომელთა გაანგარიშება შეუძლებელია მხოლოდ დარგთაშორისი მოდელის საშუალებით. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების მეშვეობით გეგმის შესადგენად, რომელიც მოიცავს

წარმოების ეკონომიკური საქმიანობის ყველა მხარესა და სახალხო მეურნეობის იერარქულ სტრუქტურათა სხვადასხვა დონეს, აშკარად მუშავდება დაგეგმვის ინტეგრირებული სისტემები (მაგალითად [13]), სადაც ვხვდებით სხვადასხვა სახალხო მეურნეობრივ ამოცანათა გადაწყვეტისათვის განკუთვნილ მთელ რიგ მოდელებს. ასეთ სისტემებში ხდება მოსახლეობის რაოდენობისა და შრომითი რესურსების პროგნოზირება, გაიანგარიშება მშრომელთა შემოსავლისა და მატერიალური წარმოების დარგთა პროდუქციის მოხმარება მოსახლეობის მიერ, განისაზღვრება კაპიტალური დაბანდება საგეგმო პერიოდში, გაიანგარიშება სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, დარგებისა და მრავალდარგობრივი კომპლექსთა განვითარების გეგმური მაჩვენებლები და ა. შ. ასეთი სისტემის საფუძველი შეიძლება იყოს დარგთაშორისი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგ ამოცანათა გადაწყვეტას:

1. დაგეგმვის რეგიონალურ მოდელთა მაჩვენებლების დაკავშირებას ზედა დონის მოდელებთან, ე. ი. მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მოდელებთან;

2. ინტეგრირებული სისტემის სხვადასხვა მოდელებში (ბლოკებში) გაანგარიშებულ მაჩვენებლებთან შეთანხმებას;

3. ოპტიმალური ამოცანის გადაწყვეტის პროცესში სახალხო მეურნეობრივი რესურსების გადანაწილების ხარჯზე წარმოების განვითარების დარგობრივ გეგმათა ურთიერთკავშირს.

გამოვდივართ რა დარგთაშორისი მოდელების დამუშავების მიღწეული დონიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ შემდგომი მათი განვითარება უნდა მოხდეს გარკვეული მიმართულებით:

1. მოდელთა სტრუქტურის სრულყოფა, უფრო დაწვრილებით გათვალისწინება იმ ფაქტორებისა და დამოკიდებულებებისა, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიურ სისტემებს;

2. ოპტიმიზაციური გაანგარიშებების ჩატარება ოპტიმალურობის სხვადასხვა კრიტერიუმთა გამოყენებით, ყველაზე უფრო მისაღების განსაზღვრის მიზნით;

3. დაგეგმვის ინტეგრალურ სისტემებში დარგთაშორისი მოდელთა ჩართვა და დარგთაშორისი მოდელების საშუალებით ამ სისტემათა ბლოკების დაკავშირების მეთოდის დამუშავება.

ბუნებრივია, რომ რეგიონალურ დარგთაშორისი მოდელთა ისეთ დონემდე აყვანა, რომლის დროსაც ისინი გადაიქცევიან დაგეგმვის აუცილებელ ელემენტად, მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდსა და სპეციალისტთა ფართო წრის დაძაბულ შრომას, მაგრამ მათი სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის პრაქტიკაში გამოყენება უზრუნველყოფს თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებას მეურნეობის განვითარების გეგმათა შედგენაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის გეგმურ გადაწყვეტილებათა ეფექტურობას.

ლიტერატურა

- 1 Федоренко Н. П. О разработке системы оптимального функционирования экономики. М., изд-во «Наука», 1968.
- 2 Кекелидзе М. В. Анализ межотраслевых связей республики, М., изд-во «Наука», 1968.

3. Моделирование народнохозяйственных процессов. М., «Экономика», 1973.
 4. Сатуновский Л. М. Балансовые динамические модели планирования производства и распределения продукции в республике (на примере Литовской ССР), «Динамические модели территориального планирования». М., изд-во «Наука», 1972.
 5. Баранов Э. Ф. Проблемы разработки схемы динамического межотраслевого баланса. «Экономика и математические методы», т. 4, вып. 1. 1968.
 6. Гаврилец Ю. Н., Дадаия В. С., Лейбкинд Ю. Р. Опыт оптимальных расчетов по районному межотраслевому балансу. «Применение математики в экономических исследованиях», т. III, М., изд-во «Мысль», 1965.
 7. Баранов Э. Ф. Проблемы моделирования динамики развития хозяйства экономических районов. «Оптимальное планирование и совершенствование управления народным хозяйством», М., изд-во «Наука», 1969.
 8. Сатуновский Л. М. Опыт разработки модели оптимального планирования народного хозяйства республики. «Экономика и математические методы». т. VII, вып. 5, 1971.
 9. Кольцов А. Оптимальные динамические модели планирования (обзор). «Динамические модели территориального планирования». М., изд-во «Наука», 1972.
 10. Л. Брантен, Ю. Эниусте и др. Методические вопросы составления и анализа планового динамического межотраслевого баланса народного хозяйства союзной республики. «Динамические модели территориального планирования». М., изд-во «Наука», 1972.
 11. Коссов В. В. Методические аспекты оптимизации территориального планирования. «Экономика и математические методы», т. 8, вып. 6, 1972.
 12. Казакевич Д. М. О единстве территориального и отраслевого планирования развития производства. «Экономика и математические методы», т. 10, вып. 4, 1974.
 13. Райцкас Р. Л. Интегрированная система планирования народного хозяйства союзной республики. Вильнюс, изд-во «Минтис», 1972.
-

ლელია გუბუშვილი

მელიორაციის როლი სუბტროპიკული მუხრანობის
ბანვითარებაში (1965—1970 წწ.)

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარება, მისი დარგების რაციონალური შეთანაწყოება და სოფლის მეურნეობის კულტურების სწორი გაადგილება დიდად არის დამოკიდებული სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებაზე. საქართველოს სსრ მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთია, სადაც მრეწველური მასშტაბით ფართოდაა წარმოადგენილი სუბტროპიკული კულტურები (ჩაი, ციტრუსები, ტუნჯო, კეთილშობილი დაუნა, ბამბუკი, სუბტროპიკული ხურმა, ეთერზეთოვანი მცენარეები, სამკურნალო-ტექნიკური და სხვ.). აქ საკმაოდ დიდი ზეგდრინწონა აქვს მებოსტნეობას (ადრეულსა და საგვიანოს), მუხრანობას (ღვინისა და სუფურის ყურძნისათვის) და მეხილეობას. სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება განაპირობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას. როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორია, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით, იყოფა ორ ძირითად, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. საქართველოს დასავლეთი ნაწილი ხასიათდება ნოტიო, სუბტროპიკული, ხოლო ამოსავლეთი — მშრალი, კონტინენტური ჰავით. ამიტომ მელიორაცია თუმცა არაერთნაირი ინტენსივობით, თითქმის ორივე ნაწილში გამოიყენება. ამასთან მელიორაციის როლი და ეკონომიკური მნიშვნელობა განსხვავებულია ერთმანეთისაგან. კერძოდ, ამოსავლეთ საქართველოში იგი მიმართულია კლიმატის ჰარბი სიმშრალის წინააღმდეგ, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი პირიქით — ჰარბიანიანობასთან საბრძოლველად. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში წლიური ნალექები 1000 მმ-ზე მეტია, მაგრამ ის წლის პერიოდში მტკადად უთანაბრად ნაწილდება, რის გამოც ვარკვეულ პერიოდებში ნიადაგი ტენის სიმცირეს განიცდის. ამიტომ სუბტროპიკული კულტურების მოწყობა და შესაბამისი ირიგაციული მშენებლობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში აუცილებელია, რაც ხელს შეუწყობს ყოველგვარ კლიმატურ პირობებში როგორც ჩაის მწვანე ფოთლის, ისე სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდას და მყარი მოსავლის მიღებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა სოფლის-მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებზე მსჯელობისას განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება, აგრეთვე, მორწყვაზე, მისი ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების საკითხებზე. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიან ნარგავებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი, აუცილებელია შემდგომ განვითარდეს ხილის, ყურძნის, ჩაის სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურების პროდუქციის წარმოება. ცხადია, ეს პირველ რიგში, საქართველოს სსრ ეხება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ზემოხსენებულ კულტურათა ძირითადი მწარმოებელი ჩვენი რესპუბლიკაა.

პარტიის XXIII ყრილობამ, ხოლო შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმმა სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად პირობად აღიარეს მელიორაციულ სამუშაოთა უკვე დასაბუთებული გრანდიოზული პროგრამის შესრულება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მარცვლეული და სხვა სოფლის მეურნეობის კულტურების მაღალი მოსავლის მიღება. პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „უახლოესი ათწლეულის მანძილზე გადიდდეს სარწყავი მიწების ფართობები 7—8 მილიონი



პექტარით და ამოშრობილი მიწებისა 15—16 მილიონი ჰექტარით, 1975 წელს მელიორირებული მიწების საერთო ფართობი ჩვენს ქვეყანაში გადიდება 37—39 მილიონ ჰექტარამდე¹.

1966 წლის მაისის პლენუმის შემდგომ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიწილა მელიორაციული სამუშაოები.

პროფ. ნ. იაშვილი წერს: „მელიორაცია მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგი უზრუნველყოფს ყველაზე ჭირფასი და შრომნატკადი კულტურების მოსავლიანობის მაღალ ნამეტს, როცა მათი წარმოება ძველია მელიორაციის გარეშე. ყოველ ჰექტარ სარწყავ მიწაზე შეიძლება და კიდევ უნდა ზვიდოთ 2—3-ჯერ ნეტი მარცვლეული, ხილი, ყურძენი, ჩაი და სხვ., ვიდრე ურწყავზე, რასაკვირველია, ეს გულისხმობს მაღალ აგროტექნიკას². ზემოხსენებულის ნათესაყოფად ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, საიდანაც ჩანს, რომ ჩაის მწვანე ფოთლის მყარი მოსავლის მიღების აუცილებელი პირობაა მორწყვა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1
ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა წულუკიძის რაიონში³

ობიექტი, სადაც ჩატარდა მორწყვა	მორწყვის წელი	ჩაის მწვანე ფოთ. მოსავლიანობა I კა-ზე				ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის ზრდა მორწყვის შედეგად	
		ურწყავზე		სარწყავზე			
		კგ/კა	%	კგ/კა	%	კგ/კა	%
წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	1965	1366	100	1986	142	590	42
—	1966	1735	"	2998	173	1263	73
სოფ. გუბის კოლმეურნეობა	1966	1100	"	4200	382	3100	282
სოფ. გუბის —	1966	1300	"	3700	285	2400	185
სოფ. მათხოჯის ლენინის სახ. კოლმეურნეობა	1965	1850	"	3500	189	1650	89
სოფ. პატარა ჩხიანის კოლმეურნეობა	1966	1500	"	2800	187	1300	87

როგორც ჩანს, სარწყავ ფართობზე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა მკვეთრად იზრდება ურწყავთან შედარებით; მაგალითად: წულუკიძის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1965 წ. ჩაის მწვანე ფოთლი ჰექტარობით მიღებული იქნა ურწყავზე — 1396 კგ, ხოლო სარწყავზე — 1986 კგ, ე. ი. მოსავლიანობა გაიზარდა 42%-ით. 1966 წ. იმავე ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ურწყავზე მიღებული იქნა 1735 კგ, ხოლო სარწყავზე — 2998 კგ ჩაის ფოთლი. ზრდა შეადგენდა 73%-ს, აქ, რა თქმა უნდა ჩატარებულ იქნა შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რწყვის ცნობილ ხერხებს შორის ყველაზე უფრო პროგრესულია — ტექნიკურად საუკეთესო და ეკონომიკურად ეფექტური დაწვივებით მორწყვა. „... ჩაის მეურნეობაში ამყამად წინ მიდის ხელოვნური დაწვივების გზით მორწყვის საქმე, რასაც დიდი მნიშვნელობა ექ-

1 სკკ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1966) პლენუმის მასალები, თბ., 1966, გვ. 5.
 2 ნ. იაშვილი. მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, I, თბ., 1970, გვ. 154.
 3 Д. Бакрадзе. Экономическая эффективность вложений в ирригацию на чайных плантациях и виноградиках Грузии, Тб., 1970, стр. 111.

ნება ჩაის წარმოების გადიდებისათვის⁴. მორწყვის ეს ხერხი უებარია რაიონებსა და ბორცვ-გორაკიან ფართობზე. დაწვიმებით მორწყვა გამოყენებულ უნდა იქნეს დიდ ქანობიან ფართობებზე, ავრეთვე ისეთ ნიადაგებზე, რომლებიც ხასიათდება გრუნტის წყლების მაღლა დგომით და წარმოადგენს გაბმულ ერთიან ნარგავ-ნათესებს. ეს ხერხი, პირველ რიგში, გამოიყენება ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსარწყავად, სულ მზარდი მასშტაბით, ჩაისა და პიდროტექნიკური ინსტიტუტების მუშაობით დამტკიცებულია ასეთი რწყვის ეფექტურობა⁵.

სუბტროპიკული მეურნეობის, კერძოდ კი ჩაის კულტურის განვითარებაში მორწყვის დიდ მნიშვნელობაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს წყალტუბოს რაიონის რამდენიმე წლის მასალის ანალიზი, რომლის საფუძველზეც ზოგიერთი სავარაუდო დასკვნა გამოვიტანეთ. წყალტუბოს რაიონში ირწყვება ზედა მესხეთის, ქვედა მესხეთის, მუხიანის, მალაკის ლენინის სახელობის, მალაკის რუსთაველის სახელობის, გუმბრის, გვიშტიბის, წყალტუბოს, ფარცხანაყანების კალინინის სახ. და ფარცხანაყანების ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობები. ქვემოთ მოგვყავს ცხრილი წყალტუბოს რაიონის ზემოხსენებულ კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის შესახებ (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში (ცენტნერებით)⁶

კოლმეურნეობები, რომლებიც ირწყვება	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.	1970 წ.	1970 წ. %-ით 1965 წ.-თან შედარებით
ზედა მესხეთის	11	20,3	24,2	19,2	31,5	30,3	275,4
ქვედა მესხეთის	24,8	24,0	24,6	21,3	32,3	31,0	125,0
მუხიანის	17,0	15,0	24,5	22,0	22,5	31,8	187,2
მალაკის ლენინის სახ.	20,8	29,1	25,2	21,1	23,9	24,0	115,4
მალაკის რუსთაველის სახ.	17,0	30,6	28,7	23,0	24,0	27,5	161,8
გუმბრის	24	29,6	27,8	25,3	25,4	30,0	125,0
გვიშტიბის	16,8	23,6	23	21,0	22,6	27,1	161,3
წყალტუბოს	12,3	19,8	18,2	18,0	23,3	21,4	174,0
ფარცხანაყანების კალინინის სახ.	15,0	18	19,9	14,0	15,0	17,5	115,1
ფარცხანაყანების ჟდანოვის სახ.	39,2	54,1	50,6	34,4	44,2	40,2	102,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, წყალტუბოს რაიონის იმ კოლმეურნეობებში, სადაც მორწყვის ღონისძიებები ტარდება მკვეთრად იზრდება ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა. 1970 წ., 1965 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა (პროცენტობით): ზედა მესხეთის კოლმეურნეობაში — 175,4, ქვედა მესხეთის — 25,0, მუხიანის — 87,2, მალაკის ლენინის სახ. — 15,4, მალაკის რუსთაველის სახ. — 61,8, გუმბრის — 25,0, გვიშტიბის — 61,3, წყალტუბოს — 74,0, ფარცხანაყანების კალინინის სახ. — 15,1, ფარცხანაყანების

4 ბ. ხასია. სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, II, თბ., 1962, გვ. 289.

5 ნ. იაშვილი. მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, I, გვ. 167.

6 ცხრილი შედგენილია წყალტუბოს სოფლის მეურნეობის სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით.

9. „მაინე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1975, № 4



ბის უდანოვის სახ. — 2,6. წყალტუბოს რაიონში უნდა მორწყულიყო სოფლისმეურნეობრივი კულტურა (ჰექტარობით): 1965 წ. — 17548, 1966 წ. — 17548, 1967 წ. — 17517, 1968 წ. — 15701, 1969 წ. — 15634, 1970 წ. — 15607, ფაქტურად მოიარწყო — 1965 წ. — 8299, 1966 წ. — 4761, 1967 წ. — 2791, 1968 წ. — 8411, 1969 წ. — 14473, 1970 წ. — 13546. არ მორწყულა 1965 წ. — 9249, 1966 წ. — 12767, 1967 წ. — 14726, 1968 წ. — 7290, 1969 წ. — 1161, 1970 წ. — 2061. 1 ჰა სარწყავ ფართობზე მოსავლიანობა შეადგენდა (ცენტნერობით): მარცვლეულისა 1965 წ. — 18,0 1966 წ. — 19,6, 1967 წ. — 19,7, 1968 წ. — 15,6, 1969 წ. — 10,9, 1970 წ. — 10,0. ბოსტნეულისა: 1965 წ. — 76,0, 1966 წ. — 104,4, 1967 წ. — 60,0, 1968 წ. — 56,1, 1969 წ. — 35,0, 1970 წ. — 42,3, ჩაისა — 1965 წ. — 32,0, 1966 წ. — 30,1, 1967 წ. — 32,4, 1968 წ. — 28,0, 1969 წ. — 28,8, 1970 წ. — 26,2.

ზემომოყვანილი მონაცემებით, ჩაის მოსავლიანობა ბოლო წლებში, 1965 წელთან შედარებით, შემცირდა. ჩვენი აზრით ამის მიზეზი, ურწყავი ფართობის ზრდა უნდა იყოს. ასე, მაგალითად: 1969 წ. მორწყვა არ ჩატარებულა 1161 ჰექტარზე, მათ შორის შიგამეურნეობრივი ქსელის მოუწესრიგებლობის გამო 450 ჰექტარზე, მოუშანდაკებლობის გამო — 500 ჰექტარზე, მორწყვა არ დასკირდა 211 ჰექტარს. 1970 წელს ურწყავი ფართობი გაიზარდა და 2061 ჰა შეადგინა. შიგამეურნეობრივი ქსელის მოუწესრიგებლობის გამო არ მორწყულა 1861 ჰა ფართობი, მოუშანდაკებლობის გამო — 196 ჰა. როგორც ვხედავთ აღნიშნულ რაიონში შრომის ორგანიზაციის საკითხები მოუწესრიგებელია. ურწყავი ფართობის ზრდა კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების ეფექტურობაზე.

1969 წელს ზუგდიდის რაიონის, ინჯირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ირწყვებოდა 500 ჰა ჩაის პლანტაცია. საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა სარწყავ ფართობზე შეადგენდა 60 ცენტნერს. რუხის კოლმეურნეობაში ირწყვებოდა 180 ჰა ჩაის პლანტაცია, სარწყავ ფართობზე საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა შეადგენდა 67,5 ცენტნერს, ურწყავზე — 43,4 ცენტნერს. ცაიშის იეუნარგიას სახ. კოლმეურნეობაში ირწყვებოდა 60 ჰა, ურწყავ ფართობზე საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა შეადგენდა 30 ც. ხოლო სარწყავზე — 45 ცენტნერს. კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ურწყავ ფართობზე ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 50 ცენტნერს შეადგენდა, ხოლო სარწყავზე — 62,5 ცენტნერს. მატება ჰექტარზე შეადგენდა 1450 კგ-ს ანუ 23%-ს⁷.

1970 წ. ზუგდიდის რაიონში ირწყვებოდა 12000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, აქედან ინჯირის მეურნეობაში 500 ჰექტარი, რუხში — 200 ჰა, რიყის კოლმეურნეობაში — 150 ჰა, კახათის მარქსის სახ. კოლმეურნეობაში — 130 ჰა, ცაიშის მეუნარგიას სახ. კოლმეურნეობაში — 80 ჰა. ჩხორობის უდანოვის სახ. კოლმეურნეობაში — 80 ჰექტარი.

1970 წ. საქართველოს სსრ მთლიანად ჩაის სარწყავი ფართობი კოლმეურნეობებში შეადგენდა 5790 ჰა, აქედან სრულმოსავლიანი იყო 5600 ჰა. მოსავლიანობა 1 ჰექტარზე უდრიდა 50 ცენტნერს; მთლიანი მოსავალი კი — 279879 ც. საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი ფართობი უდრიდა 470 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 4393 ჰა, მოსავლიანობა 1 ჰექტარზე იყო 47 ც.

⁷ მასალები აღებულია ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს 1969—1971 წწ. ანგარიშგებებიდან, გვ. 11.



მთლიანი მოსავალი—208592 ც. პირად დამხმარე მეურნეობაში სარწყავი ფართობი შეადგენდა 814 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 814 ჰა. მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 10 ც., მთლიანი მოსავალი—83340 ც. სულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებში მთლიანი სარწყავი ფართობი უდრიდა 11304 ჰა-ს, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 10807 ჰა, მოსავლიანობა 1 ჰექტარზე უდრიდა 53 ც., მთლიანი მოსავალი კი — 571811 ჰექტარს.

აფხაზეთის ასსრ-ს ჩაის სარწყავი ფართობი მთლიანად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უდრიდა 1352 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 1632 ჰა; მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 53 ც-ს, ხოლო მთლიანი მოსავალი—56680 ცენტნერს.

აზლა ვნახთ როგორი სურათია ურწყავ ფართობზე. ჩაის ურწყავი ფართობი კოლმეურნეობებში შეადგენდა 34767 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 30384 ჰა, მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე უდრიდა 49 ც., მთლიანი მოსავალი—1476689 ც. საბჭოთა მეურნეობებში მთლიანი ფართობი უდრიდა: 16953 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 11824 ჰა, მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 36 ც., მთლიანი მოსავალი—423136 ც., პირად დამხმარე მეურნეობებში მთლიანი ფართობი იყო 781 ჰა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 781 ჰა, მოსავლიანობა 1 ჰექტარზე აღწევდა—151 ც-ს, მთლიანი მოსავალი კი—118320 ც-ს. მთლიანად კოლმეურნეობებში საბჭოთა მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებში ჩაის ურწყავი ფართობი 52501 ჰა უდრიდა, მათ შორის სრულმოსავლიანი იყო 42989 ჰა, მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 47 ც., ხოლო მთლიანი მოსავალი—2018145 ცენტნერს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სარწყავ ფართობზე მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 50 ც., ხოლო ურწყავზე—49 ც. საბჭოთა მეურნეობებში სარწყავ ფართობზე მოსავლიანობა 1 ჰექტარზე შეადგენდა 47 ც და ურწყავზე—36 ცენტნერს.

პირად დამხმარე მეურნეობების სარწყავ ფართობზე მოსავლიანობა შეადგენდა 1 ჰექტარზე 102 ც, ხოლო ურწყავზე—151 ც. მთლიანი მოსავალი სარწყავ ფართობზე კოლმეურნეობებში შეადგენდა 1476689 ც, ურწყავზე—279879 ც. საბჭოთა მეურნეობებში სარწყავზე—208592 ც., ურწყავზე—423136 ც, პირად დამხმარე მეურნეობებში კი სარწყავზე—83310 ც, ურწყავზე—118320 ც. სულ მთლიანი მოსავალი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობების სარწყავ ფართობზე უდრიდა 571811 ც, ურწყავზე—2018145 ცენტნერს.

სარწყავი მიწების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტარდებოდა ინჟინრული და ნახევრად ინჟინრული სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია, შიგამეურნეობრივი ქსელის დაგეგმვის სრულყოფა და სხვა ღონისძიებანი. სარწყავქსელიანი მიწების არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, 1964 წ. იანვარს დაისახა ირიცატიულად მომზადებული მიწების მთლიანად ათვისების, ნათესების და მრავალწლიან ნარგავთა სარწყავი ფართობების მაქსიმალურად გამოყენების ღონისძიებები⁸.

⁸ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1922—1972, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 199.



აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად სარწყავი მიწების მოქმედება მნიშვნელოვნად განვითარდა. გაიზარდა სარწყავქსელიანი მიწების ფართობი, გაუმჯობესდა მისი გამოყენების ხარისხი, ამაღლდა მორწყვის როლი სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

1966—1970 წწ. საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების მიზნით გათვალისწინებული იყო 60 ათასი ჰა მიწის მორწყვა და არსებული სისტემების რეკონსტრუქცია, 148 ათასი ჰა მიწის წყლით მომარაგების გაუმჯობესება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1966 წ. ივნისის პლენუმმა გააანალიზა რა საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების მდგომარეობა, გამოავლინა სარწყავი სისტემების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახა სარწყავი მიწათმოქმედების ყოველმხრივი განვითარების ღონისძიებები. პლენუმის მიერ დასახული მელოორაციული ღონისძიებების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს წარმოების გადიდებისათვის.

ვნახოთ როგორი სურათი იყო ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 1968—1970 წლებში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილიდან ჩანს, რომ 1968 წელს სარწყავ ფართობზე, ურწყავთაგან შედარებით, მოსავლიანობა გადიდდა (პროცენტობით): მოქვის ჩაის ს/მ —40,2, აჩიგვარის —16,5, ინგირის —22,1, გეგუთის —11,2, დიდი ჭყონის —37,4, ნასაკირალის —24,2, 1969 წ. მოქვის —41,0, აჩიგვარის —7,7, ინგირის —12,3, გეგუთის —14,1, დიდი ჭყონის —8,9, ნასაკირალის —16,7; 1970 წელს: მოქვის —48,7, აჩიგვარის —11,1, გეგუთის —25,0, დიდი ჭყონის —25,0, წალენჯიხის —15,6, ლესიჯანის —12,1, ლაითურის —27,9.

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ირწყვებოდა როგორც ჩაი, ისე სხვა სუბტროპიკული კულტურები საშუალო ჰექტობრივი მოსავლიანობა სარწყავ ფართობზე, ურწყავთან შედარებით იზრდებოდა. მართალია, მეტ-ნაკლები ზომით თითოეულ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ მაინც ნათლად ჩანს რწყვის უპირატესობა. თუ წლების მიხედვით ავიღებთ იმავე მაჩვენებელს ვნახავთ, რომ 1968 წელთან შედარებით 1970 წ. მოქვის ჩაის ს/მ საშუალო ჰექტობრივი მოსავლიანობა გაიზარდა 40,2%-დან 48,7%-მდე; ასევე გეგუთის ჩაის ს/მ —11,2%-დან 25,0%-მდე.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საშუალო ჰექტობრივი მოსავლიანობა სარწყავზე, ურწყავთან შედარებით, გაიზარდა 16,5%, 1969 წ. —7,7%, ხოლო 1970 წ. —11,1%; აგრეთვე 1968 წ. დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში —37,4%, 1969 წ. —8,9%, ხოლო 1970 წ. —25%.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1970 წ. სარწყავი მიწების ფართობმა რესპუბლიკაში — 347 ათას ჰა-ს მიაღწია, დაშრობილი მიწებისამ კი —139 ათას ჰა-ს.

მელოორაციულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას. მელოორაციულ ღონისძიებათა შემდგომი განხორციელებისათვის საბჭოთა სახელმწიფო გამოყოფს საჭირო ოდენობით კაპიტალურ დაბანდებას, „პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდებას, კაპიტალურ სამუშაოთა ყველაზე ხელსაყრელ და ეკო-



მორწყვის შედეგები 1968—1970 წლებში⁹

წლები	ათვისებული მიწები	ჩაის საბჭოთა მეურნეობების დასახელება								
		მოქვის	აიბგარის	ინჯირის	გეჭვის	ღვინის	სასაქონლის	წალკის	უკანონის	ლაურის
1968	სარწყავი ფართობი (ჰა)	158	259	260	200	210	350	—	—	—
	აქედან გვეგმით	158	259	260	200	210	350	—	—	—
	მოირწყო ფაქტიურად	158	259	221	200	185	314	—	—	—
	საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა (ც)									
	ურწყავზე სარწყავზე	37,57 52,7	37,25 43,43	45,17 55,19	19,06 21,2	36,3 49,9	33,0 41,0	—	—	—
	სარწყავზე ურწყავთან შედარებით %-ად	40,2	16,5	22,1	11,2	37,4	24,2	—	—	—
1969	სარწყავი ფართობი (ჰა)	158	259	300	200	210	470	450	—	—
	აქედან გვეგმით	158	259	300	200	210	470	450	—	—
	მოირწყო ფაქტიურად	158	259	395	200	176	395	450	—	—
	საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა (ც)									
	ურწყავზე სარწყავზე	41,66 58,78	39,00 42,0	51,9 58,3	24,03 27,41	52,7 57,4	46,7 48,6	44,7 52,15	—	—
	სარწყავზე ურწყავთან შედარებით %-ად	41,0	7,7	12,3	14,1	0,9	4,0	16,7	—	—
1970	სარწყავი ფართობი (ჰა)	158	259	442	355	210	470	450	200	300
	აქედან გვეგმით	158	259	442	355	210	470	450	200	300
	მოირწყო ფაქტიურად	158	253	442	355	160	395	450	200	89
	საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა (ც)									
	ურწყავი სარწყავი	39 58	45 50	52 66	20 25	44 52	46,8 52	51 59	4 46	41 55
	სარწყავზე ურწყავთან შედარებით %-ად	48,7	11,1	26,9	25,0	25,0	11,1	15,6	12,1	27,9

ნომიურ მიმართულებათა არჩევას, კაპიტალურ დაბანდებათა ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უდიდესი მატების უზრუნველყოფას ამ დაბანდებათა ანაზღაურების ვადების შემცირებას¹⁰.

1965 წელს გალის, ხუმუშკერის, მზიურის, ჭუბურხინჯის, ქვემო ბარღების, ზემო ბარღების, სიდის, მერკულის, კინდლის, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ფოთის, ჭალისა და ღრმალელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, კოლხეთის, განთიადის სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობებში, ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობაში დაიხარჯა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე — 1171,6 ათ. მან., მოვლაზე — 4988,5 ათ. მან., 1966 წ. შესაბამისად: 870,4 და 1631,7 ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება შეადგენდა — 4806,2 ათ. მან., 1967 წ. გაშენებაზე დაიხარჯა 935,1 ათ. მან., მოვლაზე — 2774,2

⁹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის კოლხეთის დამრობისა და ათვისების განყოფილებაში დაცული მასალების მიხედვით.

¹⁰ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1967, გვ. 97.



ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 6223, 2 ათ. მან. 1968 წ. გაშენებაზე — 761,0 ათ. მან., მოვლაზე — 3520,1 ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება — 6779,5 ათ. მან., 1969 წ. გაშენებაზე — 708,3 ათ. მან., მოვლაზე — 3489,8 ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება — 7608,3 ათ. მან., 1970 წ. გაშენებაზე — 709,6 ათ. მან., მოვლაზე — 2308,3 ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება — 6165,9 ათ. მან. ამრიგად, როგორც ვხედავთ, კაპიტალურ დაბანდებათა დიდი ნაწილი მოდის მემცენარეობის სამუშაოზე. ამასთანავე დიდი თანხა იხარჯება საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-ყოფაცხოვრებითი, წყალგაყვანილობის ელექტრო-ტელეფონიზაციის და სხვა ობიექტების მშენებლობაზე. ყოველივე ეს კი აუცილებელია სარწყავი მიწების სოფლისმეურნეობრივი ათვისებისათვის.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის დაქობებულ და ჰარბტენიანი მიწების ამოშრობას და ათვისებას, რამდენადაც ეს ტერიტორია სოფლისმეურნეობრივი სპეციალიზაციის თვალსაზრისით შედის მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების ზონად მიჩნეულ რაიონში, რომელიც უნიკალურია მთელს საბჭოთა კავშირში. ამიტომ კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობისა და აგრომელიორაციულ სამუშაოთა კომპლექსის განხორციელების შემდეგ ეს ფართობი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ჩაის ციტრუსებისა და სხვა სოფლისმეურნეობრივი კულტურების ვააშენებლად.

1959—1965 წწ. კოლხეთის დაბლობის 17500 ჰექტარზე განხორციელდა მიწების მელიორაციული სამუშაოები. კოლხეთის დაშრობილი მიწების მრავალწლიანი ნარგავებისათვის ათვისების მიზნით კოლხეთის დაბლობზე 1959 წლიდან დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება. დაშრობილი მიწები, რომლებიც გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს ასათვისებლად მოითხოვდნენ დიდ მელიორაციულ სამუშაოებს. ამასთანავე გეგმა ითვალისწინებდა ახალი კულტურების გაშენებას. 1963—1966 წლებში (თუ არ ჩავთვლით უფრო ადრე დაარსებულ მეურნეობებს) ჩამოყალიბდა 6 საბჭოთა მეურნეობა. ესენია: კოლხეთისა და განთიადის სუბტროპიკული, ხუმუშკურის, მზიურის, მერკულისა და კინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა მიწის საერთო ფართობი შეადგენდა 11972 ჰექტარს. მეურნეობათა განვითარების დამტკიცებული პროექტების მიხედვით ამ მეურნეობებში მრავალწლიანი კულტურებისათვის ათვისებული უნდა იქნეს სულ 7518 ჰა დაშრობილი და წესრიგში მოყვანილი ფართობები. აქედან 1968 წლისათვის მეურნეობებმა აითვისეს და გააშენეს 3661 ჰა ფართობი.

განვიხილოთ კოლხეთის დაბლობზე ჩამოყალიბებული მეურნეობები ცალცალკე. ხუმუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა 1963 წ. მისი მიწის მთლიანი ფართობი 1970 წ. 1 იანვრისათვის შეადგენდა 5490 ჰა¹. ჩაის მწვანე ფოთლის მთლიანი მოსავალი უდრიდა 1968 წ. — 756 წ., 1969 წ. — 714 ტ. მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული იყო 10688,0 ათ. მან. კაპიტალური დაბანდება, აქედან დაიხარჯა 8106,0 ათ. მან. 1 ც. ჩაის ფოთლის თვითღირებულება შეადგენდა 65 მან. და 64 კაპ., მოგება — 106,2 ათ. მან.

მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა 1963 წ. მიწის მთლიანი ფართობი უდრიდა 1322 ჰა-ს. ჩაის პლანტაცია გაშენებულია 987 ჰა-ზე,

¹ მიწის მთლიანი ფართობი ყველა მეურნეობაში მოტანილია 1970 წ. 1 იანვრის მონაცემებით.

კეთილშობილი დაფნა—5 ჰა-ზე, ტუნგო—30 ჰა-ზე. ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი 1968 წ. იყო 164,6 ტ., 1970 წ.—176 ტ. გათვალისწინებული იყო 7965,0 ათ. მანეთის კაპიტალური დაბანდება, აქედან ათვისებულ იქნა—7947,0 ათ. მან. 1 ც. ჩაის ფოთლის თვითღირებულება შეადგენდა 59 მან. და 30 კაპ. ტუნგოსი—44 მან. და 27 კაპ., მოგება+63,1 მან.

მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა 1965 წ. მიწის მთლიანი ფართობი იყო 2081 ჰა, აქედან ჩაის პლანტაცია გაშენებულია 482 ჰა-ზე, ტუნგო—0,9 ჰა-ზე, ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი 1968 წ. უდრიდა 501,0 ტ., 1969 წ.—493,46 ტ. გათვალისწინებული იყო 7824,0 ათ. მან. კაპიტალური დაბანდება. ათვისებულ იქნა 4939,0 ათ. მან. ჩაის ფოთლის თვითღირებულება 1969 წ. უდრიდა 53 მან. და 82 კაპ., ტუნგოსი—25 მან. და 42 კაპ. მოგება—134,0 ათ. მან.

კინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა 1965 წ. მიწის მთლიანი ფართობი შეადგენდა 2002 ჰა. აქედან ჩაის პლანტაცია გაშენებულია 585,5 ჰა-ზე, კეთილშობილი დაფნა—2 ჰა-ზე, ტუნგო—2,5 ჰა-ზე, ჩაის ფოთლის მთლიანი მოსავალი 1968 წ. უდრიდა 199,8 ტ., 1969 წ.—199,1 ტ. სულ გათვალისწინებული იყო 9870,0 ათ. მან. კაპიტალური დაბანდება, ფაქტიურად ათვისეს 4081,0 მან. 1 ც ჩაის ფოთლის თვითღირებულება შეადგენდა 54 მან. და 90 კაპ., ტუნგოსი—44 მან. და 27 კაპ. მოგება—63,1 ათ. მან.

განთიადის სუბტროპიკული მეურნეობის, როემლიც 1965 წ. შეიქმნა, მიწის მთლიანი ფართობი შეადგენდა 1876 ჰა-ს. ჩაის პლანტაციას უკავია 144 ჰა, კეთილშობილი დაფნას—47,7 ჰა, ტუნგოს—2 ჰა. ჩაის მწვანე ფოთლის მთლიანი მოსავალი 1968 წ. უდრიდა 41,2 ტ. 1969 წ. 43,0 ტ. დაფნის ფოთლისა—1968 წ.—5,9 ტ, 1969 წ.—3,2 ტ. გათვალისწინებული იყო 9682,0 ათ. მან. კაპიტალური დაბანდება. ათვისებულ იქნა 3503,0 ათ. მან. 1968 წ. 1 ც. ჩაის ფოთლის თვითღირებულება უდრიდა 62 მან. 20 კაპ., დაფნის ფოთლისა—103 მან. 50 კაპ., მოგება შეადგენდა—15,0 ათ. მან.

ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (ჩამოყალიბდა 1968 წ.) მიწის მთლიანი ფართობი შეადგენდა 2857 ჰა-ს, ჩაის პლანტაციას ეკავა 175,3 ჰა, კეთილშობილი დაფნას—23,5 ჰა, ტუნგოს—28,8 ჰა. ჩაის მწვანე ფოთლის მთლიანი მოსავალი უდრიდა: 1968 წ.—41,2 ტ., 1969 წ.—43,0 ტ, დაფნის ფოთლისა—1968 წ.—5,9 ტ., 1969 წ.—3,2 ტ. გათვალისწინებული იყო 9540,0 ათ. მან. კაპიტალური დაბანდება, აქედან დაიხარჯა 3503,0 ათ. მან. 1 ც ჩაის ფოთლის თვითღირებულება უდრიდა 62 მან. და 20 კაპ., დაფნის ფოთლისა—103 მან. და 50 კაპ. მოგება—15,0 ათ. მან.

ქვემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის (1969 წ.) მიწის მთლიანი ფართობი იყო 2339 ჰა. ჩაის პლანტაციას ეკავა 235,6 ჰა, ჩაის ფოთლის მოსავალი 1969 წ. შეადგენდა 1107 ტ.; სულ დაიხარჯა ყველა სახის სამუშაოზე 226,0 ათ. მანეთი. 1 ც ჩაის ფოთლის თვითღირებულება უდრიდა 53 მან. და 80 კაპ., მოგება+255,6 მან.

ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის (1969 წ.) მთლიანი ფართობი უდრიდა 2154 ჰა-ს, ჩაის პლანტაციას ეკავა სულ 306 ჰა. მთლიანი მოსავალი 1969 წ. შეადგენდა—1213 ტ., კაპიტალური დაბანდება გათვალისწინებული იყო 1112,0 ათ. მან. რაოდენობით, დაიხარჯა 385,0 ათ. მან. 1 ც ჩაის ფოთლის თვითღირებულება უდრიდა 63 მან. და 01 კაპ. მოგება+4236,8 მან.

მეურნეობათა გენერალური გეგმით გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, მშენებლობის დამთავრების წელს გაეშენებინათ სულ — კოლხეთის სუბტროპიკულ მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 607 ჰა, ციტრუსები — 48 ჰა, კეთილშობილი დაფნა — 97 ჰა, ტუნგო — 45 ჰა; განთიადის სუბტროპიკულ მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 770 ჰა, კეთილშობილი დაფნა — 179 ჰა, ლანჩხეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 572,6 ჰა, ციტრუსები — 22,1 ჰა, კეთილშობილი დაფნა — 42,9 ჰა, ტუნგო — 6,7 ჰა; ქვემო ბარლების ჩაის საბჭოთა მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 1307 ჰა, ზემო ბარლების ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — 762 ჰა; ზემუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 1412 ჰა, კეთილშობილი დაფნა — 92,2 ჰა; მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — ჩაის პლანტაცია — 1256 ჰა, ტუნგო — 32,5 ჰა; მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში — ჩაის პლანტაცია — 1067 ჰა; კეთილშობილი დაფნა — 30 ჰა, ტუნგო — 69,3 ჰა; კინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში: ჩაის პლანტაცია — 1147 ჰა, კეთილშობილი დაფნა — 2 ჰა, ტუნგო — 109 ჰა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ მეურნეობებში არ არის დამთავრებული სრული დაშრობა, მათი გაწმენდა ტყე-ბუჩქნარისაგან, ამოძირკული მასალის ფართობებიდან გატანა, ორმოების ამოვსება და ნიადაგის გასწორება, მელიორაციული არხებისა და საწრეტი ქსელის გაყვანა, დაშრობილი ნიადაგების ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაუმჯობესება. არ არის დამუშავებული და საბოლოოდ დადგენილი კოლხეთის მიწებზე გაშენებული მრავალწლიანი ნარგავების ათვისებისა და მოვლის სავალდებულო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების წესებიც. მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი მიწები, რომლებიც გადაეცა მეურნეობებს ასათვისებლად, მოითხოვდნენ დიდი მელიორაციული სამუშაოს წინასწარ ჩატარებას, ყოველგვარი ვეგმის გარეშე რგავდნენ ახალ ნარგავებს. ეს იწვევდა მათ არასაკმაოდ ვანეითარებას ან დაღუპვას. მაგალითად, ზემუშკურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, წინასწარი პროექტისა და ნიადაგის კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარების გარეშე დარგული იქნა ჩაი 1963 წ. — 185 ჰა. 1964 წ. — 223 ჰა, 1965 წ. — 116 ჰა და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობა იყო მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების გარეშე დარგული იქნა ჩაი 1964 წ. — 293 ჰა, 1965 წ. — 163 ჰა და ა. შ.

საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიწების დაშრობისა და ათვისების მიზნით დიდი მელიორაციული და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება კოლხეთის დაბლობზე. ზემოხსენებულ სამუშაოთა ჩატარებას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. „საქსახწყალპროექტის“ გაანგარიშებით, კოლხეთის ჭაობის ამოშრობა და 193 ათასი ჰექტარი მიწის სოფლისმეურნეობრივი ათვისება შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს დამატებით აწარმოოს 100 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთლი, 25 ტონაზე მეტი ციტრუსი, 30 ათასი ტონა ხილი, დაახლოებით 250 ტ. ბოსტნეული, 20 ათ. ტონამდე ტუნგო და სხვ. კოლხეთის დაბლობზე „1966 წლის პირველი იანვრისათვის დაშრობილი მიწების საერთო ფართობმა 66600 ჰექტარი შეადგინა. 30 წლის განმავლობაში საშუალოდ წლიურად დაშრობილი მიწების ბრუტო ფართობი 2000 ჰექტარს არ აღემატებოდა. მა-

შასადამე, კოლხეთის დაბლობის დაშრობა საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა¹².

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველომ ვერ უზრუნველყო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ფართობების დაშრობა და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება, ამიტომ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტმა დაადგინა 1968—1970 წწ. შემცირდეს ჩაისა და დაფნის პლანტაციების გაშენების გეგმები, კერძოდ ჩაის პლანტაციები უნდა გაშენდეს 1000 ჰექტარზე, მათ შორის 1968 წ.—300 ჰა, 1969 წ.—350 ჰა და 1970 წ.—350 ჰა. დაფნის პლანტაციები—200 ჰა, მათ შორის 1968 წ.—45 ჰა, 1969 წ.—70 ჰა და 1970 წ.—85 ჰა¹³.

კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი რამდენიმე ათეული ათასი ჰა მიწა ძირითადად ათვისებული უნდა იქნეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებით, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მიერ. ამიტომაც ზემოხსენებულმა ტრესტმა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად 1968 წ. შეიმუშავა წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებდა ხუმუშკურის, მზიურის, კოლხეთისა და განთიადის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობებისათვის აქამდე გადაცემული კოლხეთის მიწების მთლიან დაშრობას, მათ გაწმენდას ტყე-ბუჩქნარებისაგან, ამოძირკული მასალის ფართობებიდან აუცილებელ გატანას და მოსპობას, ორმოების ამოვსებას და ნიადაგის გასწორებას, დაშრობილ და ასათვისებლად მომზადებულ პლანტაციებზე მელიორაციული ქსელის საჭირო წყალგამტარობის უზრუნველყოფას და სხვ., ამასთან ზემო და ქვემო ბარდების ტერიტორიაზე ამოძირკული და დიდ გროვებად დაყრილი ხის ძირკვები დაუყოვნებლივ უნდა დიშალოს და ტერიტორიიდან გატანილ იქნეს, აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დანარჩენი სამუშაოების დამთავრება იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი გახდეს ნაკვეთების მიღება და მეურნეობების ჩამოყალიბება.

1968 წ. სექტემბრიდან აიკრძალა ჭარბტენიან ნიადაგებზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება ფართობების სრული დაშრობისა და ნიადაგის ფიზიკური სტრუქტურის წინასწარი გაუმჯობესების გარეშე იმ წესების მიხედვით, რომლებსაც დაადგენს სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ XXIII ყრილობის დირექტივებში, სადაც შევამბუნელია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები და დასახულია ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მელიორაციულ სამუშაოთა დიდი პროგრამაა გათვალისწინებული კოლხეთის დაბლობზე. დირექტივებში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ უნდა „უზრუნველყოს ჩაის, ყურძნის, ციტრუსოვანი კულტურების, თამბაქოს წარმოების შემდგომი ზრდა უმთავრესად მოსავლიანობის გადიდების გზით. მოაწყოს 60 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების ექსპლოატაცია. მოაწყოს სამელიორაციო სამუშაოები კოლხეთის დაბლობში 90 ათას ჰექტარ ფართობზე“¹⁴. ამ სამუშაოთა ჩატა-

12 მ. დვინჯილია. კოლხეთის დაბლობის ათვისების ეკონომიური ეფექტიურობისა და აგროტექნიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 19.

13 მასალები აღებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის კოლხეთის დაშრობისა და ათვისების განყოფილებიდან.

14 სკვპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966, გვ. 337.

რება სუბტროპიკულ კულტურათა პროდუქციის შემდგომი მძლავრი გადიდების საფუძველი გახდება.

კოლხეთის დაბლობის დაშრობა და ათვისება დიდძალ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს. 1965 წელს ოჩხამურის, ვალის, ლესიჭინის, ზუმუშკურის, მზიურის, ჭუბურხინჯის, ქვემო ბარდების, ზემო ბარდების, სიდის, მერკულის, კინდლის, ლანჩხუთის, ზედა ეწერის, ონარიის, ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ნოსირის და ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობებში, კოლხეთისა და განთიადის სუბტროპიკულ მეურნეობებში, შხევის, გონიოს, მახვილაურის, ურეკის, მზიურისა და ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად დაიხარჯა—1453,6 წ; ათ. მან., მოვლახე—1776,4 ათ. მან. სულ კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 6484,5 ათ. მან. იმავე მეურნეობებში შესაბამისად დაიხარჯა: 1966 წ; 1256,1 ათ. მან.; 2535 ათ. მან.; 6832,5 ათ. მან., 1967 წ.—1492,7 მან., 4905,5 ათ. მან.; 10179,9 ათ. მან., 1967 წ.—1492,7 ათ. მან.; 4905,5 ათ. მან.; 10179,9 ათ. მან., 1968 წ.—923,5 ათ. მან.; 5502,9 ათ. მან.; 10375,5 ათ. მან.; 1969 წ.—979,2 ათ. მან.; 5418,0 ათ. მან.; 11160,3 ათ. მან.; 1970 წ. „1006,9 ათ. მან.; 4000,7 ათ. მან.; 19189,7 ათ. მან.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ყოველწლიურად ზრდის კაპიტალურ დაბანდებებს დაშრობილ მიწებზე როგორც მემცენარეობის, ისე მშენებლობის და სხვა სამუშაოებისათვის.

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის და სხვა ხელისშემწყობ პირობათა ვითარებაში შესაძლებელი იქნება სუბტროპიკული მეურნეობის და საერთოდ სარწყავი მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება.

სკკპ XXIV ყრილობის შუქზე ახალი ამოცანები ისახება საქართველოს რესპუბლიკის წინაშე სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების ხაზით.

სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისა და კოლხეთის ჭაობის ამოშრობისა და სრული ათვისების შედეგად შესაძლებელი გახდება სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდება, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ი. ბაღრიშვილი

შრომის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი სოფლის მეურნეობაში

ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, წარმოადგენს ჩვენი პარტიისა და მთავრობის მთავარ, ძირითად და გადაუდებელ ამოცანას. სკკ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება, — ეს ნიშნავს: „გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სრულყოთ შრომის ანაზღაურების სისტემა ამ მიმართულებით, რომ გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაინტერესება პროდუქციის წარმოების გადიდებით, ხარისხის გაუმჯობესებითა და თვითღირებულების შემცირებით, აგრეთვე, ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებით“¹.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმის შემოღება, თვით შრომის პროცესის ორგანიზება, მჭიდროდ უკავშირდება სამუშაო დროის გონივრულ გამოყენებას, სამუშაო დღის სწორი რეჟიმის დადგენასთან. შრომის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობაში დაკავშირებულია, აგრეთვე, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან, შრომითი რესურსების სრულ და შედარებით თანაბარ გამოყენებასთან მთელი წლის განმავლობაში. მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების დადგენა და შრომის ანაზღაურების პროგრესული ნორმების შემოღება, სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესაძლებლობა გამოყენებულია საბჭოთა კავშირის ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში, მაგალითად: კრასნოდარის მხარის „კრაპოტკინისა“ და „ვიტიაზევოს“ საბჭოთა მეურნეობებში; ამან ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების წინაშე დააყენა საკითხი სოფლის მეურნეობაში მომუშავეთათვის, მსგავსად მუშა-მოსამსახურეებისა, დაგვედგინა ორცდღიანი და ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორი დასვენების დღით (შაბათი და კვირა).

ეკონომისტი ვ. მიროშნიკოვი საჭიროდ სთვლის: „მემინდვრეობაში მომუშავეთათვის დავადგინოთ მუდმივი დასვენების დღეები: შაბათი და კვირა. შემოდგომა-ზამთრის შედარებით ნაკლებად დაძაბულ პერიოდებში სავსე სამუშაოებში, ასეთი წესით გამოსასვლელი დღეების დადგენა არ იწვევს განსაკუთრებულ სიძნელეს“².

მსგავსი მოსაზრება აქვთ ზოგიერთ ჩვენს მეცნიერსა და ეკონომისტს, რაც აისახა ცალკეულ წერილებსა, თუ გამოსვლებში, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩ-

¹ სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 334.

² «НОТ в сельском хозяйстве», под общей редакцией доктора эк. н. В. А. Тихонова, М., 1969, стр. 164.



ნია განხილვის წესით დავაყენოთ ეს საკითხი სოფლის მეურნეობის დარგში ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღითა და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებ ჩვენი რესპუბლიკის პირობებში.

საქართველოს სსრ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით (მომთაბარე მეცხოველეობა, მრავალდარგოვანი სასოფლო კულტურები) მკვეთრად განსხვავდება საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა მოქმე რესპუბლიკათაგან კერძოდ, რსფსრ-საგან, რის გამოც სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავეთა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე, ორი დასვენების დღითა და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლა ჩვენთან დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. იობაშვილი და ლ. კვირიკაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ: „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა უპირველესი მნიშვნელობის საქმეა, იგი გულმოდგინედ უნდა მომზადდეს და სწორად იყოს ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით“³.

რეკომენდაციებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების შესახებ, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებისა:

„საზოგადოებრივ წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“ 1966 წლის 1-ივლისიდან საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეობებში შემოდებული იქნა კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება (ფულითა და ნატურით), საბჭოთა მეურნეობებში შესაბამისი კატეგორიების მომუშავეთა სატარიფო განაკვეთების გამომუშავეების ნორმების შესაბამისად მოქმედი 7-საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

სამუშაოთ რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობებში კაცდღის საათობრივ აღრიცხვას არ ექცევა სათანადო ყურადღება, ამდენად სამუშაო დღის რეჟიმი ხშირად ირღვევა და ის მყარი არ არის. კაცდღის ხანგრძლივობა კოლმეურნეობებში შესაძლებელია იყოს 3—4 საათიდან 12 საათამდე და ყველა ის ერთ კაცდღედ აღირიცხება. აქედან გამომდინარე, ერთი კოლმეურნის მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში დახარჯული კაცდღეთა რაოდენობა, ყოველთვის არ უდრის სამუშაო დროის ფონდს, რომელიც იანგარიშება 7-ან 8-საათიან სამუშაო დღეზე, შრომა კი როგორც პროცესი მისი ხანგრძლივობით უნდა გაიზომოს, რომლის გამომხატველია დრო. კ. მარქსი ამის შესახებ სწერს, რომ: „თვით შრომის რაოდენობა გაიზომება მისი ხანგრძლივობით, სამუშაო დროით, სამუშაო დროს კი კვლავ თავისი მასშტები აქვს დროის განსაზღვრული ნაწილების სახით, როგორცაა საათი, დღე და სხვ.“⁴.

ამრიგად, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა ორი დასვენების დღითა და ორცვლიანი სამუშაო დღით სოფლის მეურნეობის დარგში შეუძლებელია, თუ არ გვექნება სამუშაო დროის ზუსტი საათობრივი აღრიცხვა. კოლმეურნეობებში სამუშაო დროის ფონდი უნდა დადგინდეს საათობრივი აღრიცხვის მიხედვით და არა კაცდღეების რაოდენობით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად მზის ამოსვლიდან — მზის ჩასვლამდე გრძელდება ან,

³ ა. იობაშვილი, ლ. კვირიკაძე. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ზოგიერთი აქტუალური საკითხი სოფლის მეურნეობაში, „ტექნიკური ინფორმაცია“, 1971, № 14.

⁴ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, გვ. 54.

პირიქით, სამუშაო პროცესი მემინდვრეობაში წყდება სამუშაო დღის დამთავრებამდე მეტეოროლოგიური და მთელი რიგი მიზეზების გამო. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: დადგინდეს სამუშაო დღის ხანგრძლივობა კოლმეურნეობებში, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ უნდა მოწესრიგდეს საათობრივი აღრიცხვა და შემდეგ დაისვას საკითხი ხუთდღიან სამუშაო კვირაზე და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ, რადგან საათობრივი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია ცვლის მუშაობის დაწყებისა და დამთავრების — ე. ი. სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობის — განსაზღვრა.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას ორი დასვენების დღით აძნელებს რიგ სოფლის მეურნეობრივ სამუშაოებში აგროვალების დაცვა. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ წამყვან კულტურებს, როგორცაა: ხეხილი, ვენახი, თამბაქო, ჩაი და სხვა. დადგენილია, რომ ჩაი უნდა იკრიფებოდეს ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში, ჩაის ფოთლის კრეფის ერთი დღით დაგვიანებაც კი მოქმედებს მისი ხარისხის გაუარესებაზე, ასევე შეიძლება ითქვას დანარჩენ კულტურებზეც.

კვირაში ორი დასვენების დღის შემოღება სოფლის მეურნეობაში გამოიწვევდა დიდ მატერიალურ დანაკარგებს, განსაკუთრებით, მოსავლის აღების პერიოდში და არც იმდენი ჰარბი მუშახელი გავაჩნია, რამდენიც საჭირო იქნებოდა ორივე ცვლაში სამუშაოდ. ასეთ შემთხვევაში სამუშაო დროის ფონდი დაცული რომ იყოს, საჭიროდ მიგვაჩნია სავსე სამუშაოებში მომუშავეებს დასვენების დღეები მიეცეს ზამთრის თვეების ხარჯზე, რომელსაც დაემატება კლიმატური მოვლენებით (ძლიერი ქარი, წვიმა) გამოწვეული გაცდენები გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. კუთვნილი შევებულებაც კოლმეურნეებს სასურველია მიეცეთ შედარებით ნაკლებად დაძაბულ პერიოდში, მოსავლის აღების დაწყებამდე ან მის შემდეგ.

მართალია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა სამუშაო დროის ფონდი იმდენივე უნდა იყოს, რამდენიც მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებიც გადასულნი არიან ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღით, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არა სოფლის მეურნეობის დარგებში ჩაბმული მუშაობა უხდებიათ დახურულ შენობაში, ე. ი. მათზე არ მოქმედობს მეტეოროლოგიური მოვლენები, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავეთათვის ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხულია, რადგან მათ საქმე აქვთ ცოცხალ არსებასთან, მემცენარეობაში მათი მუშაობის პერიოდი განისაზღვრება მცენარის განვითარების პროცესით, ანუ სამუშაოს შესრულების აგროვალებით, აგრეთვე — ე. წ. იძულებითი გაცდენებით, რაც გამოწვეულია მეტეოროლოგიური მოვლენებით. უამინდობის შედეგად გაცდენილ დღეთა დასადგენად გამოვიყენეთ ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უკანასკნელი 20 (1949—1968) წლის ყოველდღიური მონაცემები. დასახელებული მასალის დამუშავების შემდეგ, ჩვენ მიერ განსაზღვრულია უამინდობით გამოწვეული გაცდენილ დღეთა რაოდენობა სამუშაო დღეებში. ასეთ დღეთა რაოდენობამ საქართველოს საწარმოო სპეციალიზაციის V ზონაში (შიდა ქართლის ბარის მეხილეობის ზონა — შაქრის ქარხლის თესვით) შეადგინა 60 დღე. როგორც აღვნიშნეთ, ზაფხულის პერიოდში მემცენარეობის დარგში მომუშავეებს დასვენების დღეები უნდა მიეცეთ უამინდობით გამოწვეულ გაცდენილ დღეთა ხარჯზე და არა აუცილებ-

ლად შაბათი და კვირა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდება სამუშაო დროის ფონდის ხელოვნური შემცირება.

სულ სხვანაირად დგას ეს საკითხი მეცხოველეობაში, რამდენადაც აქ მუშაობა უწყვეტია, ე. ი. სამუშაო ყოველდღიურია. ჩვენი რესპუბლიკის უმეტეს კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმებში მომუშავეთა კაცდღის რაოდენობა ორჯერ და მეტადაც აჭარბებს მემცენარეობაში დასაქმებულ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებულ კაცდღეთა რაოდენობას: საშუალოდ შეადგენს 280—330 კაცდღეს წელიწადში; მაგალითად, 1973 წლის მონაცემებით, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობაში დარიცხული იყო საშუალოდ წელიწადში ერთ მომუშავეზე: მწველავეებზე—301, პირუტყვის მომწველ მწყემსებზე—313, მებზორეებზე—320, მეცხვარეებზე—290 და მეღორეებზე—275 კაცდღე; ხოლო გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობაში შესაბამისად: 280, 310, 354, 295 და 282 კაცდღე მაშინ, როცა მემცენარეობაში მომუშავეებზე ამავე კოლმეურნეობებში დარიცხული იყო პირველში—125 და მეორე კოლმეურნეობაში—135 კაცდღე უფრო მეტიც, ხაშურის რაიონის ტკოცის, ხცისის, ფლავისა და ცოცხნარას კოლმეურნეობებში თვითეულ მწველავს დაურიცხეს: შესაბამისად: 365, 319, 365 და 351—კაცდღე, პირუტყვის მწყემსებს 365, 338, 365 და 281—კაცდღე, და მეღორეებს ყველა დასახელებულ კოლმეურნეობებში იმდენივე კაცდღე, რამდენი კალენდარული დღეც არის წელიწადში (365) მაშინ, როცა მემცენარეობაში დასაქმებულთა მიერ ნამუშევარ კაცდღეთა რაოდენობა დასახელებულ კოლმეურნეობებში შეადგენდა, შესაბამისად: 123, 138, 133 და 91-კაცდღეს.

როგორც დაინახეთ დასახელებულ კოლმეურნეობებში ისე, როგორც რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც, მემცენარეობაში მომუშავეთა კაცდღეების რაოდენობა ბევრად ნაკლებია ამ დარგში მომუშავეთათვის დადგენილ სამუშაო დროის ფონდზე (240—250 კაცდღე) მაშინ, როცა მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეების მიერ ნამუშევარ კაცდღეთა რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში, ბევრად აღემატება მათთვის დადგენილ სამუშაო დროის ფონდს 260—280 კაცდღეს (მემცენარეობაში სამუშაო დროის ფონდის სხვაობა, მეცხოველეებთან შედარებით, გამოწვეულია უამინდობის გამო გაცდენებით სავსე სამუშაოებზე).

მეცხოველეობის ფერმებში მომუშავეებისათვის, მემცენარეობაში დასაქმებულებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია მომთაბარე მეცხოველეობა, რაც აწელებს ამ დარგში მომუშავეების გადაყვანას ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ორი დასვენების დღით და ორცვლიან სამუშაო დღის შემოღებას. ზოგიერთი დარგის მეცხოველეების: მწყემსების, მსხვილფეხა პირუტყვის მომწველეების, მეღორეების,—როდესაც ისინი საზაფხულო ან საზამთრო საქონეებზე იმყოფებიან და რამდენიმე ათეული კილომეტრით არიან დაშორებული თავიანთ საცხოვრებელ ადგილს,—ხუთდღიან სამუშაო კვირაზე და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადაყვანა, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და თითქმის შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მეცხოველეობის დარგში მომუშავეები არამცთუ ორი, არამედ ზოგჯერ ერთი დასვენების (კვირა) დღითაც კი ვერ სარგებლობენ კვირაში, რადგან მათი მუშაობის სპეციფიკა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ დაუფიქრებთ მექანიზაციის გამოყენების დაბალ დონეს (განსაკუთრებით, მეცხოველეობის ფერმებში), ადვილი გასაკვირი



იქნება, თუ რა დიდ სიძნელეებს წავაწყდებით სოფლის მეურნეობის მომუშავეთა ზუთდლიან სამუშაო კვირაზე, ორი დასვენების დღითა და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შემთხვევაში, ამ ახალ რეჟიმზე გადასვლას აძნელებს, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების ისედაც დაბალი დონე ზოგიერთ კოლმეურნეობებში. სამუშაო დროის ფონდის შემცირება გამოიწვევდა შრომის ანაზღაურების შესაბამის შემცირებასაც, რადგან ასანაზღაურებელი თანხა, ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლის შემთხვევაში — კვირაში ორი დასვენების დღით — განაწილდებოდა ორივე ცვლის მომუშავეებზე დახარჯული დროისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის ნიხედვით.

ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მეცხოველეობის ფერმებში მომუშავეთათვის დაცული იქნას სამუშაო დროის ფონდის ოდენობა 260—280 სამუშაო დღე წელიწადში (7-ან 8-საათიანი სამუშაო დღე). ეს კი მოითხოვს ზუთდლიან სამუშაო კვირას, ორი დასვენების დღითა და ორცვლიან სამუშაო დღით, რაც კონკრეტულად უნდა დამუშავდეს თვითეული მეურნეობის მაგალითზე სოფლის მეურნეობრივი წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, ე. ი. იმ პირობით, რომ შენარჩუნებულ იქნას კაცდლის ანაზღაურების არსებული დონე, აგრეთვე, გამოყენებული იქნას მატერიალური დაინტერესების მთელი რიგი ღონისძიებები პრემიების სახით, პრინციპით: „კარგი შრომისათვის, უკეთესი შედეგებისათვის, მაღალი ანაზღაურება“.

დამსული საკითხის დადებითად გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩინია ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ტიპისა და მიმართულების ზოგიერთ მეურნეობებში ცდის სახით ჩავატაროთ ასეთი სახის სამუშაოები. საამისოდ ჩვენ მიერ შერჩეულია: დასავლეთ საქართველოდან — ზუგდიდის რაიონის ხეცერის, მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ამავე რაიონის ძიმითის კოლმეურნეობა და ქობულეთის რაიონის ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა; აღმოსავლეთ საქართველოდან — გორის რაიონის ვარციანტისა და ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები და გორის რაიონის სოფ. ზერტის, ქარელის რაიონის სოფ. აბისისა და სოფ. მოხისის კოლმეურნეობები, ხაშურის რაიონის ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და ამავე რაიონის „ზემო ქართლის“ კოლმეურნეობა. თელავის რაიონის სოფ. კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობა, თეთრიწყაროს მეხორცეობამერძევეობის, გარდაბნის რაიონის „გამარჯვების“ მერძევეობა-მებოსტნეობისა და ამავე რაიონის კუმისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები და წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა.

როგორც დავინახეთ, ჩვენ მიერ შერჩეულია ისეთი ტიპის მეურნეობები, სადაც განვითარებულია ჩვენი რესპუბლიკის დამახასიათებელი ისეთი კულტურები, როგორიც არის: ჩაი, ციტრუსი, ხეხილი, ვენახი, ბოსტნეული, მარცვლეული და შაქრის ჭარხალი, აგრეთვე — მეცხოველეობა. აქ განგებ არ დავასახელებთ ისეთი მეურნეობები, რომლებიც ეწევიან მომთაბარე მეცხოველეობას (პირუტყვი მიჰყავთ საზაფხულო ან საზამთრო საძოვრებზე), სადაც ასეთ ღონისძიებათა გატარება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, პირუტყვის მომვლელები დიდი მანძილით არიან დაშორებულნი თავიანთ საცხოვრებელ ადგილს და საკმაოდ ხანგრძლივი



დროითაც: ცხადია, ასეთ პირობებში ზუთდღიან სამუშაო დღის შემორტება კვირაში ორი დასვენების დღითა და ორცვლიან სამუშაო დღეზე გადასვლა შეუძლებელი ხდება. ასეთ დარგში მომუშავეებს დასვენების დღეები შეიძლება მიეცეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდებიან.

სამუშაო დღის რეჟიმის მოწესრიგება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ის უნდა გადაწყდეს უახლოეს პერიოდში, ამას უნდა უპილოდეს რიგი მოსამზადებელი ისეთი სახის სამუშაოები, როგორცაა: სამუშაო დღისა და ცვლის ხანგრძლივობა საათობრივი მოწესრიგება და ნორმირება, ტარიფიკაცია და შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომქმედი სატარიფო ბადის შესაბამისად. შესადგენია მორიგეობის ე. წ. „მცოცავი“ გრაფიკი, უნდა დადგინდეს არსებული შრომითი რესურსების რიცხოვნობა და მათი გამოყენების დონე (ანუ რამდენად სრულყოფილად არის გამოყენებული სამუშაო დროის ფონდი საზოგადოებრივ მეურნეობებში).

ჯერ კიდევ 1965 წლის მარტის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ: „მეცნიერებაში შეუწყნარებელია სუბიექტივიზმი, ნაჩქარევი, პრაქტიკით შეუმოწმებელი დასკვნების თავს მოხვევა, მეცნიერებას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ ზუსტი ექსპერიმენტით, საწარმოო გამოცდილებით, თვით ცხოვრებით დადასტურებული ობიექტური მონაცემებით“⁵. ამრიგად ნაჩქარევი დასკვნების გამოტანამ კი ამ საკითხში, შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენოს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

⁵ გაზეთი „კომუნისტი“, № 72, 27 მარტი, 1965 წ.

ბონა ზაფარიძე

მედიკალიზებული ოქრო XII—XIII სს ქართულ მუხრანში

1938 წ. თ. ლომოურმა ურთიდად მიაქცია „ისტორიათა და აზმთა შარავანდედთა“ ერთ ცნობას, რომელიც ეხება ოქროს ორ სახეობას: „ოქრო ქედლითა“ და „უქედლითა“¹. მკვლევარის დაკვირვებით „ოქრო ქედლი“ აღნიშნავდა ოქროს ფულს, ჭურჭელს, იარაღს, სამკაულს, ხოლო „უქედლი“ კი — უცილობლად ოქროს ზოდებს. ყველაფერი ეს წაუტრქვენი (ხაზინაში) იდო და იხმარებოდა საქართველოში. იმ პირობებში, როცა რუსთაველის ეპოქის საქართველოში არ იქრებოდა ოქროს საკუთარი მონეტა, თ. ლომოურს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ დიდი ხარჯების დასაფარავად ფულთან ერთად ასეთი ოქროს ზოდებიც გამოიყენებოდა. ეს არის უადრესად საინტერესო დაკვირვება, რომლის ქვეშარტებაც სათანადო კვლევა-ძიებამ უნდა დაადასტუროს. ჭერჭერობით ქართული წყაროებიდან „უქედლი“ ძვირფასი ლითონის გამოყენებას გადახდის საშუალებად მხარს უჭერს ფანჯარის დაწერილი შიომღვიმისადმი. აქ ნათქვამია: „მოვიყვანე მთავარი შემღვიმე თედორე და მივათაღუნეთ სოფელი და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი, ათათახი პელაგია“². ამ ცნობაში სახსენებელია აშკარად ერთ მხარეზეა ოქროს ფული პერპერა, რომელიც ცალკეობით არის ათვლილი და ძვირფასი ლითონი — ოქრო და ვერცხლი (ზოდებად). რომელთა გადახდა ხდება წონით (ლიტრებში). რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფში (1019,8) მოხსენებულია „სამოცი ლიტრა წითელი, აწონით არ ნაკლულითა“³. აქ შეიძლება ვიგულისხმობთ როგორც „უქედლი“ ძვირფასი ლითონი — ბაჭლო-ოქრო, ისე წონით ერთეულში გამოხატული მაღალხარისხიანი ოქროს მონეტების საერთო რაოდენობა⁴.

ოქროსა და ვერცხლის ზოდების გამოყენება გადახდის დროს გვხვდება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში⁵ და რუსეთში⁶. ვერცხლის ზოდებით ვაჭრობა დადასტუ-

1 ქართულ წყაროში ეს ცნობა მოტანილია თამარის პირველ ქორწინებასთან დაკავშირებით: „ეგრეთ იქმნა ქორწილი სახელდაუდებელი და იგავ-მეუღვედომელი; სიმაკლენი სახეობათანი, მძლუნობანი და ნიქებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქრო ქედლითა და უქედლითანი, სიმღირებთა და ლართა კერულთა და უკერულთანი“... ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 37. ამ წყაროში ეს ტერმინი სხვაგანაც გვხვდება — გიორგი III-ის მიერ ანისთან მუსლიმთა კოალიციის დამარცხების შემდეგ მოპოვებული ნადავლის აღწერის დროს (გვ. 9).

2 თ. ლომოურის ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938, გვ. 295.

3 იქვე.

4 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები X—XIX სს. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 3.

5 შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტექსტი და ვარიანტები, თბილისი, 1966.

6 ნ. ჭოიავე ვარაუდობს, რომ აქ გვაქვს „სრულფასიანი, გაუფუჭებელი“ მონეტები. ნ. ჭოიავე. ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, ენიშკის მოამბე, III, თბილისი, 1938, გვ. 106. ჩვენ უფრო პირველი შესაძლებლობისკენ ვიხრებით.

7 Ф. И. Михалевский. Очерки истории денег и денежного обращения. т. I, Ленинград, 1948, გვ. 83—84.

8 И. Г. Спасский. Русская монетная система. Ленинград, 1970, გვ. 62—63.

10 „მაცნე“, ფილოსოფიის, ..., სერია, 1975, № 4

რებულია ფატიმელთა ეგვიპტეში, რომლის ეკონომიკაც „უაღრესად მონეტოზებული“¹⁰ იყო და, საერთოდ, როგორც კ. მარქის აღნიშნავდა: „ოქროს მონეტა და ოქროს ზოდი იმ-თავითვე მხოლოდ გარეგნობით განირჩევიან ერთმანეთისაგან და ოქრო მუდამ შეიძლება გარდაქმნას ერთი ფორმიდან მეორედ. ზარაფხანიდან გამოშავალი გზა კი იმავე დროს გადა-სდნობი ქვაბისკენ მიმავალი გზაა...“¹¹.

XII—XIII სს საქართველოს ეკონომიკაში „უჭედელი“ ოქროს როლი ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. ამჯერად ჩვენ გვიანტერესებს ერთი საკითხი: საიდან იღებდა ამ ოქროს საქართველო.

XII—XIII სს პირველ ორ ათეულში ოქროს მიღების წყარო იყო ძლე-ვამოსილი ომები და, აქედან გამომდინარე, — სამხედრო ნადავლი და კონტრი-ბუციები. მოსალოდნელია საკუთარი საზადოების ექსპლოატაცია, მაგრამ საა-მისო ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ოქროს მიღების მესამე წყარო იყო საერთაშორისო ვაჭრობა¹², უცხოური ოქრო.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს რუსთაველის ეპოქის ლი-ტერატურულ ძეგლებში დამოწმებული „მალრიბული“ ოქრო.

მალრიბული ოქრო გვხვდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

„მეფემან ბრძანა „მოკაზმეთ საწოლი უფლისწულისა
დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მალრიბულისა“ (1188.2).

მალრიბული ოქრო აქ განმარტებულია როგორც წითელი, ე. ი. ბაჯაღლო, უმაღლესი ხარისხისა.

„აბდულმესიანში“ იოანე შავთელი ასე მიმართავს თამარ მეფეს:

„ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეება /მუშეს სურნელება შენგან მიეცა,
ყანდარს შაქარ, მალრიბს ოქროს ქან/ბარან მარგალიტი სადაფი ეცა“¹³.

მალრიბის ოქროს ქანი ანუ მადანი საკმაოდ სახელგანთქმული უნდა ყოფი-ლიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში პოეტი მას თამარის სახელს არ დაუკავში-რებდა.

ჩახრუხაძე „თამარიანში“ მოგვითხრობს იმ პირთა შესახებ, რომლებიც, თამარის სიდიადით მოხიბლულნი, სხვადასხვა ქვეყნიდან მოდიოდნენ მის სანა-ხაედ; ამათგან, რომლებმაც

„მალრიბსა დაყვენეს ეამნი მრავალნი
აჰვაზს მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის“¹⁴.

⁹ S. D. Goitein. A Mediterranean Society, vol. I, Berkeley and Los Angeles, 1967, გვ. 236, 388—389.

¹⁰ გამოიქმა ეკუთვნის ს. გოიტეინს. S. Doitein. დასახ. ნაშრ., გვ. 230.

¹¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი პირველი, წიგნი I, თბილისი, 1954, გვ. 161.

¹² საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ამ პერიოდში იხ. ე. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 201—224.

¹³ იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, ძველი ქართველი მეზობენი, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევია, კომენტა-რები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1964, გვ. 136, 58.2. ნ. მარის გამოცემაში ვკითხულობთ: „მალრიბსა ზარქანი“ — Н. Марр. Древнегрузинские описан-цы. Тексты и разыскания. кн. IV. СПб., 1902, გვ. ლთ. ზარქანი და ოქროს ქანი ერთი და იგივეა. ნ. მარის განმარტებითვე (იქვე, გვ. რნვ) ზარქანი — Золотой рудник, или свежее, самородное золото.

¹⁴ ჩახრუხაძე, ქვაბ მეფისა თამარისი, ძველი ქართველი მეზობენი, I, ტექსტი გა-მოსცა, გამოკლევია და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1957, გვ. 198. VIII ოდა, 53. 6—7. ბოლო ტეპი აქ ასეა: „აჰვაზს, მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის“. საინტე-

ი. ლოლაშვილის განმარტებით ქვა-ოქრო ძვირფასი ქვები და ოქროა¹⁵. მაგრამ შესაძლებელია, რომ ქვა-ოქრო უბრალოდ ოქროს ზოდია. პარალელი მოიძიება არაბულშიც: პაჯარ-ჟიდლა, ე. ი. ქვა-ვერცხლი ფატიმიანთა ეგვიპტეში ვერცხლის ზოდის მნიშვნელობით იხმარებოდა¹⁶. როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ოქრო მოაქვთ თამარის იმ თაყვანისმცემელთ, რომელთაც მალრიბში დაუყვიათ დიდი ხანი, მალრიბიდან მოდიან. ეს ოქრო მალრიბული ოქროა.

რას ნიშნავს „მალრიბული ოქრო“ და საიდან მომდინარეობს ის?

ნ. ქოიავა, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ სტროფთან დაკავშირებით, მალრიბულ ოქროს განმარტავს როგორც „დასავლურ ოქროს“¹⁷, მისი სადაურობის დაკონკრეტების გარეშე¹⁸. „მალრიბული ნიშნავს დასავლურს, ამრიგად, ოქრო დასავლეთიდან, ან დასავლეთიდანაც შემოდიოდა“ — წერდა ის. შემდეგ ნ. ქოიავა ეხება ოქროს მომპოვებელ რაიონებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და შუა საუკუნეებში: „XI საუკუნიდან ოქროს საგარძნობი რაოდენობა მზადდება თილეს მახლობლად. წარმოებდა აგრეთვე გერმანიისა და საფრანგეთის მდინარეების ექსპლოატაცია¹⁹... ოქროს მოპოვება ხდებოდა ზალცბურგშიც. ოქროს სხვა, რამდენადმე მნიშვნელოვანი საბადოები არაა ცნობილი“²⁰. აქედან ცხადია, რომ მკვლევარი მალრიბულ ოქროში ევროპულ ოქროს გულისხმობდა.

მალრიბი როგორც გეოგრაფიული ტერმინი არ არის უბრალოდ დასავლეთი, ევროპა. მალრიბი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას საპარის ჩრდილოეთით, ეგვიპტის დასავლეთით — ატლანტიკის ოკეანემდე. XI—XIII სს-ში მალრიბის ტერიტორიაზე არსებობდა ალ-მორავიდებისა (1056—1147) და ალ-მოპადების (1130—1269) მძლავრი მუსლიმური სახელმწიფოები. „მალრიბული ოქრო“ ჩრდ. აფრიკისკენ მიგვითითებს.

არსებობს მოსაზრება, რომ „მალრიბული“ ეწოდება ოქროს ფულს, რომელსაც ეგვიპტეში ჭრიდნენ. ჩვენ ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით.

მახლობელი აღმოსავლეთის ფულის მიმოქცევის ისტორია იცნობს „მალრიბულ“ დინარებს. ეს დინარები იჭრებოდა ფატიმიანთა მიერ, რომლებიც ეგვიპტეში მალრიბიდან მოვიდნენ. ამ სახელწოდებას ატარებდნენ აგრეთვე მალრიბის ქვეყნებში სხვადასხვა მმართველების მიერ მოჭრილი ოქროს მონეტებიც. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც სხვა დასახელებულ ნაწარმოებებში საუბარია არა ოქროს მონეტებზე, არამედ მალრიბულ ოქროზე, ლითონზე ან ამ ლითონის საბადოზე.

ასეთი საბადო კი მალრიბში არ გვეგულება. შუა საუკუნეებში მალრიბში არავითარი ოქროს მოპოვება არ წარმოებდა. სამაგიეროდ ოქროს მოიპოვებდნენ მალრიბის მომიჯნავე აფრიკის ქვეყნებში.

რესო აღნიშნოს, რომ ვარიანტების უმრავლესობა — უძველესი ხელნაწერები ABCEFG (გვ. 227) — ავჯახის ნაცვლად გვაძლევს აფჯახს.

¹⁵ იქვე, გვ. 162.

¹⁶ D. S. Goifein, დასახ. ნაშრ., გვ. 388—389.

¹⁷ ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.



აფრიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოქროს ექსპორტის მდიდარი საბადოები იყო ეგვიპტის სამხრეთით-ნუბიაში, ძირითადად — წითელი ზღვის სანაპიროს გასწვრივ და ნუბიის უდაბნოში. აქ. რ. ფორბესი 100-მდე ოქროს საბადოს ითვლის²¹. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვადე ალ-ალლანჯის საბადოები, რომლებიც ოქროთი ამარაგებდნენ ეგვიპტეს, მაგრამ XII ს-ში მათი პროდუქტიულობა ისე დაეცა, რომ მოძიებული ოქრო ძლივს-ღა ჰფარავდა გაწეულ ხარჯებს²².

ნუბიის საბადოებს ესაზღვრებოდა ეთიოპიის საბადოები. უფრო სამხრეთით მოზამბიკის ტერიტორიაზე იყო სოფალას (სოფალათ აზ-ზინჯის) საბადოები — მდიდარი როგორც თეთნაბადი, ისე ალუვიალური ოქროთი²³. სოფალას ოქრო ძირითადად ინდოეთში გაჰქონდათ²⁴ და არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს წინა აზიის ქვეყნების ეკონომიკაში.

განსაკუთრებით მდიდარი იყო ოქროთი სუდანის, ბილად ას-სუდან-შაკვანთანა ქვეყანა. ამ სახელწოდებით არაბები აღნიშნავდნენ ვრცელ ტერიტორიას სპარსის სამხრეთით, ატლანტიკის ოკეანიდან ვიდრე ეთიოპიის ზეგნამდე.

სუდანში ოქროს ძირითადად მოიპოვებდნენ დანაში. ეს სახელმწიფო წარმოიქმნა III—IV სს-ში მდ. სენეგალისა და მდ. ნიგერის ზემო დინებაში, დღევანდელი განას რესპუბლიკის ჩრდ. დასავლეთ საზღვრებთან²⁵. დანა განთქმული იყო ოქროს სიწმინდითა და სიუხვით. ამის შესახებ განცვიფრებით წერდნენ VII!—X სს არაბი გეოგრაფები და ისტორიკოსები: ალ-ფაზარი²⁶, ალ-იაკუბი²⁷, მას'უდი²⁸, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი²⁹, იბნ ჰაუკალი³⁰, ალ-ჰამადანი³¹. ოქროს სიუხვე აღვივებდა ფანტაზიას: „ოქრო დანაში ამოდის ქვიშაში, მცენარესავით, როგორც სტაფილო, — არწმუნებდა თანამედროვეებს იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი³².

²¹ R. J. Forbes. Metallurgy in Antiquity. Leiden. 1950, გვ. 146.

²² H. Rabie. The Financial System of Egypt A. H. 564—741/A. D. 1169—1341. Oxford University Press, 1972, გვ. 169.

²³ Арабские источники X—XII веков по этнографии и истории Африки южнее Сахары. Подготовка текстов и переводы В. В. Матвеева и Л. Е. Куббеля, Москва—Ленинград, 1965, гв. 136, კომენტარი, გვ. 423.

²⁴ Г. А. Шумовский. Арабы и море, Москва, 1964, гв. 127.

²⁵ А. А. Жуков. Гана. Африка, Энциклопедический справочник, I, Москва, 1963, гв. 306.

²⁶ F. Lewicki, Quelques extraits inédits relatifs aux voyages des commerçants et des missionnaires Ibādites Nord—Africains au pays du Soudan Occidental au Moyen Âge. „Folia Orientalia“, t. II. f. 1—2, 1960, гв. 15.

²⁷ Арабские источники VII—X веков по этнографии и истории Африки южнее Сахары, Подготовка текстов и переводы Л. Е. Куббеля и В. В. Матвеева, Москва—Ленинград, 1960, гв. 41.

²⁸ იქვე, გვ. 257.

²⁹ იქვე, გვ. 83.

³⁰ Арабские источники X—XII веков, гв. 63, 67.

³¹ D. M. Dunlop. Sources of Gold and Silver in Islam according to al-Hamdānī „Studia Islamica“, VII. 1957, гв. 38. Al-Hamdānī. Die beiden Edelmetall, Gold und Silber, herausgegeben und übersetzt von Chris'opher Toll. Uppsala, 1968, гв. 143.

³² Арабские источники VII—X веков, гв. 83.

არაბი ავტორების ყურადღება სუდანის ოქროსადმი შემთხვევითად არის. ამათ განაპირობებდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების გაცხოველებული ვაჭრობა სუდანთან. სუდანში გაქონდათ სხვადასხვა საქონელი და სანაცვლოდ კი შემოქონდათ ოქრო, რადგანაც, ალ-ბირუნის სიტყვებით, „იქ არაფერი არ იყო ოქროს საბადოების გარდა“³³. ამავ ავტორის შენიშნით, სხვა ქვეყნებში არსად არ იყო საბადოები, რომლებიც იძლეოდნენ სუდანის საბადოებზე უფრო უხვსა და წმინდა ოქროს³⁴.

უკვე IX—X საუკუნეებში სუდანისკენ მიდიოდა სამი სავაჭრო გზა. ორი კაიროდან და ერთი საჯილმასადან³⁵. ეს უკანასკნელი (მაროკოში) X ს-ში გახდა სუდანთან ვაჭრობის მთავარი თავშესაყრელი პუნქტი. ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბაღდადიდან, ქუფადან და ბასრადან გამოსული ერაყელი ვაჭრები. იბნ ჰაუკალის ცნობით, მათს ქარავნებს უცვლელად მოჰქონდათ დიდი მოგება და სიმდიდრე, რასაც ვერ შეედრებოდა ისლამის სხვა ქვეყნების ვაჭართა შემოსავალი³⁶.

სუდანის (ღანას) ოქრომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა IX—X სს მახლობელი აღმოსავლეთის ოქროთი მომარაგებაში. დიდი იყო სუდანის ოქროს მნიშვნელობა მომდევნო საუკუნეებშიც³⁷.

ღანაში ოქროს მოპოვების შესახებ წერენ ალ-ბაქრი († 1094) და ალ-იდრისი († 1165). უკანასკნელის ცნობით, ოქროს მოპოვებდნენ ღანას მოსაზღვრე ვანკარას ტერიტორიაზე: „ეს არის ოქროს ცნობილი ქვეყანა, რომელიც სახელგანთქმულია ოქროს სიუხვისა და კარგი თვისებების გამო“ — აღნიშნავდა არაბი გეოგრაფი³⁸.

ოქროს მოპოვება ხდებოდა სუდანისა და მადრიბის საზღვართან მდებარე ქ. აუდალოსთან. ეს ქალაქი წარმოადგენდა მთავარ შესაყრებ პუნქტს ვაჭრობისათვის, რომელიც წარმოებდა მაროკოდან სუდანში და საწინააღმდეგო მიმართულებით³⁹. „აუდალოსთის ოქრო არის ყველაზე საუკეთესო და სუფთა ოქრო, რომელიც კი აქვთ დედამიწის მკვიდრთ“ — წერდა ალ-ბაქრი⁴⁰.

სუდანის ოქროს მნიშვნელობა აისახა XIV—XV სს. არაბი მწერლების იბნ ხალდუნის († 1406) და ალ-კალკაშანდის († 1418) შრომებში.

სუდანის ოქრო მიმზიდველი იყო არა მარტო მისი სიწმინდისა და მაღალი თვისებების გამო. ვაჭრებს იზიდავდა მისი უაღრესად იაფი ფასი. სუდანში

³³ Арабские источники X—XII веков, გვ. 135.

³⁴ Ал. Бируни, Собрание сведений для познания драгоценностей, (Минералогия), Перевод А. М. Беленицкого, Москва, 1963, გვ. 225.

³⁵ A. Lewis, Naval Power and Trade in the Mediterranean A. D. 500—1100, Princeton, New Jersey, 1951, გვ. 210.

³⁶ Арабские источники X—XII веков, გვ. 63.

³⁷ სუდანის ოქროს და მისი მნიშვნელობის შესახებ არსებობს სპეციალური ლიტერატურა. იხ. F. Broudel, Monnaies et Civilisations. De l'or du Soudan à l'argent d'Amérique, Annales [Economies. Soc. es. Civilization] I, 1946. E. F. Gautier. L'or du Soudan dans l'h.s.o.r.e. Annales d'Hist.ore, Economique et Sociale, No. 32. 1935, გვ. 113—123; M. Lombard, L'or Musulman du VII^e au XI^e siècle. Annales [Economies. Socie. es. Civilization] Anne. 2. N 2. 1947. გვ. 143—160. E. W. Bovil, The Golden Trade of Moors, London, 1958.

³⁸ Арабские источники X—XII веков, გვ. 287. კომენტარები, გვ. 387.

³⁹ G. Iver. Awdaghost, EI², vol. I, გვ. 762. Арабские источники X—XII веков, გვ. 379.

⁴⁰ Арабские источники X—XII веков, გვ. 172.



ვაჭრებს მიჰქონდათ ბასრული სამოსი, რომელიც „ბაჯბაჯის“ სახელით ცნობილი⁴¹. მატყლი მიიყვები, ბრინჯი, ხორბალი, ფინიკი, გამომშრალი ყურძენი, მინა, ბრინჯაო, სპილენძი ტყვია, მარილი⁴². მარილზე დიდი მოთხოვნა იყო სუდანის შიდა და განაპირა რაიონებში. X ს-ში აქ ერთი ჰიმილი (ე. ი. 250 კგ) მარილი 200—300 დინარი⁴³ (ე. ი. საშუალოდ 1 კგ ოქრო) ღირდა, ხოლო XIV ს-ში ყოველ 100 მისკალ (446 გ) სპილენძში იძლეოდნენ 66 1/2 მისკალ⁴⁴ (290 გ) ოქროს. ამგვარად ოქროსა და სპილენძის რაციო 1:1,5 იყო უაღრესად ზელსაყრელი და მომგებიანი ვაჭრობისათვის.

არაბი გეოგრაფები, რომლებიც შესანიშნავად იცნობდნენ სუდანს, აღნიშნავდნენ, რომ ის უშუალოდ ეკვრის მალრიბს. იბნ ჰალკალის მითითებით, მალრიბის სამხრეთი საზღვარი ვადიოდა ღანასთან და აუდალოსთან⁴⁵, რომლებიც ოქროთი მდიდარი რაიონები იყვნენ. იბნ ზალდუნი, როცა სუდანს ოქროს მომწოდებელ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ასახელებდა, მიიჩნევდა მას „მალრიბის მახლობლად“ მდებარე ქვეყნად⁴⁶. ხოლო ზოგიერთი გეოგრაფი, მაგ., ალ-ჰამდანი, აღნიშნავდა, რომ არაბთა საბადოებიდან ყველაზე პროდუქტიულია ღანას — მალრიბის ქვეყნის, ეგვიპტის მალრიბის ქვეყნის საბადოები⁴⁷. არაბ ავტორებთან სუდანი მჭიდროდ არის მალრიბთან დაკავშირებული, ისე რომ ზოგჯერ მათ შორის ზღვარი იშლება.

სუდანისა და მალრიბის გეოგრაფიულ სიახლოვეს შორეულ ქვეყნებშიც, ვერძოდ კი საქართველოში, შეიძლებოდა წაეშალა ზღვარი ოქროს მომპოვებელი რაიონების ლოკალიზების დროს — უფრო ნაცნობი და დაწინაურებული მალრიბის სასარგებლოდ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სუდანში მოპოვებული ოქროს ექსპორტი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში სწორედ მალრიბის გავლით ზდებოდა.

XII ს-ში ალ-იდრისის ცნობით ოქროთი ვაჭრობაში მთავარ როლს მალრიბელი ვაჭრები თამაშობდნენ⁴⁸. მათი როლის გაძლიერება ამ სფეროში უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც ფატიმელებმა XI ს. 40-იან წლებში დაკარგეს კონტროლი ჩრდ. აფრიკაზე.

XII ს-ში, როცა დაქვეითდა და ამოიწურა ვადი ალ-ალაკის ოქროს საბადოების პროდუქტიულობა, სუდანის ოქროს მნიშვნელობა საერთაშორისო მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდა.

⁴¹ ал-Бируни. д.с.с. № 225.

⁴² Hudūd al-'Alām. The Regions of the World. A Persian Geography 372 A. H.—982 A. D. Translated and explained by V. Minorsky, London, 1937, გვ. 165. Арабские источники X—XII веков, გვ. 67; 171. ალ-კალკაშანდი, სუბჰ ალ-აშჰ დჰ სინათ ალ-ინშა, ტ. V, კაბო (თარხის გარეშე), გვ. 291. Voyages d'Ibn Batūta. Texte Arabe accompagné d'une traduction par C. Deffrémery et D^r B. R. Sanguinetti, t. IV, Paris, 1858, გვ. 378.

⁴³ Арабские источники X—XII веков, გვ. ჰულდუ ალ-ალემის თანახმად, ეგვიპტელი ვაჭრები სუდანში მინაში, ტყვიასა და მარილში იღებდნენ თანაბარი წონის ოქროს (Hudūd al-'Alām, გვ. 165). მარილში ოქროს უფრო დაბალ ფასს გვიხვევენ იბნ ბატუტა (Voyages, გვ. 378) და ალ-კალკაშანდი (სუბჰ ალ-აშჰ, გვ. 291).

⁴⁴ ალ-კალკაშანდი, დ.ს.ს. № 291.

⁴⁵ Арабские источники X—XII веков, გვ. 62.

⁴⁶ იბნ ზალდუნი, მეკადიმა, ტ. I, ბეირუთი, 1967, გვ. 651.

⁴⁷ D. M. Dunlop, დ.ს.ს. № 39. Al-Hamdani, Die beiden Edelmetall, გვ. 143.

⁴⁸ Арабские источники X—XII веков, გვ. 287.

XII ს-დან, როცა ევროპელმა ვაჭრებმა ზელთ იგდეს უპირატესობა და დაიწყო მათი მოსვლა ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობაში, სულანის ოქროს მძლავრი ნაკადი დაიძრა დასავლეთ ევროპისკენაც⁴⁹.

მალრიბის გავლით წამოსული სულანის ოქრო საქართველოში შეიძლება და გარდასახულიყო მალრიბულ ოქროდ, სულანის ოქროს საბადოები კი მალრიბულ ოქროს ქანად, ამის მიზეზი იყო არა მარტო სულანისა და მალრიბის გეოგრაფიული სიახლოვე, არამედ მალრიბის როგორც ოქროს შემკრებისა და გამწვანებლის დომინირებული როლი.

ასეთი გარდასახვის მაგალითი არა ერთი იცის ისტორიამ. მაგ., შუა საუკუნეებში ფუფუნების საგნებსა და ძვირფას ქვათა შორის დიდი მოთხოვნით სარგებლობდა ბადახშანის ლალი. ალ-ბირუნის შენიშვნით, ქ. ბადახშანი არავითარ კავშირში არ იყო ამ ლალის მოპოვებასთან. ლალმა ეს სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ ბადახშანი წარმოადგენდა ადგილს, სადაც თლიდნენ და აპრილებდნენ მას; კარებს, საიდანაც ვრცელდებოდა ის სხვადასხვა ქვეყანაში⁵⁰.

ასეთ „კარებს“ სულანის ოქროსთვის წარმოადგენდა მალრიბი.

რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებში დამოწმებული მალრიბული ოქრო ვვაფიქრებინებს, რომ ეს ოქრო საკმაოდ კარგად იყო ცნობილი საქართველოში.

მალრიბთან უშუალო კონტაქტების პირდაპირი საბუთები ჯერ კიდევ არ გავაჩნია. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ XII ს-ში საქართველო ვაჭრობდა ეგვიპტესთან, კერძოდ კი — ქ. ალექსანდრიასთან. ზოლო ყველა ქვეყანა, რომელიც კი ალექსანდრიასთან ვაჭრობდა, პროფ. ვ. გაბაშვილის დასკვნით, მონაწილეობდა მსოფლიო ვაჭრობაშიც⁵¹.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გარკვეული კავშირი ჰქონდა იმ დიდ ვაჭრობასთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოებდა მალრიბის გავლით სულანთან. ისევ როგორც სხვა ქვეყნებისთვის, საქართველოსთვისაც სულანის ოქრო მალრიბის გავლით უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

ეს იყო ერთ-ერთი წყარო ამ ძვირფასი ლითონისა, რომელსაც საქართველო საერთაშორისო ვაჭრობით იღებდა.

49 ზეტერის თანახმად, შუა საუკუნეებში სულანიდან ევროპაში გადიოდა 3 ათასი კგ ოქრო წლიურად. იხ. Ф. И. Михалевский, დასახ. ნაშრ., გვ. 131. აფრიკის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის პ. მონის მიხედვით კი სულანის ოქროს წლიური პროდუქცია იყო 9000 კგ საიდანაც 6000 კგ ექსპორტში მიდიოდა. P. Mauny, Tableau géographique l'ouest au Moyen Âge. Dakar, 1961, გვ. 376. E. Ashtor, Les métaux précieux et la balance des paiements du Proche Orient à la basse-époque. [Ecole pratique des Hautes Études. VI. Section Centre de Recherches Historiques. Monnaie. Prix. Conjoncture. X]. 1971. გვ. 26.

50 ал-Бируни, Собрание сведений, გვ. 74. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბადახშანის ლალის შესახებ იხ. ნ. ქოიავა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში. ენციკლის მოამბე, III, ტფილისი, 1938, გვ. 67—74, გ. წერეთელი, ბადახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში, აღმოსავლური ფილოლოგია, თბილისი, 1972, გვ. 35—40.

51 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

А. А. КУРАТАШВИЛИ

ЭКОНОМИЧЕСКОЕ СТИМУЛИРОВАНИЕ И ХОЗРАСЧЕТНАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ

Экономическое стимулирование является одним из важных принципов хозяйственного расчета и предполагает экономическое стимулирование предприятий и материальное поощрение каждого работника и всего коллектива. Используются в этих целях такие рычаги, как прибыль, заработная плата, цена и т. д. С помощью различных премиальных и других форм вознаграждения из поощрительных фондов обеспечивается материальное поощрение работников. Предприятие же материально поощряется при выполнении государственных плановых заданий и обеспечении рентабельности производства. От количества и качества реализованной продукции зависит чистый доход предприятия, который, разумеется, возрастает с увеличением количества реализованной продукции и улучшением ее качества. В значительной степени он зависит от величины расходов на производство и реализацию продукции. Чистый доход предприятия будет тем больше, чем меньше будут затраты живого и овеществленного труда на единицу изделия.

Исходя из вышесказанного, коллектив хозрасчетного предприятия заинтересован в совершенствовании и внедрении новой техники и технологии производства, в применении передовых методов производства, в повышении квалификации работников и т. д. На рост производительности труда, снижение себестоимости продукции, увеличение прибыли предприятия, все это оказывает решающее влияние, что со своей стороны создает на предприятии больше возможностей для развития и совершенствования производства, для материального поощрения работников и для других нужных мероприятий.

Система оплаты труда является важным фактором организации социалистического труда, роста его производительности. К. Маркс и Ф. Энгельс считали, что материальная заинтересованность работников в результатах своего труда останется решающим стимулом к труду на социалистической стадии развития общества. Поэтому распределение фонда предметов индивидуального потребления должно осуществляться в соответствии с затратами труда каждого работника. Ясно, что конкретизация принципа распределения продуктов потребления могла произойти лишь в результате проверки практикой социалистического хозяйствования.

Буржуазные экономисты считали, что сдельная форма оплаты труда является специфически капиталистической и что принципам социализма соответствует только уравнительное распределение.

Учитывая конкретные условия хозяйствования на национализированных предприятиях В. И. Ленин доказал, что формы, методы оплаты труда должны рассматриваться не только как формы распределения продуктов, но и как метод, средство организации самого социалистического производства, борьбы за повышение производительности труда: «Когда речь идет о распределении продовольствия, думать, что нужно распределять только справедливо, нельзя, а нужно думать, что

это распределение есть метод, орудие, средство для повышения производства»¹.

